"სკოტლენდ იარდი" პიტერ შოუს გასათავისუფლებლად ჩამოვიდა A7

დეკოლონიზაცია გრძელდება
ჰანტინგტონისტები და ტერორისტები A8

ტურფა საქართველოს ნაცრისფერი პერსპექტივა A8

www.24hours.ge
24 საათი
ყოველდღიური
© გაზეთი 24 საათი
შაბათი, 25 ივნისი, 2002 წელი. №23
ფასი 50 თეთრი

# "ჩვენი ქვეყნის ისტორიაში ყველაზე სამარცხვინო პერიოდი დგება"

თამარ მჭედლიშვილი

*გუშინ ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ სხდომა ვერ გამართა. კომისიის წევრები ამის გაკეთებას, ალბათ, ვერც დღეს შეძლებენ. სამაგიეროდ, ცესკოში განუწყვეტლივ მიმდინარეობს თათბირები, რომელზეც ერთ მთავარ საკითხს განიხილავენ – როგორ უნდა შეიმუშაონ ის წესი, რომლითაც ცესკო, საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილებების თანახმად, საარჩევნო ბიულეტენებს გადაითვლის.*

ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ გია ზესაშვილმა გაზეთ "24 საათს" განუცხადა: **"ახლა პარტიები მხოლოდ კონსულტაციებს მართავენ. კონკრეტულ წინადადებებს კი ერთმანეთს უკვე საჯარო სხდომაზე წარუდგენენ. წესის მიღება დროში არ გაჭიანურდება და ამ კვირის მიწურულს ეს პრობლემა მოგვარდება. რაც შეეხება თავად ბიულეტენებს, ისინი იქ არის, სადაც არჩევნების ღამეს მოათავსეს. ვფიქრობ, რომ მათი გადათვლა მოხერხდება. მეტიც – ჩემი აზრით, აღმოჩენილი დარღვევები ისეთი მნიშვნელოვანი არ იქნება, რომ დღის წესრიგში ხელახალი არჩევნების აუცილებლობის საკითხი დადგეს".**

გაგრძელება A3 გვერდზე

# უმაღლეს სამხედრო განათლებას ამჟერად თურქები წარმართავენ

საქართველოში არც თავდაცვის დოქტრინა არსებობს და არც სამხედრო განათლების კონცეფცია

კობა ლიკლიკაძე,
"რადიო თავისუფლება"
სპეციალურად
"24 საათისთვის"

*საქართველოს შეიარაღებული ძალებისთვის პროფესიული კადრების მომზადება კვლავ პირველი რიგის პრობლემას წარმოადგენს. ამასთან, საქართველოს სამხედრო სისტემის ნატო-ს სტანდარტებზე გადასვლის პარალელურად, დღის წესრიგში დგება ერთადერთი უმაღლესი სამხედრო სასწავლებლის - თავდაცვის ეროვნული აკადემიის მთლიანი სასწავლო პროცესის ტრანსფორმაციის საკითხი. თუმცა, ახლო წარსულში, ოპტიმალური მოდელის შერჩევისას, სამხედრო წრეები უფრო პოლიტიკური კონიუნქტურით ხელმძღვანელობდნენ, ვიდრე არმიის რეალური საკადრო მოთხოვნილებით, რის გამოც, ბოლო სამი წლის განმავლობაში, სამხედრო საგანმანათლებლო სისტემა დაუსრულებელი ექსპერიმენტების ასპარეზად იქცა.*

გაგრძელება A2 გვერდზე

# პოლიტიკოსები ფეხბურთით "ერთობიან", ფეხბურთის სპეციალისტები - პოლიტიკით

"წითელი ბარათი" ჭყონიას და გამყრელიძეს B1


ფეხბურთის ფედერაციის სხდომა
გოგიტა ბუხაიძის ფოტო

რამდენჯერაა შესაძლებელი არჩევნების გაბათილება? A2

"თბილგაზის" სწრაფად გაყიდვას პირველი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა A4

ლუდი GUINNESS-ი იაპონიაში რეკორდებს ამყარებს A4

ამერიკა 4 ივლისის მოლოდინში A5

არიელ შარონს ბელგიაში ასამართლებენ A5

საკანონმდებლო ხვრელი, რომელშიც პენსიონერი გაიჭედა A6

ვის მხილებას აპირებს თამბაქოს საწინააღმდეგო ცენტრის ხელმძღვანელი A6

კანონით შენიღბული რეკეტი სამართალდამცველ ორგანოებში A7

ძალიან მიყვარს სიყვარული B5

# რატომ მალავენ სააქციო საზოგადოებები მოგებას

საბჭოური მენტალიტეტით მართული საწარმოები დივიდენდებს არ გასცემენ

გვანცა კვინიკაძე

*ათიათასობით აქციონერს, რომლებმაც სხვადასხვა საწარმოებში წილი ვაუჩერული თუ სხვა სახის პრივატიზებისას შეიძინეს, დივიდენდი დღემდე "თვალითაც არ უნახავთ". დაახლოებით, 400 ანგარიშვალდებული სააქციო საზოგადოებიდან, ათი პროცენტიც კი არ აჩვენებს მოგებას. მომგებიან საწარმოთა დიდი ნაწილი კი, საკუთარი სტრატეგიიდან გამომდინარე, უარს ამბობს დივიდენდების განაწილებაზე და თანხებს სხვა პრობლემების მოსაგვარებლად მიმართავს. სახელმწიფო წილის მქონე საწარმოებში, რომლებიც საფინანსო წელს, როგორც წესი, რამდენიმე ათეულმილიონიანი ზარალით ასრულებენ, დივიდენდის მიღება, საერთოდ, ფანტასტიკის სფეროს განეკუთვნება.*

ექსპერტთა აზრით, "არამომგებიან" საწარმოებად ქართული კომპანიები, უპირველეს ყოვლისა, საგადასახადო კოდექსმა აქცია, რომელიც მათ "შავი" ბუღალტერიის წარმოებისკენ უბიძგებს. გადასახადების სიმძიმისგან ისედაც შეწუხებული კომპანიები დამატებითი დაბეგვრის თავიდან აცილებას მოგების ბუღალტრულად დაფარვის მეშვეობით ახერხებენ. შესაბამისად, იშვიათი გამონაკლისების გარდა, ქვეყანაში, პრაქტიკულად, არ ნაწილდება დივიდენდებიც, რადგან თუ ორგანიზაციას მოგება არ უნახავს, იგი ვერც დივიდენდებს გასცემს.

გაგრძელება A4 გვერდზე

# პარლამენტის რიგგარეშე სხდომის დრო ფეხბურთის ტრანსლაციის მიხედვით განისაზღვრა

გიორგი ასანიშვილი

*საგაზაფხულო სესიის სამუშაო გეგმით გათვალისწინებული საკანონმდებლო "პროდუქციის წარმოება" საქართველოს პარლამენტმა დიდი გარღვევით დაამთავრა და არაერთი მნიშვნელოვანი კანონპროექტი დასამტკიცებელი დარჩა. ვინაიდან შემოდგომამდე მათი განხილვის გადადება არ ითმენს, დღის წესრიგში დადგა პარლამენტის რიგგარეშე სხდომის ჩატარების აუცილებლობა. ეს სხდომა დღეს გაიმართება, გუშინ კი პარლამენტის ბიუროზე (პარლამენტის თავმჯდომარის იტალიაში ვიზიტის გამო, მას ვიცე-სპიკერი გიგი წერეთელი უძღვებოდა) პრეზიდენტ შევარდნაძის მიერ შეთავაზებული დღის წესრიგის ირგვლივ დიდი სჯა-ბაასი გაჩაღდა.*

რიგგარეშე სხდომაზე დეპუტატები სულ რამდენიმე საკითხის განხილვით შემოიფარგლებიან. ისინი იმსჯელებენ საგადასახადო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ, შავი და ფერადი ლითონები ექსპორტისა და რეექსპორტის რეგულირების თაობაზე, აგრეთვე, ფინანსთა და საგადასახადო შემოსავლების სამინისტროების შეერთებიდან გამომდინარე, შესწორებებს შეიტანენ ქვეყნის 2002 წლის ბიუჯეტში.

ასეთი "მწირი" დღის წესრიგის გამო არაერთი დეპუტატი გამოთქვამს უკმაყოფილებას. ფრაქცია "დემოკრატების" თავმჯდომარე გიორგი ბარამიძე გაკვირვებულია, რომ პრეზიდენტი არ შემოვიდა ინიციატივით, განხილულიყო და შეფასებულიყო მთავრობის მიერ მიმდინარე წლის ოთხ თვეში გაწეული მუშაობა, მით უმეტეს, რომ ეს საკითხი გასული კვირის პლენარული სხდომის დღის წესრიგში იყო ჩასმული, მაგრამ მაშინ მისი განხილვა ვერ მოესწრო.

გაგრძელება A2 გვერდზე

# შევარდნაძე კუჩმას აფხაზეთში უკრაინის სამშვიდობო ძალების შეყვანას სთხოვს

ზაზა წულაძე

*გუშინ სტამბულში, შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციაში (ბისეკი) შემავალ სახელმწიფოთა საიუბილეო სამიტი აზერბაიჯანისა და სომხეთის უკიდურესად დაძაბული ურთიერთობების ფონზე დაიწყო. საქართველოში ამ სამიტისგან ბევრს ელიან. საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე, რომელიც ორდღიანი ვიზიტით გუშინ ეწვია თურქეთს, დღეს გეგმავს უკრაინის პრეზიდენტ ლეონიდ კუჩმასთან კიდევ ერთხელ განიხილოს აფხაზეთში დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ეგიდით მიმდინარე სამშვიდობო ოპერაციაში, უკრაინის სამშვიდობო ძალების ჩართვის საკითხი.*

გაგრძელება A2 გვერდზე

## ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 33 | ☼ |
| ქუთაისი | 32 | ☼ |
| ბათუმი | 28 | ☁ |
| სოხუმი | 29 | ☼ |
| ფოთი | 29 | ☁ |
| თელავი | 30 | ☼ |
| ზუგდიდი | 29 | ☁ |
| გორი | 28 | ☼ |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.2180 |
| ევრო | 2.1428 |
| ფუნტი სტერლინგი | 3.3274 |
| რუბლი | 0.0704 |

# პანკისი არღვევს რუსეთ-საქართველოს ორმხრივ ურთიერთობებს

ვლადიმირ პუტინის პრესკონფერენცია

რუსიკო ნიკურაძე

საკუთარი კორესპონდენტი მოსკოვში

რუსეთში აქტიური პოლიტიკური სეზონის დასრულება კრემლმა მოსკოვში აკრედიტებული უცხოელი და რუსი ჟურნალისტებისათვის ორგანიზებული გრანდიოზული პრესკონფერენციით აღნიშნა. პუტინის შეხვედრა მასობრივი ინფორმაციის წარმომადგენლებთან ანალიტიკოსებმა უკვე შეაფასეს, როგორც რუსეთში პოლიტიკური სეზონის ყველაზე მასშტაბური მოვლენა, ანუ მაისის უმნიშვნელოვანესი მედია-ფაქტი.

კრემლის მრგვალ კონფერენცდარბაზში დასაწრებად 700 ჟურნალისტი იყო აკრედიტებული, რომელთა საგულდაგულო ჩხრეკის შემდეგ პრეზიდენტის დაცვამ პრესას კორექტულად მოქცევა სთხოვა, ხოლო პუტინის პრესმდივანმა - შეკითხვების მკაფიოდ ფორმულირება და კეთილგანწყობილი ფორმატის დაცვა.

პრესკონფერენციაზე სულ 36 შეკითხვამ გაიჟღერა საერთაშორისო პოლიტიკისა და რუსეთის საგარეო თუ შიდაპოლიტიკის აქტუალურ საკითხებზე. კრემლში გამართული სამიტების შემდეგი ბრიფინგებისაგან განსხვავებით, იგრძნობოდა, რომ ყველა შეკითხვა კრემლის პრესსამსახურთან წინასწარ შეთანხმებული არ იყო, ანუ პუტინის პრესმდივანმა გრომოვმა ჟურნალისტებს ოდნავი იმპროვიზაციის ნება დართო.

გაგრძელება A3 გვერდზე


ვლადიმირ პუტინი პრესკონფერენციაზე
ИТАР-ТАСС

A2 პოლიტიკა A3 პოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 თვალსაზრისი
B2 სპორტი B3 სპორტი B4 სპორტი B5 სტილი B6 კულტურა B7 კულტურა B8 სხვადასხვა

# პარლამენტის რიგგარეშე სხდომის დრო ფეხბურთის ტრანსლაციის მიხედვით განისაზღვრა

პირველი გვერდიდან

**"სახელმწიფო მინისტრად ავთანდილ ჯორბენაძის დამტკიცებისას საუბრობდნენ ბიუჯეტის გაზრდილ პარამეტრებზე, რეალურად კი საქმე უფრო უკან და უკან წავიდა. ხომ უნდა ვიცოდეთ, რატომ მოხდა ასე?"** - გიორგი ბარამიძე ამ შეკითხვას პრეზიდენტის საპარლამენტო მდივნის - მარიამ ცაცანაშვილის დახმარებით უგზავნის ადრესატს.

უფრო მკვეთრია ტრადიციონალისტების პროტესტი: **"ვიდრე სახელმწიფო მინისტრი არ მოვა, ჩვენი ფრაქცია პარლამენტში ფეხს აღარ შემოადგამს,"** - იმუქრება ალეკო შალამბერიძე.

თუმცა, ბიუროს სხდომის დროს ყველაზე მწვავე დებატები ჯართისა და ფერადი ლითონების ექსპორტის აკრძალვის მოხსნის საკითხს მოჰყვა. დეპუტატები გაოცებას ვერ მალავდნენ იმის გამო, რომ, პარასკევის სხდომაზე ჩავარდნის მიუხედავად, ეს კანონპროექტი ისევ აღმოჩნდა მათ სამუშაო მაგიდაზე. ამ გარემოებას ეკონომიკის მინისტრი გიორგი გაჩეჩილაძე იმით ხსნის, რომ განვლილ ორ-სამ დღეში განსახილველ დოკუმენტში პრინციპული ცვლილებების შეტანა მოხერხდა. მინისტრი, კერძოდ, საუბრობს თბილისში, ფოთსა და ბათუმში ჯართის მიმღები ტერმინალების შექმნაზე, სადაც შესული პროდუქცია გულდასმით შემოწმდება და მხოლოდ ამის შემდეგ გაიცემა საზღვარგარეთ მისი გატანის ნებართვა.

**"თუ პარლამენტი მეორედაც ჩააგდებს კანონპროექტს, თანამდებობიდან გადავდგები,"** - "ემუქრება" დეპუტატებს ეკონომიკის მინისტრი.

პარლამენტარებს ძლიერი ნერვები აქვთ და მათზე ასეთი ულტიმატუმები არ ჭრის. პირიქით - უფრო აღიზიანებთ. იურიდიულ საკითხთა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე გოჩა პაიჭაძე გიორგი გაჩეჩილაძის განცხადებას საკანონმდებლო ორგანოზე ზეწოლის ფორმად მიიჩნევს და ეკონომიკის მინისტრისგან მოითხოვს, ჯართისა და ფერადი ლითონების ექსპორტის აკრძალვის გაუქმების ეკონომიკური ეფექტურობა დაასაბუთოს.



პარლამენტის ბიუროს სხდომა

ბესო გულაშვილის ფოტო

**"გასატანი რაც იყო, უკვე გაიტანეს. გამოსავალი ის იქნება, თუ ფასები გაიზრდება და დამატებითი შემოსავლები სახელმწიფო ბიუჯეტში წავა და აღმოიფხვრება დღევანდელი მავნე პრაქტიკა, როდესაც მთელ ფულს ორი-სამი კაცი იჯიბავდა და არაკანონიერი გზით ნაშოვნ სახსრებს შემდეგ პოლიტიკაში აბრუნებდა,"** - აცხადებს რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე ნუგზარ ნავაძე.

ბიუროს გუშინდელ სხდომაზე დაწყებული დავა, ალბათ, უფრო მწვავე ფორმით, დღევანდელ რიგგარეშე სხდომაზე გაგრძელდება, რომლის დაწყება, თავდაპირველად, 16 საათისთვის დაიგეგმა, მაგრამ შემდეგ პარლამენტარებმა გადაწყვიტეს, კორეა-იაპონიაში მიმდინარე მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატისთვის "პატივი მიეგოთ" და შეთანხმდნენ, თავიანთი "მატჩი" 14 საათზე გამართონ.

# შევარდნაძე კუჩმას აფხაზეთში უკრაინის სამშვიდობო ძალების შეყვანას სთხოვს

პირველი გვერდიდან

სტამბულის სამიტი ბისეკის დაარსების ათ წლისთავს დაემთხვა. ეს რეგიონული გაერთიანება 1992 წლის 25 ივნისს, თურქეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების ინიციატივით, შავი ზღვის აუზის მიმდებარე თერთმეტი სახელმწიფოს - თურქეთის, რუსეთის, საქართველოს, საბერძნეთის, რუმინეთის, სომხეთის, ალბანეთის, აზერბაიჯანის, მოლდოვას, ბულგარეთისა და უკრაინის მონაწილეობით დაარსდა.

ათი წლის უკან ბისეკის პირველი სამიტი უპრეცედენტო ფაქტით გაიხსნა. საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ, რომელიც, ექსპრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მომხრეთა მიერ სახელმწიფო ტელევიზიის შენობის აღების მიუხედავად, მაინც ჩაფრინდა სტამბულში, ხელკლავი გამოსდო აზერბაიჯანის პრეზიდენტ ჰეიდარ ალიევს და სომხეთის მაშინდელ პრეზიდენტ ლევონ ტერ-პეტროსიანთან მიიყვანა. შეიძლება ითქვას, რომ ამ ფაქტმა სათავე დაუდო სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის პირველ მოლაპარაკებას მთიანი ყარაბაღის პრობლემასთან დაკავშირებით.

ათი წლის შემდეგ, ზუსტად ამდაგვარი მისიის შესრულება ვერ შეძლო თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ისმაილ ჯემმა. სტამბულის სამიტის წინ თურქეთის საიდუმლო კონსულტაციებმა ერთმანეთთან კვლავაც უკიდურესად დაპირისპირებულ აზერბაიჯანთან და სომხეთთან შედეგი ვერ გამოიღო. გუშინ ჰეიდარ ალიევმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ **"არ აქვს სურვილი, შეხვდეს სომხეთის პრეზიდენტ რობერტ კოჩარიანს და, მით უმეტეს, არ შეხვდება სტამბულში ჩასულ სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ვარდან ოსკანიანს".** სომხეთის პრეზიდენტი, ქვეყანაში შიდაპოლიტიკური ვითარების გართულების გამო, სტამბულში საერთოდ არ ჩავიდა. ოპოზიციის გააქტიურებაში, რომელიც რობერტ კოჩარიანის იმპიჩმენტს ითხოვს, თავად კოჩარიანი ალიევს ადანაშაულებს. გასულ ხუთშაბათს ალიევმა თავს ნება მისცა, გაეხმაურებინა მთიანი ყარაბაღის პრობლემის მოგვარების საიდუმლო გეგმის დეტალები, რომელიც პარიზში კონფიდენციალური კონსულტაციების შემდეგ მიიღეს. ამ გეგმის მიხედვით, აზერბაიჯანი სომხეთს მეგრის რაიონს უთმობს, ოკუპირებული ლაჩინის დერეფნის სანაცვლოდ. ეს სომხეთის მხრიდან მნიშვნელოვანი დათმობა იყო, ამიტომ ალიევის განცხადებას სომხური ოპოზიციის მასობრივი გამოსვლები და სიტუაციის უკიდურესად დაძაბვა მოჰყვა. რობერტ კოჩარიანმა პირდაპირ განაცხადა, რომ **"ალიევის განცხადებები მიზნად სომხეთში პოლიტიკური სიტუაციის აფეთქებასა და პრეზიდენტის შეცვლას ისახავს".**

ამ გამწვავებული ურთიერთობის გამო, თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ისმაილ ჯემი დღეს ცალ-ცალკე შეხვდება ალიევსა და ვოსკანიანს. ჯემი, ასევე, შეეცდება ალიევისა და კოჩარიანის შეხვედრის ორგანიზებას მიაღწიოს, რომელიც ალბათ ივლისში გაიმართება. **"მთიანი ყარაბაღის პრობლემის მოგვარების გზების ძიება ბისეკის ფარგლებშიც უნდა ვეცადოთ,"** – თქვა გუშინ ისმაილ ჯემმა. ბისეკის სამიტის ყველაზე უმნიშვნელო მოვლენად ექსპერტები სწორედ თურქეთ-აზერბაიჯან-სომხეთის კონსულტაციებს მიიჩნევენ.

გუშინ თურქეთის პრეზიდენტ აჰმედ ნეჯდეთ სეზერის მიერ მოწყობილ ოფიციალურ სადილს მხოლოდ ცხრა ქვეყნის პრეზიდენტი დაესწრო. სტამბულში, სომხეთის დარად, საბერძნეთმაც საგარეო საქმეთა მინისტრი გააგზავნა. რუსეთის ფედერაციას კი საერთოდ პრემიერ-მინისტრის მოადგილე, ქალბატონი ვალენტინა მატვიენკო წარმოადგენს. საქართველოს პრეზიდენტი გუშინვე შეხვდა აზერბაიჯანელ კოლეგას ჰეიდარ ალიევს, რომელთანაც ორმხრივი ურთიერთობების საკითხები და სუამის ფორუმის პერსპექტივები განიხილა, მას შემდეგ, რაც ეს ორგანიზაცია უზბეკეთმა დატოვა. დღეს შევარდნაძეს დაგეგმილი აქვს შეხვედრები ლეონიდ კუჩმასთან და ბულგარეთის პრეზიდენტ გიორგი პირვანოვთან. შუადღისას საქართველოს პრეზიდენტი სიტყვით გამოვა კემბრიჯის ენერგეტიკის კვლევის ცენტრის მიერ მოწყობილ კონფერენციაზე - "სამი ზღვის ამბავი - ენერგეტიკის სფეროში რეგიონული თანამშრომლობის განვითარება". ბოლოს კი ბისეკის გენერალური მდივნის, ქართველი დიპლომატის ვალერი ჩეჩელაშვილის მიერ მოწყობილ ოფიციალურ სადილს დაესწრება.

ყველაზე საინტერესო შევარდნაძისა და კუჩმას შეხვედრა უნდა გამოდგეს, სადაც, "24 საათის" ინფორმაციით, საქართველოს პრეზიდენტი კიდევ ერთხელ აპირებს განიხილოს აფხაზეთში უკრაინის სამშვიდობო ძალების შესვლის საკითხი. ბისეკის საგარეო საქმეთა მინისტრების ბოლო შეხვედრაზე უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრმა ანატოლი ზლენკომ დაადასტურა, რომ **"უკრაინა მზად არის, გამოეხმაუროს მოძმე საქართველოს თხოვნას და გაეროს ეგიდით მონაწილეობა მიიღოს აფხაზეთის სამშვიდობო ოპერაციაში".**

# უმაღლეს სამხედრო განათლებას ამჯერად თურქები წარმართავენ

პირველი გვერდიდან

საქართველოში პირველი სამხედრო სასწავლებლის ჩამოყალიბება 1993 წლის მაისში, ყოფილი საბჭოთა არმიის საარტილერიო-სამეთაურო სასწავლებლის ბაზაზე დაიწყო და, ყველაფრის გააკადემიურების უკვე ფეხმოკიდებული ტენდენციის გამო, მასაც პირდაპირ სამხედრო აკადემია ეწოდა.

იმავე წელს კი საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტულ ამოცანად რუსეთთან ყველა სფეროში მჭიდრო თანამშრომლობა გამოაცხადა. სამხედრო სფეროში ამ ამოცანის განხორციელება დაეკისრა თავდაცვის ახალ მინისტრს, გენერალ ვარდიკო ნადიბაიძეს, რომელმაც მთავარსარდლის ბრძანება პირნათლად შეასრულა და ყველა სამხედრო უჯრედის, მათ შორის, ერთადერთი სამხედრო სასწავლებელის, რუსულ ყაიდაზე გადაწყობა დაიწყო. სულ მალე, მთელი სასწავლო პროცესი, ისეთ უმნიშვნელოვანეს დეტალებამდეც კი, როგორიცაა მხედრული სალმის მიცემა, სამწყობრო ნაბიჯი და სალაშქრო სიმღერებიც რუსულის ალი-კვალი გახლდათ.

თუმცა სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ საქართველო ამ თვალსაზრისით გამონაკლისი არ გახლდათ და იმხანად ბევრი პოსტსაბჭოთა ქვეყანა (მაგალითად უკრაინა და უზბეკეთი) რუსული მოდელით აშენებდა საკუთარ სამხედრო სკოლებს და - საკმაოდ წარმატებითაც. მაგრამ საქართველოს ხელისუფლების მთავარი შეცდომა ის არის, რომ, საკუთარი არათანამიმდევრულობის გამო, მას ბოლომდე არც ერთი წამოწყების მიყვანა არ ძალუძს.

იმის ნაცვლად, რომ საბიუჯეტო თანხები ერთადერთ სამხედრო აკადემიაში სასწავლო პროცესის გაძლიერებისკენ მიემართა, სამხედრო უწყების ხელმძღვანელობა უპერსპექტივო გზას დაადგა - დაიწყო ქართველი ოფიცრების მასობრივი გაგზავნა რუსეთის ძვირადღირებულ სამხედრო სასწავლებლებში, რის გამოც რუსეთის მიმართ არსებულ საქართველოს დავალიანებას, სულ მალე, ქართველი ოფიცრების სწავლის ქირის საფასური - 6 მილიონი დოლარიც დაემატა.

ამასობაში საქართველოს ხელისუფლებამ ორიენტაცია დასავლეთზე აიღო, პრორუსულად განწყობილი ვარდიკო ნადიბაიძე ამერიკიდან დაბრუნებული დავით თევზაძით შეიცვალა, რომელიც იძულებული გახდა, სწავლის დაუმთავრებლად, უკან დაებრუნებინა რუსეთში გაგზავნილი ოფიცრები და კადრების მომზადების პრობლემის მოგვარების სულ სხვა გზაზე ეფიქრა.

ბუნებრივია, დავით თევზაძე წინამორბედის სრული ანტიპოდი აღმოჩნდა. თუ ნადიბაიძის დროს აქცენტი რუსულ სამხედრო სასწავლებლებზე კეთდებოდა, თევზაძემ საერთოდ შეწყვიტა რუსეთთან სამხედრო განათლების სფეროში თანამშრომლობა და ქართველ ოფიცრებს დასავლეთისკენ გაუხსნა გზა. მაგრამ კადრების მომზადების პრობლემა ამით მაინც ვერ გადაწყდა. ამის მიზეზებიც საყოველთაოდ ცნობილია - საქართველოში დაბრუნების შემდეგ, დასავლეთის პრესტიჟულ სასწავლებელში განათლებამიღებულთა უმრავლესობა, ან უარს აცხადებდა სამსახურის გაგრძელებაზე საბრძოლო ნაწილებში, სადაც ყველაზე დიდი მოთხოვნილებაა სამეთაურო კადრებზე, ანდა საერთოდ სხვა უწყების სასარგებლოდ აკეთებდა არჩევანს.

ვითარების გამოსწორებას სამხედრო უწყება აკადემიაში ახალი ექსპერიმენტით შეეცადა - 2000 წელს, დავით თევზაძის ბრძანებით, გაუქმდა აბიტურიენტთა მიღება ოთხწლიანი სწავლების კურსებზე და სამხედრო აკადემიაში კონკურსი ერთწლიანი სწავლების პროგრამაზე გამოცხადდა. პროგრამა დიდი ბრიტანეთში აპრობირებული მეთოდოლოგიის ანალოგიით იყო შექმნილი და მას ბრიტანეთის სამეფო კოლეჯის კურსდამთავრებული, კაპიტანი ლაშა გრიგოლია ჩაუდგა სათავეში. მაგრამ, როგორც ჩანს, ქართულმა მხარემ მალე დაკარგა ინტერესი ამ არჩევანისადმი, რადგან ინგლისურ მოდელზე გადასვლას, ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტრომ ჯეროვანი ფინასური მხარდაჭერა არ აღმოუჩინა(ქართული გაგებით დახმარება ხომ სრულ კმაყოფაზე აყვანას გულისხმობს!).

ამიტომ, რამდენიმე თვის წინ, სამხედრო განათლების სფეროში საქართველოს ახალი პარტნიორი გამოუჩნდა თურქეთის სახით, რომელიც ვალდებულებას კისრულობს, დაახლოებით ათი მილიონი დოლარის ფარგლებში, დააფინანსოს თავდაცვის ეროვნული აკადემიის ნატოს საგანმანათლებლო სისტემაზე გადასვლის პროცესი. მაგრამ თურქეთის სამხედრო ხელმძღვანელობა გადაჭრით აყენებს საკითხს, რომ ქართველი ოფიცრების გაწვრთნა და სწავლება უნდა ხდებოდეს თურქეთის სამხედრო აკადემიაში აპრობირებული ხუთწლიანი პროგრამის შესაბამისად.



აკადემიის კურსანტები ვაზიანის სამხედრო ბაზის საზეიმო გახსნაზე

გოგიტა ბუხაიძის ფოტო

მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი ქართველი ოფიცრისთვის ფსიქოლოგიურად ძნელი შესაგუებელია რუსული სამხედრო წესებიდან თურქულზე გადასვლა, საქართველოს ხელმძღვანელობა თურქული მხარის პირობებს დათანხმდა და თავდაცვის ეროვნულ აკადემიაში აბიტურიენტების პირველი მიღებაც გამოაცხადა.

საკონკურსო კომისიიის განცხადების თანახმად, მისაღებ გამოცდებზე დაიშვებიან 17-დამ 21 წლის ასაკის საშუალო განათლების მქონე წვევამდელები, რომელთა პროფესიული შერჩევა ადგილობრივ კომისარიატებში მოხდება. ხოლო მისაღები გამოცდების შემდეგ, რაც, ტრადიციულად, ქართულ ენის ცოდნის, ფიზიკური მომაზადებისა და ზოგადი განათლების დონის დასადგენად ჩატარდება, კურსანტები ხუთი წელიწადი ისწავლიან წინასწარშერჩეული სამხედრო სპეციალობის დასაუფლებლად. გარდა ამისა, მსმენელები სწავლის პერიოდში ორ უცხო ენას და სამოქალაქო სპეციალობასაც შეისწავლიან. ხოლო სწავლების ხუთი წელი ძალიან ერთფეროვანი და დამთრგუნველი რომ არ იყოს, თურქეთის მხარემ უკვე დაიწყო ყაზარმების, სასადილოსა და სასწავლო კლასების ევროპულ ყაიდაზე გარემონტება.

მაგრამ თანამედროვე საზოგადოებაში ყველა წამოწყებას რეკლამა ესაჭიროება. მით უფრო საქართველოში, სადაც, არასწორი სახელმწიფო მიდგომის შედეგად, დაკნინებული სამხედრო პროფესიისადმი მოქალაქეების გულის მობრუნებას, კიდევ არაერთი წელი დასჭირდება. შესაძლოა სწორედ ეს ფსიქოლოგიური სტერეოტიპი იყოს ერთ-ერთი მავარი მიზეზი იმისა, რომ თავდაცვის ეროვნულ აკადემიაში საბუთები მხოლოდ ხუთმა ადამიანმა შეიტანა. არადა, შეთანხმების თანახმად, მისაღები კონტინგენტი 200 მსმენელით განისაზღვრა და თუ ივლისის ბოლომდე ეს რაოდენობა ვერ მოგროვდა, მაშინ, შესაძლოა, პროგრამის განხორციელება კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს.

# რამდენჯერაა შესაძლებელი არჩევნების გაბათილება?

რუსთავის საოლქო საარჩევნო კომისიამ ორ საარჩევნო უბანზე ჩატარებული საკრებულოს არჩევნების განმეორებითი კენჭისყრა განმეორებით გამოაცხადა ბათილად. ეს გადაწყვეტილება საოლქომ 5 საათიანი ჭოჭმანის შემდეგ, ხმათა უმრავლესობით (ათი ერთის წინააღმდეგ) მიიღო. გაბათილების მიზეზად კანონის უხეში დარღვევა დაფიქსირდა - ორივე უბანზე ამომრჩეველთა სამაგიდო სიებსა და საარჩევნო ყუთში არსებულ კონვერტებს შორის დიდი სხვაობა აღმოაჩინეს, ერთგან 60 და მეორეგან - 82, რის გამოც ხმის დათვლის პროცედურა უბნებზე აღარ ჩატარებულა - უბნის თავმჯდომარეებმა ყუთები დალუქეს და საოლქო საარჩევნო კომისიაში გადაიტანეს.

მაშინვე გაჩნდა ვარაუდი, რომ შედეგები გაბათილდებოდა. ამის წინააღმდეგ 138 კანდიდატიდან მხოლოდ ერთი, "ახალი მემარჯვენეების" კანდიდატი პაპუნა ბახტაძე გამოვიდა, რადგან ამ ორი უბნის შედეგები მას საკრებულოს 15 კაციან შემადგენლობაში შესვლის დიდ შანსს აძლევდა. "ახლები" თავის დამკვირვებლებთან ერთად გუშინ საოლქო კომისიის სხდომას ესწრებოდნენ. კომისიამ ახსნა-განმარტებისათვის მე-4 უბნის კომისიის თავმჯდომარე მიიწვია. მამუკა მიქაუტაძემ დარღვევის მიზეზი ან თავად დამრღვევი ვერ დაასახელა და განაცხადა: "დამკვირვებელთა დაწყნარებას ვუნდებოდი და არ ვიცი, სხვაობა რატომ დაფიქსირდაო."

"ახლები" თავის მხრივ აცხადებდნენ, რომ კომისიის წევრები შეგნებულად ცდილობდნენ, ამომრჩევლისათვის ხელი არ მოეწერინებინათ და ამით გაყალბებისათვის ნიადაგს ქმნიდნენ. ერთ-ერთი დამკვირვებლის, დალი დეკანოსიძის თქმით, ლეიბორისტებმა, ნაციონალებმა და ახლებმა ამომრჩეველთა ერთი და იგივე რიცხვი დააფიქსირეს, სამუშაო სიაში ხელმოწერა კი განსხვავებული აღმოჩნდა.

საბოლოოდ, მართალია, გაყალბების ფაქტის დასახელება ვერავინ შესძლო, მაგრამ საწინააღმდეგოს დამტკიცებაც შეუძლებელი აღმოჩნდა.

"ახლების" ყოფილი კანდიდატი პაპუნა ბახტაძე გარიგებასა და ზეწოლაზე ალაპარაკდა: **" თუ ამ უბნების შედეგებს არ გააბათილებდნენ, გამოდიოდა, რომ საკრებულოს წინასწარ დაგეგმილ სქემას ვშლიდით. ადგილი ჰქონდა მოლაპარაკებებს, გარიგებებს და, ფაქტობრივად, ამხელა ძალების წინაშე უძლურნი აღმოვჩნდით. საკრებულოს სია გარიგებით შედგა. ჩვენ ამ სიაში ვერ მოვხვდით, რადგან გარიგებაზე არ წავედით."**

რუსთავის საოლქო საარჩევნო კომისიამ სპეციალური ჯგუფი შექმნა, რომელიც ცესოკ-სთვის გასაგზავნი წერილის ტექსტს შეიმუშავებს. კომისიამ, შესაძლოა, იმ განცხადებების თაობაზეც აცნობოს მას, რომლებიც გუშინ საღამოს 8 საათამდე შევიდა მათთან - ეს გახლავთ საკრებულოს წევრებისა და სხვადასხვა საარჩევნო სუბიექტების კოლექტიური განცხადებები, სადაც ისინი ადასტურებენ, რომ არჩევნები კანონის შესაბამისად ჩატარდა და დარღვევებს ადგილი არ ჰქონია.

საოლქომ გადაწყვეტილება ბათილობის შესახებ კი მიიღო, მაგრამ საბოლოო ვერდიქტის გამოტანის პრეროგატივა ცესკო-ს დაუტოვა. კომისიის წევრები ღიად აფიქსირებდნენ, რომ მოქალაქეობრივი პოზიციის გამო, გაუჭირდათ გადაწყვეტილების მიღება.

ცესკო საოლქო კომისიის წერილს დღეს მიიღებს. თუ ბათილობას ისიც დაადასტურებს, რუსთავში არჩევნები ჩატარებულად გამოცხადდება და საკრებულოს უკვე არსებული შემადგენლობაც არ შეიცვლება.

გამომცემელი: რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი) , ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი), დამატებები: დედაქალაქი-დავით მაღრაძე, ლიტერატურა-მალხაზ ხარბედია, სამყარო-ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი-ნიკოლოზ რურუა, სტილი-ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა-ზაზა ფაჩუაშვილი. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი), დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, ირაკლი ბილაშვილი, დავით გეგეჭკორი, დიტო შალუტაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია. სტილი: ნანა ჯოხარიძე, თამარ კვაჭანტირაძე, მზია შომახია.ჯუანშერ ტიკარაძე. რეკლამა-ზურაბ ჯაოშვილი.

# პარტიათა „თავდაუსხმელობის პაქტი„ „ნაციონალების„ ინტერპრეტაციით

ლიკა კობალაძე

"ნაციონალური მოძრაობის" ლიდერები პოლიტიკური პარტიებისადმი საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის 11 ივნისის მიმართვას გამოეხმაურნენ. გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე ზვიად ძიძიგურმა მოძრაობის ეს ინიციატივა შემდეგნაირად ჩამოაყალიბა: **"პატრიარქის მიმართვის საფუძველზე ჩვენ შევიმუშავებთ პოლიტიკური კონვენციის ტექსტს. ყველა პოლიტიკურ პარტიას ვთხოვთ, რომ მოაწერონ ხელი და დაიცვან მასში გატარებული პრინციპები. ეს იქნება ერთგვარი პაქტი პარტიებს შორის თავდაუსხმელობის შესახებ. იმედი გვაქვს, რომ ეს ინიციატივა ხელს შეუწყობს ჩვენს ქვეყანაში პოლიტიკური კლიმატის გაჯანსაღებას."**

კობა დავითაშვილი: **"არ ვაპირებთ, გადავლახოთ ის ზღვარი, რასაც შეურაცხყოფა ჰქვია, პარტიებს შორის კრიტიკა კი საქმიანი უნდა იყოს."** თუმცა ისიც აღნიშნა, რომ არც კრიტიკას შევასუსტებთო.

პრესკონფერენციაზე მოძრაობის ლიდერები ცესკოს მიერ ხმების გადათვლის საკითხსაც შეეხნენ. დავით ბერძენიშვილმა აღნიშნა, რომ თუ ბიულეტენებს რეალურად დაითვლიან, გადათვლის მოსალოდნელი შედეგები არ აშინებს. მისი თქმით, დინამიკა ისეთია, რომ მათი მანდატების რაოდენობა უნდა გაიზარდოს. კობა დავითაშვილმა კი ცესკოს ურჩია, ნაცვლად სამი თვისა (ცესკომ ეს ვადა მოითხოვა ხმების გადასათვლელად), ათი დღის ვადაში ჩაეტიოს, რადგან ედპ-სა და "სახალხოელების" სარჩელების განხილვისას, ხმების გადასათვლელად სასამართლომ ზუსტად ეს ვადა მიუთითა. მან ასევე აღნიშნა, რომ არჩევნების ჩაშლა ან ხელახალი არჩევნების დანიშვნა მათთვის კატეგორიულად მიუღებელია.

**"ჩვენ გვაქვს სერიოზული ინფორმაცია, რომ ქალაქის ბიუჯეტისთვის განსაზღვრული 175 მლნ. ლარიდან, მნიშვნელოვანი ნაწილი ფიზიკურად აღარ არსებობს. თუ არჩევნების შედეგების დათვლას კიდევ სამ თვეს მოანდომებენ, ახალი საკრებულოს შემადგენლობა აღნიშნული ბიუჯეტის კუდსაც ველარ მიუსწრებს, ეს, პირველ რიგში, ქალაქის მმართველობაში, მის სამსახურებში სრულ ქაოსს გამოიწვევს. მაქსიმალურად ვეცდებით, ცესკოში შემუშავებულ იქნას დათვლის ისეთი წესი, რომ ხელისუფლებამ ვერ მიაღწიოს არჩევნების შედეგების გაუქმებას,"** - განაცხადა ზვიად ძიძიგურმა. მოძრაობის ლიდერების თქმით, ხელისუფლება "თბილგაზის" გაყიდვას პოლიტიკური ძალებისაგან და საზოგადოებისაგან იზოლირებულად ცდილობს, რათა ეს ქონება ჩალის ფასად თვითონვე შეიძინოს. **"ამიტომ ცესკოს მიერ დასახელებული სამთვიანი ვადა სწორედ ხელისუფალთა ინტერესებიდან გამომდინარეობს, ვინაიდან ახალი საკრებულოს პირობებში ამას ვერ მოახერხებენ,"** – აღნიშნა დავით ბერძენიშვილმა.

# დღე პირველი...

ეკა ბაქაღუა

მართალია, იმერეთის გუბერნატორმა ქუთაისის საკრებულოს ახალ თავმჯდომარეს თანამდებობა არ მიულოცა, მაგრამ დავით ბენიძე იმედს არ კარგავს. იგი პირველ სამუშაო დღეს კაბინეტშიც ვერ ახერხებს შესვლას. ამის მიზეზი უშუქობაა, რომელიც კარგა ხანია აწუხებს არა მარტო "დავალიანებულ" ქალაქს, არამედ მთელ რეგიონს. საკრებულოს პირველი სხდომა დღეს გაიმართება. "**თუ სიტუაციას ვერ გამოვასწორებთ და უამრავ პრობლემას, რომლის წინაშე დღეს ჩვენი ქალაქი დგას, ნაწილობრივ მაინც ვერ გადავჭრით, ვერავის დავაბრალებთ, გარდა ჩვენი თავისა. ქალაქის მერიც და მეც "ახლები" ვართ და, ვფიქრობ, ერთობლივად მოვახერხებთ ქალაქს ელემენტარული პრობლემები მაინც მოვუხსნათ. ეს თუ ასე არ მოხდა, პასუხი ჩვენმა პარტიამ უნდა აგოს. გამოცდილება და განვლილი გზა გვაძლევს იმის საშუალებას, რომ საკუთარი თავის იმედი გვქონდეს, თუმცა ხელისშემშლელი პირობებიც ბევრია. ავიღოთ, თუნდაც, ქალაქის ბიუჯეტი. 21 მილიონი — მიზერული და არაფრისმთქმელი ციფრია,**"- განუცხადა "24 საათს" დავით ბენიძემ. "ახლების" გარემოცვაში მოხვედრილ ორ მოქალაქეს, ერთ სოციალისტს და სამ მაჟორიტარ დეპუტატს საკრებულოს თავმჯდომარე მშვიდობიან ურთიერთობას ჰპირდება და აცხადებს: **" ჩვენ პარტიულობით თავს არ მოვიკლავთ, მთავარია, ქალაქის საკეთილდღეოდ ვიმოქმედოთ"**.

თემურ შაშიაშვილს კი განახლებული საკრებულო საგანგებოდ სთხოვს, ლოიალური იყოს მათ მიმართ. გუბერნატორმაც გუშინვე დადო პირობა, რომ მათ ხელს არაფერში შეუშლის.

# "ჩვენი ქვეყნის ისტორიაში ყველაზე სამარცხვინო პერიოდი დგება"


გიგი წერეთელი


გია ზესაშვილი


ირაკლი გოგავა

პირველი გვერდიდან

ამის მიუხედავად, პოლიტიკოსების ნაწილს მიაჩნია, რომ ხელისუფლება და, მათ შორის, ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრთა ნაწილი, ცდილობს არჩევნები შემოდგომისთვის გადადონ.

პარლამენტის ვიცე-სპიკერი გიგი წერეთელი:

**- ძალიან არასასიამოვნო პროცესი დაიწყო. ადამიანებმა იბრძოლეს, რომ არჩევნებში მიეღოთ მონაწილეობა და ხმები მიეღოთ. ეს არჩევნები ჩაატარა მოსახლეობამ. ხელისუფლებამ კი ყველაფერი გააკეთა მის ჩასაშლელად. თუნდაც ორგანიზების თვალსაზრისით რაც გააკეთეს, სხვა არაფერი იყო, თუ არა ჩაშლის მცდელობა. როგორც ამბობენ, უბნებზე იყო დარღვევები, მაგრამ მთლიანობაში ამას არ უნდა შეეშალა ხელი არჩევნების ჩატარებისთვის. დღეს ისეთი ტენდენცია იკვეთება, რომ მისი შედეგები უნდა გაუქმდეს. გავრცელებული კულუარული ინფორმაციით, წინასწარაა დაგეგმილი გარკვეული სცენარი: როცა გაიხსნება ყუთები, იმდენი დარღვევები იქნება, რომ არჩენვების შედეგებს გააუქმებენ. ეს იქნება ძალიან ცუდი პრეცედენტი.**

**ვის აძლევს ხელს? - წესით, არჩევნების გაუქმება აძლევს ხელს იმას, ვინც ვერ მიაღწია სასურველ შედეგს. თუმცა წლევანდელი არჩევნები მაინც განსხვავებული იყო, რადგან გაყალბებაზე საუბარი დაიწყეს გამარჯვებულმა პარტიებმა და არა იმიტომ, რომ შედეგები გაუქმებულიყო, არამედ იმისთვის, რომ თავისი ხმები დაეცვათ.**

**ბიულეტენების გადათვლა, რათა დაცული იყოს პარტიების მონაპოვარი, თავისთავად ცუდი არ არის, მაგრამ აქ მეორე მომენტიც უნდა დავინახოთ – შესაძლებელია, გადამოწმების საბაბით, ყოველთვის იყოს შედეგების გაუქმების მცდელობა. საერთოდ, ამ ყველაფერს პოლიტიკური დრამატიზმიც ახლავს - ძველმა საკრებულომ მოიხსნა უფლებამოსილება და იქმნება ძალიან სერიოზული ვაკუუმი. თუ არ შეიკრიბება ახალი საკრებულო, მაშინ დროებითი მმართველობა უნდა შემოვიღოთ და იგი უნდა იყოს სახელისუფლებო ვერტიკალზე ჩამოკიდებული; ან უნდა აღდგეს ძველი საკრებულო.**

**მთლიანობაში კი მეჩვენება, რომ დღეს ჩვენი ქვეყნის უახლოეს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე სამარცხვინო პერიოდი დგება. რა უნდა ვუთხრათ ამომრჩეველს, საერთაშორისო საზოგადოებას? ძალიან შეშფოთებული ვუყურებ ამ პროცესებს. არჩევნების შედეგების გაუქმება ძალიან ნეგატიურ შედეგებს მოუტანს ქვეყანას. თუკი არჩევნები მაინც გადაიდება, მაშინ იგი საპარალმენტოსთან ერთად უნდა გაიმართოს. სხვა გამოსავალს ვერ ვხედავ.**

რაც შეეხება მოქალაქეთა კავშირს, მისი წარმომადგენლები სულაც არ იზიარებენ პარლამენტის ვიცე-სპიკერის შეშფოთებას.

ირაკლი გოგავა, ფრაქცია "ალიანსი ახალი საქართველოსთვის":

**- პირველ რიგში საჭიროა ცენტრალური საარჩევნო კომისიის სრული რეორგანიზაცია. პარტიული ცესკო არ ამართლებს. იგი უნდა გაუქმდეს და გადავიდეთ პროფესიულ ცენტრალურ საარჩევნო კომისიაზე. გარდა ამისა, რამდენიმე თვით ადრე უნდა გამოქვეყნდეს ამომრჩეველთა სიები.**

**მე წინააღმდეგი ვარ ხმების გადათვლისა. ცესკო ვერაფერს შეძლებს. არჩენვები გაყალბდა, მაგრამ მოსახლეობის იმ საგიჟეთში დაბრუნება დიდ უზნეობად მიმაჩნია. მე ამის წინააღმდეგი ვარ. ამიტომ უნდა დარჩეს ყველაფერი ისე, როგორც არის. ნაკლებად მაინტერესებს, რა წესს შეიმუშავებს და როგორ დაითვლის ბიულეტენებს ცესკო.**

ტრადიციონალისტი ალექსანდრე შალამბერიძე კი აცხადებს:

**- წესის შემუშავება ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია და ამაში მონაწილეობა უნდა მიიღოს ყველა პარტიამ, პარიტეტულ საწყისებზე. ამ საქმით ოცამდე ადამიანი დაკავდება. რაც მეტნი იქნებიან, უფრო ადრე მოხდება ბიულეტენების გადამოწმება. მეორე მხრივ, პარლამენტში შეიქმნა არჩევნებთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი საგამოძიებო კომისია, თუმცა სასამრათლომ კარგი მაგალითი მისცა მათ, როცა თავად ცენტრალურ საარჩევნო კომისიას დაავალა წესის შემუშავება. მას, ალბათ, მიიღებენ, რადგან სხვა გზა არ არის. რაც შეეხება ბიულეტენებს, ისინი არასახარბიელო მდგომარეობაშია, თუმცა რაიმეს ცესკო მაინც მოიმოქმედებს. პარტიები ვადებში არ არიან შეზღუდულები. არც არის იმის დიდი საჭიროება, რომ სწორედ ზაფხულში ამოქმედდეს თბილისის საკრებულო. არც ხელახალი არჩევნების შესაძლებლობას გამოვრიცხავ.**

# პანკისი არღვევს რუსეთ-საქართველოს ორმხრივ ურთიერთობებს

პირველი გვერდიდან

პრესკონფერენცია რუსეთის რეგიონული პრობლემების განხილვით დაიწყო და ჟურნალისტებმა პრეზიდენტის განწყობიდან გამოიტანეს დასკვნა, რომ პუტინი გუბერნატორებთან ურთიერთობაში არცთუ მთლად ხისტ პოლიტიკას ატარებს, რადგანაც გუბერნატორთა პოსტებზე მოზღვავებული ოლიგარქები დღეს კრემლს ისე სჭირდება, როგორც არასდროს.

პრეზიდენტმა ჟურნალისტებს გააცნო თავისი დამოკიდებულება ჩეჩნეთის პრობლემისადმი. ჩეჩენი ჟურნალისტის შეკითხვაზე პუტინმა უპასუხა, რომ ჩეჩენი ხალხი არაფერ შუაშია იმ ნეგატიურ სახესთან, რაც ტერორიზმის პრობლემამ შეუქმნა მთელს ხალხს. პუტინის თქმით, "ფედერალური ცენტრის ბრალია, რომ რუსეთის ხელისუფლებამ არ იმუშავა ამ საკითხზე. უახლოეს ერთ წელიწადში ჩეჩნეთში კონსტიტუცია გამყარდება და ჯარები თუ სპეცსამსახურების დანაყოფები იქ საჭირო აღარ იქნება."

ჩეჩნეთის შემდეგ პუტინი დამუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის პრობლემას გადასწვდა და გაფანტა ჟურნალისტების ეჭვი რუსეთ-ბელარუსის ბინდით მოცულ ინტეგრაციაზე. თუმცა, ჟურნალისტებმა მაინც ვერ გაიგეს, ხელს აძლევს თუ არა დღეს პუტინს ერთიანი სახელმწიფო და ლუკაშენკოს პოლიტიკური "ბაგაჟი." ყოველ შემთხვევაში, ერთიანი ფულადი სივრცის კატეგორიული წინააღმდეგი ვარო, - განაცხადა.

ჟურნალისტების შეკითხვას, თუ რას მიეწერება ბოლო დროს ელცინის ასეთი გააქტიურება და რუსეთის პირველი პრეზიდენტის გაახალგაზრდავებული იმიჯი, პუტინმა უპასუხა, რომ იგი დადებითად აფასებს ელცინის აქტივობას, რადგანაც კრემლში მუდამ ყურადღებით უსმენდნენ და მოუსმენენ ელცინის რჩევებს. რუსეთის ახალ პოლიტიკურ მოდელში პუტინი თავს ელცინის მემკვიდრედ არ თვლის. "მე არ ვფიქრობ, რომ რუსეთის პრეზიდენტის კურსი უარყოფს ელცინის პოლიტიკური მემკვიდრეობის იმ ძველ და აუცილებელ ბაზას, რამაც თავის დროზე რუსეთის სახელმწიფოებრიობის განმტკიცებაში დიდი როლი ითამაშა," - განაცხადა პუტინმა.

პუტინმა ასევე განაცხადა, რომ იგი არასოდეს მოწყდება ხალხს. "კრემლის რეზიდენციაში კი ვცხოვრობ, მაგრამ არ მავიწყდება, რომ, როცა "კგბ"-ს ოფიცერი ვიყავი, 30 წელი ლენინგრადის კომუნალურ ბინაში გავატარე," - თქვა პუტინმა. იქვე უკმაყოფილება გამოხატა იმის გამო, რომ დღეს კუსტარული მრეწველები პრეზიდენტის გამოსახულებას ახატავენ მაისურებს, სააღდგომო კვერცხებსა და "მატრიოშკებს".

პრეზიდენტმა გვერდი არ აუარა ისეთ აქტუალურ საკითხს, როგორიც ხელისუფლებისა და პრესის ურთიერთობაა. პუტინის თქმით, ოფიციოზს რაიმე პრიორიტეტები მედია-ბაზარზე არ უნდა გააჩნდეს. ეს პოპულისტური განცხადება ჟურნალისტებმა პრეზიდენტს მლიქვნელობად ჩაუთვალეს და შეკითხვა აღარ დაუკონკრეტებიათ. ისედაც ყველამ იცის, რომ რუსეთში თავისუფალ პრესასთან მიმართებაში ყველაფერი თავდაყირაა. "მასობრივი ინფორმაციის ზოგიერთი საშუალების პუბლიკაციებს კორექტული ნამდვილად არ ეთქმის, შანტაჟი დაუშვებელია," - ხმაში მუქარა გაურია პრეზიდენტმა.

"მსოფლიო ეკონომიკის 90 პროცენტი მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრ ქვეყნებზე მოდის, ამიტომ დაუშვებელია, რუსეთი ამ ორგანიზაციის წევრი არ იყოს," - თქვა პუტინმა.

და ბოლოს, პრესკონფერენციის ჩვენთვის ყველაზე მთავარი საკითხი - პანკისის ხეობა და იქ დაბუდებული საერთაშორისო ტერორიზმის აღმოფხვრის გზები. ამ საკითხს ვლადიმირ პუტინი განსაკუთრებული ენთუზიაზმით შეეხო და პასუხისას თვალს არ აშორებდა მრგვალი დარბაზის მეექვსე რიგში მსხდარ ორ ქართველ ჟურნალისტს.

"საქართველოს ხელისუფლება დიდი ხნის განმავლობაში უარყოფდა პანკისის ხეობაში ბანდიტების ყოფნის ფაქტს, მაგრამ შემდეგ აღიარა. ეს ფაქტი არღვევს რუსეთ-საქართველოს ორმხრივ ურთიერთობებს და ანგრევს საქართველოს სახელმწიფოებრიობას," - განაცხადა პუტინმა. პანკისის ხეობის პრობლემაზე პუტინს ორჯერ მოუხდა შეჩერება - პირველად კასპიისკში მომხდარი ტერაქტის ორგანიზატორების კვალსა და საერთაშორისო ტერორიზმის მავნებლობაზე საუბრისას. "არ შეიძლება სიტუაცია ჩიხში მოვაქციოთ და დავამძიმოთ", პუტინის თქმით, არსებობს ამ პრობლემის დარეგულირების ნიშანდობლივი ბაზა, რომ იგი არ შეიძლება გადაწყდეს რუსეთის აქტიური მონაწილეობის გარეშე.

"როცა საქართველოს ხელისუფლება და ქართული საზოგადოებრიობა ამას გაიგებს, პანკისის ხეობის პრობლემაც არ იარსებებს,"- თქვა მან. რუსეთის პრეზიდენტმა ჟურნალისტების მიერ დასმული შეკითხვა პანკისის ხეობაში შექმნილ ვითარებაზე კიდევ უფრო დააკონკრეტა და განაცხადა, რომ პანკისში საერთაშორისო ტერორისტების არსებობის ფაქტის მიჩუმათება დაკავშირებულია რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების ნეგატიურ წარსულთან. "საქართველოს აქვს შიში რუსეთის იმპერიული ამბიციების წინაშე, მაგრამ რეალური ბანდიტიზმის შიშმა საქართველოში ეს გრძნობა უნდა გადასწონოს," - განაცხადა პუტინმა. პრეზიდენტმა დაადასტურა, რომ "რუსეთი საქართველოსთან კიდევ უფრო მეტად ეფექტურ თანამშრომლობაზე, პარტნიორობასა და პანკისის ხეობაში საერთაშორისო ტერორიზმის პრობლემის გადაწყვეტაზე მზადყოფნას აცხადებს". აქვე პუტინმა ხაზი გაუსვა იმასაც, რომ პანკისის ხეობის პრობლემა არ გადაწყდება რუსეთის სპეცსამსახურებისა და არმიის აქტიური მონაწილეობის გარეშე." არც ამერიკის სპეცდანიშნულების რაზმს, არც საქართველოს სპეციალურ დანაყოფებს არ შეუძლიათ ამ ამოცანის გადაწყვეტა რუსეთთან თანამშრომლობის გარეშე. როცა საქართველოს ხელისუფლება მომწიფდება ასეთი დამოკიდებულებისათვის, ტერორისტების პრობლემა ამიერკავკასიის ამ სტრატეგიულ რეგიონში აღარ იარსებებს".

პუტინმა ისიც დაადასტურა, რომ საქართველოს ნებისა და მონაწილეობის გარეშე რუსეთს გაუჭირდება საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლა. ამ პრობლემაზე საუბრისას პუტინმა აღნიშნა, რომ რუსეთს პანკისის ხეობის პრობლემასთან საბრძოლველად დიდი ძალა და საშუალებები გააჩნია, მაგრამ საქართველო, მისი თქმით, "სუვერენული სახელმწიფოა და რამე ძალისმიერ აქციებზე გადასვლა დღეს არაეფექტური იქნებოდა. ამან შეიძლება რუსეთ-საქართველოს მომავალი თანამშრომლობის ბაზა დაანგრიოს".

ასეთი ორაზროვანი პასუხის შემდეგ ჟურნალისტებისათვის ბოლომდე გაუგებარი დარჩა, პანკისის ხეობასა და საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლაში მაინც როგორ გზას ირჩევს რუსეთი – ძალისმიერს, საქართველოსთან პარტნიორობის თუ ორივეს ერთად – ანუ ძალისმიერს საქართველოსთან შეთანხმებით.

## კომენტარი

**კითხვა: რუსეთის საზღვრების სიახლოვეს დესტაბლიზაციის კერა არსებობს. საქართველოს ტერიტორიაზე ბანდიტები დამკვიდრდნენ. რამდენ ხანს გააგრძელებთ შევარდნაძესთან უშედეგო მოლაპარაკებებს?**

**ვლადიმირ პუტინი: თქვენ მეტისმეტად განაზოგადეთ საკითხი. ეს არაკორექტულია. ბანდიტები პანკისის ხეობაში არიან და არა მთელ საქართველოში.**

**საქართველოს ხელისუფლება ამას უარყოფდა, თუმცა, ფაქტების ზეწოლით, ბოლოს ეს მაინც აღიარა. ეს სამწუხარო ფაქტია, რომელიც ანგრევს არა მხოლოდ ჩვენს ურთიერთობებს, არამედ თავად ქართულ სახელმწიფოს. ეს ქვეყანას შიგნიდან ღრღნის, რადგან მისი ხელისუფლების სისუსტეს ცხადყოფს, ისევე, როგორც ჩვენთან ხდებოდა 1999 წლამდე.**

**პანკისის ხეობის პრობლემის გადაწყვეტა რუსეთის არმიისა და სპეცსამსახურების პირდაპირი მონაწილეობის გარეშე შეუძლებელია. ვერც საქართველო და ვერც ამერიკული სპეცდანიშნულების რაზმები, რუსეთის გარეშე, ამ პრობლემას ვერ მოაგვარებენ. როდესაც თავად ქართული საზოგადოება შეიგნებს ამას, მომწიფდება ამ გადაწყვეტილების მისაღებად, მაშინ გადაწყდება ეს პრობლემაც.**

**არსებული მდგომარეობა ჩვენი ურთიერთობების ნეგატიურ წარსულს უკავშირდება. ამაში დამნაშავე მარტო საქართველო არ არის. იქ არსებობს შიში რუსული იმპერიალიზმის წინაშე, მაგრამ ბანდიტების წინაშე შიშმა ეს შიში უნდა გადაწონოს.**

**საქართველოს გარეშე ჩვენ ვერაფერს გავაკეთებთ. ძალოვანი აქციის გახორციელება არაეფექტური იქნებოდა და მოსპობდა საფუძველს შესაძლო თანამშრომლობისათვის.**

*ვლადიმირ პუტინის ამ განცხადებების შეფასება და კომენტირება ვთხოვეთ ექსპერტს, არჩილ გეგეშიძეს (საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი):*

ამ განცხადებაში პრინციპულად ახალი არაფერია. რუსეთის აზრი პანკისის ხეობასთან დაკავშირებით ჩვენთვის, დიდი ხანია, ცნობილია, ისევე, როგორც ის მეთოდები, რომლებითაც რუსეთს სურს ამ პრობლემის გადაჭრა, - საუბარია სამხედრო ძალის გამოყენებაზე. ამ სურვილს რუსეთი, ხან აშკარად და ხან ფარულად, ყოველთვის გვაგრძნობინებდა.

თავისთავად ცხადია და ამ განცხადებიდანაც ჩანს, რომ რუსეთი პანკისში ძალის გამოყენების შესახებ გადაწყვეტილებას ცალმხრივად ვერ მიიღებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რუსეთი საქართველოს "თავზე ვერ გადაახტება".

მას შემდეგ, რაც ბუშისა და პუტინის ერთობლივ დეკლარაციაში დაფიქსირდა, რომ კავკასიის შესახებ გადაწყვეტილებები ერთობლივად უნდა იქნას მიღებული, თანაც საქართველოს თანხმობით, რუსეთის მხრიდან სამხედრო აქცია ნაკლებმოსალოდნელია.

ვფიქრობ, ეს განცხადება უფრო შიდა აუდიტორიაზეა გათვლილი, ძირითადად, სამხედრო ისტებლიშმენტსა და სხვა რეაქციულ ძალებზე.

საყურადღებოა, რომ პუტინის განცხადება, ბანდიტებისადმი შიში გადაწონის რუსეთის იმპერიული ამბიციებისადმი შიშსო, გარკვეულწილად, თავის თავს ეწინააღმდეგება. რუსეთისადმი შიშს, რომელიც საუკუნეების განმავლობაში გროვდებოდა, ეს განცხადება კიდევ უფრო გააღრმავებს და არ შეამცირებს. აფხაზეთში, ცხინვალის რეგიონში და იმავე პანკისის ხეობაში რუსეთის ქმედებები კიდევ უფრო ძაბავს ჩვენს ქვეყნებს შორის ურთიერთობას. ვფიქრობ, რომ ბანდიტებისადმი შიში ვერასოდეს გადაწონის რუსეთისადმი შიშს.

პანკისში პრობლემა, რასაკვირველია, არსებობს და იგი, რუსეთიდან ლტოლვილთა დიდი ნაკადის გადმოსვლასთან ერთად, საქართველოს ხელისუფლების მიერ დაშვებულმა შეცდომებმაც შექმნა. მაგრამ პოლიტიკური ნების არსებობის შემთხვევაში, არსებული რესურსების მობილიზაციისა და, განსაკუთრებით, წრთვნისა და აღჭურვის პროგრამის დასრულების შემდეგ, ჩვენ თავად შევძლებთ ამ პრობლემის გადაჭრას.

რუსეთი მუდმივად გვაკრიტიკებს პანკისის პრობლემის გამო იმიტომაც, რომ სხვა ხელჩასაჭიდი მიზეზი არცა აქვს. სხვა საკითხებში, როგორიცაა აფხაზეთი, სამხედრო ბაზები, სავიზო რეჟიმი და სხვ. რუსეთი იძულებულია, თავი იმართლოს. ამ ერთ საკითხში მას შეუძლია, ჩვენ ჩაგვაყენოს ისეთ პოზიციაში, რომ თავის მართლება ჩვენ დაგვჭირდეს.

ეს განცხადება საქართველოსთვის სახელის გატეხვის თვალსაზრისითაც არ იქნება განსაკუთრებით ეფექტური, რადგან საქართველო თვითონვე აღარ მალავს ამ პრობლემის არსებობას, ხოლო საერთაშორისო საზოგადოებამ, გარკვეულწილად, აღიარა, რომ ამ პრობლემას ობიექტური მიზეზები გააჩნია და ის საქართველოს წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციით კი არა, ჩვენი ქვეყნის დახმარებით უნდა გადაწყდეს. ამერიკამ რუსეთს გაუვლო დიდი წითელი ხაზი, რომლის იქითაც რუსეთი ველარ გადმოდის.

აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, რომ რუსეთის მხრიდან სამხედრო მოქმედების საფრთხე მინიმალურია. ახლა სხვა დროა და რუსეთს გარკვეული საერთაშორისო ვალდებულებები აქვს ნაკისრი, რომლებიც მან უნდა შეასრულოს. საერთოდ, ვფიქრობ, რომ რაც უფრო დაუახლოვდება რუსეთი დასავლეთს, მით უფრო რბილი გახდება მისი დამოკიდებულება საქართველოსადმი.

# „თბილგაზის" სწრაფად გაყიდვას პირველი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა

## გიორგი ბარამიძე: მთავრობამ „ეი-ი-ესთან„ დაშვებული შეცდომა „თბილგაზში„ არ უნდა გაიმეოროს

მაია ურუშაძე

*დღეს დილით ამოიწურა ვადა, რომელიც "იტერამ" "თბილგაზს" ვალის გასტუმრების პროცესის დაწყებისთვის დაუთქვა. საუბარია თბილისის გაზგამანაწილებელი კომპანიის იმ ძველ დავალიანებაზე, რომლის გასტუმრების ვალდებულებაც "თბილგაზმა" 2001 წლის დეკემბრის ხელშეკრულებით აიღო. ვალის გადაუხდელობის შემთხვევაში, თბილისს გაზის გარეშე დარჩენა ემუქრება.*

ხელშეკრულების მიხედვით, 2002 წლის პირველი იანვრიდან "თბილგაზის" მიმდინარე ხარჯებს ყოველთვიურად უნდა დამატებოდა ძველი დავალიანების 30 პროცენტი. პირველი იანვრიდან დღემდე "თბილგაზს" "იტერასათვის," დამატებითი საურავების გარეშე, გადასახდელი დაუგროვდა 7 300 000 ლარი იმ 23 მილიონ ლარამდე დავალიანებიდან, რომელიც "იტერასი" მთლიანად მართებს თბილისის გაზმომარაგების კომპანიას.

გარდა ამისა, 2002 წლის პირველი იანვრიდან "იტერას" ყველა ობიექტი წინასწარი გადახდის სისტემაზე უნდა გადასულიყო. "თბილგაზის" შემთხვევაში კი დარღვეულია ეს პირობაც და ანგარიშსწორება კვლავ რეალიზაციის შემდეგ მიმდინარეობს.

მას შემდეგ, რაც პარასკევს საღამოს "იტერამ" "თბილგაზისთვის" გაზის მიწოდების შეწყვეტა განიზრახა, "თბილგაზმა" ვალის გასტუმრების დასაწყებად 3 დღის ვადა ითხოვა. გუშინ სახელმწიფო მინისტრის მოადგილემ გიორგი ისაკაძემ "იტერას" აღუთქვა, რომ "თბილგაზი" ვალების გადახდას დღეიდან დაიწყებს. აქედან გამომდინარე, თბილისის გაზით მომარაგების შეწყვეტის საკითხი კვლავ გაურკვეველი დროით გადავადდა. "იტერაში" აცხადებენ, რომ გაზით მომარაგების შეწყვეტის საკითხს დღის წესრიგიდან მაშინვე მოხსნიან, როგორც კი "თბილგაზი" ვალების გადახდას შეუდგება.



*გიორგი ბარამიძე*

მარიკა ამურველაშვილის ფოტო

ამასობაში, რუსეთის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება 1 ივლისიდან გაზის ტარიფის 15 პროცენტით გაზრდის შესახებ. "თბილგაზის" უშუალო მიმწოდებელ კომპანია "საქგაზში" ამბობენ, რომ რუსეთის მთავრობისგან "იტერას" გაზის ტარიფის გაზრდის შესახებ უწყება არ მიუღია. შედეგად, "იტერას" რუსეთი გაზს ისევ ძველ ფასად მიაწვდის. **"არ არსებობს საფუძველი საქართველოში გაზის ტარიფის გაზრდისთვის. ეს რუსეთის შიდა საქმეა. თუ არ გაიზარდა გაზის სატრანზიტო ღირებულება, "საქგაზზე" ეს არ იმოქმედებს და საქართველოში ტარიფი უცვლელი დარჩება. ამჟამად კი სატრანზიტო გადასახადის გაზრდის საკითხი დღის წესრიგში არ დგას"**, - აცხადებს "იტერას" წარმომადგენელი საქართველოში თამაზ პატარიძე.

პარალელურად, "თბილგაზი" ცდილობს, მიაღწიოს იმ ვალების რესტრუქტურიზაციას, რომელიც ამდენი ხნის მანძილზე დაუგროვდა. "თბილგაზის" პოზიციიდან, ეს დავალიანება იმ ცდომილების შედეგია, რომელიც კომპანიამ თავისსა და "საქგაზის" მრიცხველებს შორის დააფიქსირა. ამ პოზიციას იზიარებს პარლამენტარი გიორგი ბარამიძე, რომელმაც გუშინ "თბილგაზის" ვალების თემა პრესკონფერენციაზე გააჟღერა. მისი განცხადებით, სახელმწიფომ ხელოვნურად შეუწყო ხელი "თბილგაზის" გაკოტრებისა და საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში გადაბარგების საქმეს. ბარამიძე შეშფოთებულია პრეზიდენტის მოთხოვნით "თბილგაზის" პრივატიზაციის პროცესის დაჩქარების შესახებ. მისი თქმით, ორკვირიანი ვადა, რაც პრეზიდენტმა ქონების მართვის სამინისტროს დოკუმენტაციის მოსამზადებლად დაუთქვა, შეუძლებელია, საკმარისი იყოს ესოდენ მნიშვნელოვანი ობიექტის გასაყიდად მოსამზადებლად, აჩქარებამ კი მომავალში შეიძლება იგივე პრობლემები წარმოშვას, რაც "ე-ი-ეს"-ისა და "თელასის" შემთხვევაში.

"ჩვენ გვაქვს "თბილგაზის" პრივატიზაციის ალტერნატიული 40-მილიონიანი პროექტი, რომელიც "თბილგაზის" ქსელების რეაბილიტაციასა და აღრიცხვიანობის მოწესრიგებას ითვალისწინებს და რომლის შესრულებითაც სახელმწიფომ შეიძლება "თბილგაზი" რენტაბელურად აქციოს," – მიიჩნევს ფრაქცია "დემოკრატის" თავმჯდომარე დავით ხუციშვილი.

ამავე დროს, "თბილგაზში" ინვესტორის შემოსვლის პერსპექტივას იმედით ელის "იტერა", რომელსაც სოციალურად მტკივნეული დარგის ხელმძღვანელთა რანგში წმინდა კომერციული ინტერესების მქონე ებრაული "ტაჰალის" ხილვა ურჩევნია.

# ლუდი „Guinness"-ი იაპონიაში რეკორდებს ამყარებს

სოფო კვინტრაძე

მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატზე, რომელიც კორეა-იაპონიაში მიმდინარეობს, ირლანდიური ლუდი "გინესი" განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს. ათასობით მოწყურებული ფანი მთელი მსოფლიოდან ირლანდიურ პაბებს აფარებს თავს, რომელთა რაოდენობა იაპონიაში დღითიდღე მატულობს. როგორც ჩანს, ლუდი "გინესის" რეკლამამ მსოფლიო თასის მატჩებზე საკმაოდ ეფექტურად იმუშავა და "გინესის" გაყიდვის მასშტაბებმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

იაონიაში "გინესის" ოფიციალური დისტრიბუტერის "Sapporo Breweries" წარმომადგენელთა განცხადებით, **"ივნისის თვეში "გინესის" გაყიდვა, მთელი გასული წლის მონაცემებთან შედარებით, ორჯერ გაიზარდა. ყოველი 10 გაყიდული ლუდის კათხიდან 9 "გინესია".**

როგორც ექსპერტები აცხადებენ, "გინესის" ამგვარი წარმატება მიანიშნებს, რომ იაპონიაში ირლანდიური ლუდის მოყვარულთა ცხოვრების დონე საგრძნობლად გაუმჯობესდა, რადგან, როგორც ცნობილია,




REUTERS

"გინესი" მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ძვირადღირებული ლუდია. ამდენად, "გინესით" წყურვილის მოკვლა საკმაოდ ძვირი სიამოვნებაა.

"გინესის" გაყიდვის მასშტაბების ზრდა, იაპონელების გარდა, კორეა-იაპონიაში ჩასულმა ათიათასობით უცხოელმა ფანმაც განაპირობა. როგორც "ბი-ბი-სის" საინფორმაციო სამსახური იუწყება, ინგლისი-არგენტინის თამაშის დროს ქალაქ საპოროში "Sapporo Breweries"-მა თვითმფრინავებით ჩაიტანა დიდი რაოდენობით "გინესი".

თუმცა, როგორც აღმოჩნდა, "გინესის" წყურვილი ფეხბურთის ფანებს მხოლოდ კორეა-იაპონიაში აქვთ გამძაფრებული. თბილისში კი, სადაც "გინესის" არაერთი ბარია, ამ საფირმო მარკის გაყიდვა ჩვეული ტემპით მიმდინარეობს. პაბების მეპატრონეები აცხადებენ, რომ ქართველებისთვის "გინესი" ძალიან ძვირი სიამოვნებაა, რადგან ერთი კათხა "გინესის" ფასი, დაახლოებით, ხუთი დოლარია. გარდა ამისა, ჩვენში ლუდის გაყიდვა უფრო ამინდზე ყოფილა დამოკიდებული, ვიდრე საფეხბურთო ციებ-ცხელებაზე.

მიუხედავად ამისა, თბილისშიც არიან "გინესის" ფანატები. ერთ-ერთი პაბის მეპატრონემ გაგვიმხილა, რომ იგი ისეთ ქართველებს იცნობს, რომლებიც თბილისში "გინესის" დეფიციტის დროს ირლანდიაში მიემგზავრებიან ამ ლუდის დასალევად. ასე რომ, სანამ იაპონელები "გინესით" იკლავენ გამძაფრებულ საფეხბურთო წყურვილს, ქართველები ისევ მშობლიურ "არგოსა" და "ყაზბეგს" შეექცევიან. სხვათა შორის, როგორც პაბებში გვითხრეს, საქართველოში მყოფი უცხოელებიც ქართულ ლუდს უფრო ეტანებიან, ვიდრე ევროპულს. საინტერესოა, როგორი წარმატება ექნებოდა "ყაზბეგს" ან "არგოს" მოწყურებულ იაპონია-კორეაში.

# რატომ მალავენ სააქციო საზოგადოებები მოგებას

## საბჭოური მენტალიტეტით მართული საწარმოები დივიდენდებს არ გასცემენ

პირველი გვერდიდან

თუმცა, საგადასახადო კოდექსის გარდა, არის სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვანი ფაქტორიც, რაც საქართველოში მენეჯმენტის ჯერ კიდევ საბჭოური მენტალიტეტით წარმართვაში გამოიხატება. საინვესტიციო ბანკის "გალთ ენდ თაგართ სექურითის"-ის (გთს) გენერალური დირექტორის **ირაკლი კირტავას** განცხადებით, ქართული კომპანიების უმრავლესობას ჯერაც ვერ გაუცნობიერებია, რას ნიშნავს საქმიანობის საჯაროობა და რა კონკრეტული სარგებლის მოტანა შეუძლია მას კომპანიისთვის. **"ქართველ მენეჯერებს არ ესმით, რომ მათი ფინანსური ანგარიშების გამჭვირვალობით ისინი საჭირო ინფორმაციას მიაწვდიან აქციონერებსა და პოტენციურ ინვესტორებს, ხოლო აქციათა ემისია (გასაყიდად გამოშვება) საუკეთესო საშუალებაა კომპანიის რეალურ საბაზრო ღირებულებაზე მონიტორინგის გახორციელებისა,"** – აცხადებს კირტავა. **"რაც მთავარია, მათ ვერ გააცნობიერეს, რომ გამჭვირვალობა რეკლამის საუკეთესო საშუალებაა",** - დასძენს იგი.

გარდა ამისა, ექსპერტთა შეფასებით, საქართველოს საფონდო ბირჟაზე დადებულ გარიგებათა დიდი ნაწილი კომპანიათა მენეჯერების კუთვნილი პაკეტების გამსხვილებას ემსახურება, რაც მენეჯერთა მხრიდან საწარმოზე კონტროლის დაკარგვის და თავის ბიზნესში "სხვების", ანუ ახალი მეწილეების შეშვების შიშით აიხსნება. არანაკლებ მნიშვნელოვანია ის ფაქტორიც, რომ ძლიერ ქართულ კომპანიათაგან ბევრმა იმდენად "იოლი ფული" იშოვა, რომ ახალი კაპიტალის მისაზიდად აქციების გამოშვება არც სჭირდებათ.

ერთ-ერთი სერიოზული არგუმენტი, რომელიც ბიზნესმენებს საქმიანობის არასაჯარო ფორმით წარმართვის სასარგებლოდ აკეთებინებთ არჩევანს, კონკურენტებთან ერთნაირ პირობებში ყოფნის აუცილებლობაა. ბიზნესმენთა ნაწილი, შესაძლოა, პრინციპულად წინააღმდეგი არც არის ფინანსური საქმიანობის გამჭვირვალობისა, მაგრამ ისინი ამასვე ითხოვენ კონკურენტებისგანაც.

გამჭვირვალობის მხრივ, საკმაოდ კარგი სიტუაციაა საბანკო სფეროში, რომელიც საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების მიერ ქართული ეკონომიკის, ფაქტობრივად, ერთადერთ "ნათელ წერტილად" მიიჩნევა. დივიდენდების გამცემი სულ რამდენიმე ქართული კომპანიიდან ორი სწორედ კომერციული ბანკია. პირველი მათგანი - "საქართველოს ბანკი" რამდენიმე წელიწადია, თავის აქციონერებზე რეგულარულად გასცემს სოლიდურ დივიდენდებს. 2000 და 2001 წლებში ბანკმა, შესაბამისად, ორი მილიონი და 1.8 მილიონი ლარის ოდენობის დივიდენდი გაანაწილა. შარშანდელი მონაცემებით, "საქართველოს ბანკის" თითოეულ აქციაზე დივიდენდის ოდენობამ 18 თეთრი შეადგინა, რაც საკმაოდ მაღალ შემოსავლად მიიჩნევა.

დივიდენდების გამცემ კომპანიებს შეემატა "გაერთიანებული ქართული ბანკიც", თუმცა, მისი დივიდენდები, "საქართველოს ბანკთან" შედარებით, მოკრძალებულად გამოიყურება. მისმა აქციონერებმა 2001 წლის დივიდენდის სახით თითოეულ აქციაზე ერთი თეთრის დივიდენდი მიიღეს.

შარშანდელი წელი საკმაოდ წარმატებული იყო სააქციო საზოგადოება "ყაზბეგისთვის". კომპანიის წმინდა მოგება, წინა წელთან შედარებით, 18 პროცენტით გაიზარდა და 1.4 მილიონი ლარი შეადგინა. დივიდენდების სახით "ყაზბეგმა" 240 ათასი ლარი, ანუ, აქციაზე 8.6 თეთრი გასცა, რაც 2000 წლის მაჩვენებელზე 4 პროცენტით ნაკლებია. დივიდენდების მოცულობის კლება კომპანიამ კაპიტალური ხარჯების (დაახლოებით, ორი მილიონი ლარი) ზრდით ახსნა, რაც მას გამძაფრებული კონკურენციის პირობებში ბაზარზე წილის შენარჩუნებაში უნდა დაეხმაროს.

"გალთ ენდ თაგართ სექურითის"-ის შეფასებით, გამჭვირვალობის მხრივ ასევე საკმაოდ ნორმალური სიტუაციაა სადაზღვევო სფეროში, რაც იმით აიხსნება, რომ სადაზღვევო კომპანიათა საქმიანობის ზედამხედველობას სპეციალური კომისია ახორციელებს. მაგრამ ქართული სადაზღვევო კომპანიები სტატუსით არასაჯარო კომპანიებია და მათი აქციები საფონდო ბირჟაზე გაყიდვას არ ექვემდებარება.

## ბიზნესის ამბები

### R.J. Reynolds-ს დაზარალებული კლიენტი მილიონები დაუჯდა

ფედერალურმა მოსამართლემ სიგარეტის მწარმოებელ R.J. Reynolds Tobacco Holdings Inc-ს პარასკევს ჯარიმის სახით 15 მილიონი დოლარის გადახდა დაავალა. ეს თანხა განკუთვნილია R.J. Reynolds-ის სიგარეტის აქტიური მომხმარებლისთვის, რომელსაც რამდენიმე ხნის წინ ფეხები მოკვეთეს. მას, როგორც აქტიურ მწეველს, სასუნთქი გზების დაავადება აწუხებდა.

დევიდ ბარტონს ზარალის საკომპენსაციოდ 200 ათასი დოლარი თებერვალში გამოუყვეს. თუმცა, სასამართლომ გადაწყვიტა, კომპანიისათვის ფინანსური სანქციაც დაეწესებინა მაგალითის მისაცემად. სწორედ ეს თანხაა 15 მილიონი დოლარი. შეგახსენებთ, რომ R.J. Reynolds-ი აშშ-ში სიდიდით მეორე თამბაქოს კომპანიაა, რომელიც აწარმოებს სიგარეტებს: Camel-ს, Winston-ს, Salem-სა და Doral-ს.

მოსამართლე ჯონ ლანგსტრამის განმარტებით, R.J. Reynolds-მა მომხდარის გამო გულწრფელი ბოდიში არ მოიხადა და მისი დამატებითი დასჯა ამიტომაც გადაწყვიტეს.

თუმცა, Winston-Salem-ი ამ სანქციის დაკისრებას მაინც აპროტესტებს. კომპანიის წარმომადგენლის მტკიცებით, ვერდიქტი უნდა გადაიხედოს და გასაჩივრდეს. "მერილ ლინჩის" ანალიტიკოსის განმარტებითაც, R.J. Reynolds-ისთვის დაწესებულ ამ ორ ფინანსურ სანქციას შორის შეფარდება მართლაც მაღალია.

### „ოპეკის" ლიმიტი ძალაში რჩება

26 ივლისს ვენაში "ოპეკის" წევრი ქვეყნების სხდომა იწყება. წინასწარი პროგნოზით, სხდომის მონაწილენი ნავთობმოპოვებაზე დაწესებულ ლიმიტებს სამომავლოდაც გააგრძელებენ. თუმცა, "უოლ სტრიტ ჯორნალის" ცნობით, "ოპეკის" წევრმა ქვეყნებმა ბოლო ხანს ნავთობმოპოვება არაოფიციალურად გაზარდეს კიდეც. როგორც საერთაშორისო ენერგეტიკული სააგენტო იუწყება, გასულ თვეში "ოპეკის" წევრ ქვეყნებში ნავთობის მოპოვება დღეში 290 ათასი ბარელით გაიზარდა და 23.1 მილიონ ბარელიან მაჩვენებელს მიაღწია. ამით კი დაირღვა 1.4 მილიონი ბარელის ლიმიტი, რომელიც თავად "ოპეკმა" დააწესა. ამ არასანქცირებული გაზრდით "ოპეკი" ნავთობის მსოფლიო ბაზარზე ფასების შენარჩუნებას ახერხებს.

### Volkswagen-ი იდეებს იპარავს?

გერმანელი დიზაინერი ეგერტ ბიულკი ამტკიცებს, რომ კომპანია Volkswagen-მა ახალი, ე.წ. Buble Car-ის დიზაინი მოჰპარა. უფრო ზუსტად, ავტომობილების კომპანიამ დაუკითხავად მიითვისა ახალი მანქანის იდეა, რომელიც ოდნავ გადაასხვაფერა და შექმნა რეკორდული ავტომანქანა. იგი ყოველ ას კილომეტრზე ერთ ლიტრ საწვავს ხარჯავს.

თავად ბიულკი ავტოფარეხების პროფესიონალი დამპროექტებელი და მშენებელია. თუმცა, ის ყოველთვის ოცნებობდა მანქანის ორიგინალური დიზაინის შექმნაზე. 1959 წელს გამოიგონა ველოსიპედი, რომელიც ელექტროძრავაზე მუშაობდა და 110 კმ.სთ. სიჩქარეს ავითარებდა. 1996 წელს ბიულკი მონაწილეობდა Audi-ს მიერ მოწყობილ კონკურსში, სადაც მისი ოთხადგილიანი Funmobile-ი მოყვარულთა შორის საუკეთესოდ აღიარეს. ავტომობილის მაკეტი მან Volkswagen-საც გაუგზავნა იმ იმედით, რომ კომპანია მისი დიზაინით დაინტერესდებოდა, თუმცა, რამდენიმე ხნის წინ გაზეთში Buble Car-ის ფოტო ნახა. რამდენიმე განმასხვავებელი ნიშნის მიუხედავად, ის საოცრად ჰგავდა ბიულკის გამოგონებას. ბიულკის ავტომობილიც და Buble Car-იც, უპირველეს ყოვლისა, ერთმანეთს ვიზუალურად გვანან, მათ ბევრი საერთო აქვთ ტექნიკური მახასიათებლების მხრივაც. მთავარი განსხვავება კი ის არის, რომ ბიულკის Funmobile-ი ოთხადგილიანია, Volkswagen-ის Buble Car-ი კი – ორიანი.

### „ტაჰალმა" გაზის ტარიფი, შესაძლოა, შეამციროს

ენერგეტიკის მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში ქონების მართვის სამინისტროდან „თბილგაზის" პრივატიზაციისთვის შექმნილ ჩარჩო-ხელშეკრულების განხილვის შემდეგ, შენიშვნების მომზადებას ამ კვირის ბოლომდე გეგმავენ.

როგორც „მედია-ნიუსს" სემეკის თავმჯდომარის მოადგილემ დემურ ჩომახიძემ უთხრა, ხელშეკრულებაში ებრაული კომპანია „ტაჰალის" მიერ წარმოდგენილი პირობები ჯერ არ არის შეტანილი, თუმცა აღნიშნულია, რომ ინვესტორს სახელმწიფო ტარიფის გაზრდის პროცესში დაეხმარება.

"ხელშეკრულება კაბალური არ არის, მაგრამ სემეკი ამ პოზიციას არ ეთანხმება. ხელშეკრულებაში უნდა ჩაიწეროს, რომ ტარიფის ცვლილება იქნება დასახვეწი, რაც იმას ნიშნავს, რომ, შესაძლებლობის შემთხვევაში, ტარიფი შეიძლება შემცირდეს," — მიაჩნია ჩომახიძეს.

ჩარჩო-ხელშეკრულება მიიღო სათბობ-ენერგეტიკის სამინისტრომ, სადაც ექსპერტები უკვე არკვევენ მის დადებით და უარყოფით მხარეებს. ამავე სამინისტრომ ხელშეკრულების პროექტი დაინტერესებულ არასამთავრობო ორგანიზაციებსაც გადაუგზავნა და მათგან შენიშვნებს ელის (მედია-ნიუსი).

### ენერგობაზრამდე ფული არ აღწევს

ენერგოსაბითუმო ბაზარი, რომელიც ხუთი წლის მართვის უფლებით ესპანურმა კომპანია „იბედროლამ" ჩაიბარა, ინკასატორთა ინსტიტუტის წინააღმდეგ გამოდის.

როგორც „მედია-ნიუსს" საბითუმო ბაზრის გენერალურმა დირექტორმა ალბერტო სოლისმა უთხრა, სამხარეო ენერგოკომპანიებში აკრეფილი ფული ხშირად ბაზრამდე არ აღწევს, ამიტომ რაიონებში მცხოვრებმა მოქალაქეებმა ელექტროენერგიის საფასურის ანგარიშსწორება ბანკების მეშვეობით უნდა განახორციელონ.

„ჩვენი ინფორმაციით, მომხმარებელი ელექტროენერგიის საფასურს იხდის, მაგრამ სამხარეო ენერგოკომპანიებს ფული ჩვენამდე არ მოაქვთ. ამის გაკონტროლება ამჟამად არავის ევალება", — განაცხადა სოლისმა.

მისივე თქმით, ამას წინათ გაერთიანებული რვა სამხარეო ენერგოკომპანია უნდა გაიყიდოს. „ჩვენ შევეცდებით, ამაში მთავრობას დავეხმაროთ. მნიშვნელობა არა აქვს, ინვესტორი ქართველი იქნება თუ უცხოელი, ნებისმიერ შემთხვევაში მასთან ურთიერთობა გაგვიადვილდება", — თქვა სოლისმა (მედია-ნიუსი).

### ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 2002 წლის 19-25 ივნისის მდგომარეობით




მსოფლიოს წამყვანი ვალუტების კროსკურსები

| | UK£ | US$ | €uro | ¥en |
|---|---|---|---|---|
| UK£ | | 0.6632 | 0.6496 | 0.0055 |
| US$ | 1.5078 | | 0.9794 | 0.0082 |
| €uro | 1.5393 | 1.021 | | 0.0084 |
| ¥en | 182.78 | 121.22 | 118.72 | |

### 2002 წლის 25 ივნისიდან უცხოური ვალუტების მიმართ ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსები:

| | | |
|---|---|---|
| ევრო | 1 | 2.1581 ლარი |
| დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი | 1 | 3.3288 ლარი |
| შვეიცარიული ფრანკი | 1 | 1.4713 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 2.2180 ლარი |
| თურქული ლირა | 1 000 000 | 1.4213 ლარი |
| იაპონური იენი. | 10 | 0.1824 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0.0704 ლარი |
| აზერბაიჯანული მანათი | 1 000 | 0.4559 ლარი |
| სომხური დრამი | 100 | 0.3814 ლარი |
| უკრაინული გრივნა | 10 | 4.1458 ლარი |

# ამერიკა 4 ივლისის მოლოდინში

აშშ-ის მოსახლეობა, 11 სექტემბრის მოვლენების შემდეგ, უკვე არაერთხელ მოიცვა პანიკამ. ბოლო შეშფოთების მიზეზი იყო კვირას, ოსამა ბენ ლადენის წარმომადგენლის, სულეიმან აბუ ღაითის, განცხადების აუდიოჩანაწერის გადაცემა კატარის ალ-ჯაზირას ტელევიზიით. ჩანაწერის თანახმად, **"ალ ქაედას ლიდერი ოსამა ბენ ლადენი ცოცხალია, ხოლო ალ ქაედას ლიდერების 98 პროცენტი უვნებელნი არიან და ამერიკის წინააღმდეგ ახალი იერიშების მიტანას აპირებენ."**

ღაითის განცხადებით, ამერიკის სამხედრო ოპერაციამ ალ ქაედას ვერაფერი დააკლო: "სისტემა კვლავ არსებობს და სრული ძალით მოქმედებს. ჩვენი სამხედრო და უსაფრთხოების სისტემები, ამჟამად, თვალყურს ადევნებენ და ეძებენ ახალ სამიზნეებს, რომლებიც წინა სამიზნეებისგან განსხვავებულნი იქნებიან. ჩვენი წამებულები ამერიკელი და ებრაელი სამიზნეების წინააღმდეგ ოპერაციებისთვის მზად არიან. ამერიკა უნდა მოემზადოს. ჩვენ მივდივართ იქ, სადაც არ გველიან. ალაჰის მტრებსა და ჩვენს შორის ომი კვლავ გრძელდება. სანამ ამერიკა მუსლიმების წინააღმდეგ უსამართლო პოლიტიკას აგრძელებს, ჩვენ არ გავჩერდებით. ალაჰს სურს, რომ მსოფლიოს ნებისმიერ ადგილას მასზე (ამერიკაზე) იერიში მივიტანოთ". ჩანაწერში ღაითი უარყოფს "ჭორებს" თორა ბორაზე იერიშების მიტანის შედეგად ოსამა ბენ ლადენისა და მისი რამდენიმე დაახლოებული პირის ავადმყოფობის შესახებ. ღაითის განცახდების თანახმად, ალ ქაედა "მსხვრევადი ორგანიზაცია არ არის, როგორც ზოგს ჰგონია". მას "შესწევს უნარი, დაემუქროს ამერიკას და ეს მუქარა აასრულოს კიდეც. უახლოესი დღეები და თვეები მთელ მსოფლიოს დაარწმუნებს ჩვენი სიტყვების სიმართლეში". გარდა ამისა, განცხადებაში ნახსენებია 1998 წელს — კენიასა და ტანზანიაში აშშ-ს საელჩოების აფეთქებები, 2000 წელს — აფეთქება იემენში, 2002 წლის აპრილში — სინაგოგის აფეთქება ტუნისში. მათზე პასუხისმგებლობა ალ ქაედამ აიღო.



სულეიმან აბუ ღაითი

ტელეკომპანია ალ ჯაზირას აზრით, ჩანაწერი ახალი უნდა იყოს. განცხადებაში ღაითი ახსენებს ბოლო პერიოდში, აშშ-ში, სპეცსამსახურების მიერ 11 სექტემბრის თავიდან აცილების შესაძლებლობის ირგვლივ ამტყდარ აჟიოტაჟს. ღაითის შეფასებით, ამ საკითხთან დაკავშირებით, ბუშის ადმინისტრაციის განცახდებები მიზნად ისახავენ არსებული პრობლემებიდან ყურადღების გადატანას; კერძოდ, დემოკრატებსა და რესპუბლიკელებს შორის არსებული დაპირისპირებიდან და ეკონომიკური პრობლემებიდან. ღაითის განცახდების თარიღთან დაკავშირებით, ვაშინგტონშიც ეჭვი ცოტას თუ ეპარება.

ვაშინგტონში საფრთხის რეალურობას, როგორც ჩანს, სერიოზულად მოეკიდნენ. სენატის დაზვერვის კომიტეტის ხელმძღვანელის ბობ გრაჰამის აზრით, "ბენ ლადენთან ერთად და მის გარეშეც" ალ ქაედა ძალებს კვლავ იკრეფს. ამერიკის მოსახლეობა შეშფოთებულია. გამოკითხვების თანახმად, ამერიკელების უმრავლესობას მიაჩნია, რომ შემდეგი ტერორისტული აქტი ამერიკის დამოუკიდებლობის დღეს, 4 ივლისს, მოხდება. მოსახლეობის შეშფოთებას კიდევ უფრო აძლიერებს ბოლო პერიოდში სპეცსამსახურების მიერ არაერთხელ გაკეთებული განცხადებები, რომ ახალი ტერორისტული აქტების დროს, შესაძლოა, გამოყენებული იქნას მასობრივი განადგურების იარაღი.

## ამერიკაში ისლამისადმი დამოკიდებულება იცვლება

"ეშმაკისეული პედოფილი" – ასე მოიხსენია ერთ-ერთმა პასტორმა მოციქული მუჰამედი აშშ-ს სამხრეთის ბაპტისტ პასტორთა შეკრებაზე და მრავალი წმინდა მამის მქუხარე აპლოდისმენტებიც დაიმსახურა.

რამდენიმე დღეში გაიყიდა ძმები კანერების წიგნის - "ისლამის მხილება: დაკვირვება მუსლიმთა ცხოვრებასა და რწმენაზე" - 300 ათასი ეგზემპლარი. ავტორები ამტკიცებენ, რომ ისლამი - მეომარი, აგრესიული რელიგიაა, ხოლო მისი დამფუძნებელი - სისხლისმსმელი და პედოფილი. ამ უკანასკნელი ბრალდების დასადასტურებლად მათ მოჰყავთ მუჰამედის მესამე ქორწინება აიშაზე, როდესაც მან 6 წლის გოგონა შეირთო ცოლად.

რამდენიც არ უნდა ამტკიცოს ჯორჯ ბუშმა და ამერიკულმა მასმედიამ, რომ 11 სექტემბრის ტერაქტს ქრისტიანებსა და მუსულმანებს შორის რაიმე გართულება არ მოჰყოლია, აშკარაა, რომ ბოლო თვეებში ამერიკელების შეხედულება ისლამზე სულ უფრო უარესდება. შეერთებული შტატების მოსახლეობის დიდი უმრავლესობა რელიგიურია, ყოველ კვირას დადის ეკლესიაში და პასტორის ქადაგებას ისმენს. თუ პასტორებმა ისლამის შესახებ ამგვარი ინფორმაცია მიაწოდეს ამერიკელ მორწმუნეებს, რომლებმაც ამ რელიგიის შესახებ ბევრი არაფერი იციან (როდესაც 11 სექტემბრის შემდეგ პრეზიდენტი ბუში თავის ცნობილ სიტყვას წარმოთქვამდა, რელიგიებს შორის შემწყნარებლობისა და ისლამის მშვიდობიანი ბუნების შესახებ, თბილისში მყოფმა ერთმა ამერიკელმა იხუმრა, დარწმუნებული ვარ, მას მუსულმანი თვალითაც არ უნახავსო), მაშინ ცივილიზაციათა შორის შეჯახების თეორია შეიძლება გამართლდეს კიდეც.

ამერიკაში ისლამთან დამოკიდებულებისა და, საერთოდ, ქრისტიანულ-ისლამურ ურთიერთობებში მიმდინარე ცვლილებებთან დაკავშირებით მალე ჩვენი გაზეთი შემოგთავაზებთ ინტერვიუს იმამ იაჰია ჰენდისთან.

## არიელ შარონს ბელგიაში ასამართლებენ

ბელგიის სააპელაციო სასამართლომ ხვალ უნდა გამოიტანოს გადაწყვეტილება იმის თაობაზე, შესაძლებელია თუ არა ისრაელის პრემიერ-მინისტრის არიელ შარონის საქმის გამოძიება. მას ბრალი ედება 1982 წელს ლიბანში პალესტინელთა მასობრივი მკვლელობების ორგანიზებაში.

82 წელს შარონი ისრაელის თავდაცვის მინისტრი იყო. მას ბრალი ედება ლიბანელი ქრისტიანების საბრას და შატილას (ბეირუთი) ლტოლვილთა ბანაკებში შეჭრისა და ასეულობით პალესტინელის მკვლელობის ორგანიზებაში. მაშინ ლიბანსა და მის დედაქალაქ ბეირუთს ისრაელის არმია აკონტროლებდა. სარჩელი ბელგიის სასამართლოში ამ ხოცვაჟლეტვას გადარჩენილმა პალესტინელებმა შეიტანეს.

რა შუაშია ამ ყველაფერთან ბელგია? საქმე ისაა, რომ ამ ქვეყნის კანონმდებლობა უფლებას აძლევს ბელგიის სასამართლოებს, გამოიძიონ ნებისმიერ ქვეყანაში მომხდარი ადამიანის უფლებათა მასობრივი დარღვევისა და სამხედრო დანაშაულის ფაქტები. ამჟამად, იურისტები არკვევენ, იცავს თუ არა შარონს იმუნიტეტი და არსებობს თუ არა ტერიტორიული კავშირი ამ დანაშაულსა და ბელგიას შორის.

ალსანიშნავია, რომ ბელგიის მიერ საკუთარი სასამართლოებისთვის ამგვარი უნივერსალური უფლებამოსილების მინიჭებას ბევრი ქვეყანა და საერთაშორისო ორგანიზაცია არ ეთანხმება. თებერვალში ჰააგის საერთაშორისო სასამართლომ შეაჩერა ბელგიის სასამართლოს მიერ გაცემული დაკავების სანქცია კონგოს საგარეო საქმეთა მინისტრის, იეროდია აბულაიე ნდომბასის წინააღმდეგ, რომელსაც ასევე "კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულში" ედებოდა ბრალი.


არიელ შარონი REUTERS

მოსალოდნელია, რომ ასე მოხდება შარონის შემთხვევაშიც, თუ მის მიმართ სააპელაციო და შემდეგ უზენაესი სასამართლო გამამტყუნებელ განაჩენს გამოიტანს. თუმცა, პალესტინური მხარის ადვოკატი მაიკლ ვერჰაეგე იმედს მაინც არ კარგავს. ამ სასამართლომ უკვე სერიოზულად დაძაბა ისრაელ-ბელგიის ურთიერთობები (როიტერი).

## ყირგიზეთი სამოქალაქო ომის ზღვარზე

უკვე ათი დღეა, ყირგიზეთის სამხრეთში გამუდმებული საპროტესტო დემონსტრაციები მიმდინარეობს პრეზიდენტ ასკარ აკაევის გადაგომის მოთხოვნით. პრემიერ-მინისტრ ტანაევის განცხადებით, ქვეყანა სამოქალაქო ომის ზღურბლზე იმყოფება. ვიცე-პრემიერ ოსმანოვის თქმით, ოპოზიცია ქვეყნის კონსტიტუციური წყობის შეცვლასა და ხელისუფლების დამხობას ისახავს მიზნად.

მღელვარება ყირგიზეთში მარტიდან გრძელდება, როცა ქვეყნის სამხრეთ ნაწილში პოლიციასთან შეტაკების შედეგად ხუთი ადამიანი დაიღუპა. მთავრობა იძულებული გახდა, მომხდარში ზოგიერთი მაღალი თანამდებობის პირის დანაშაული ეღიარებინა. ამ ამბებთან დაკავშირებით პრემიერ-მინისტრიც გადადგა, მაგრამ პროტესტის ტალღა არ წყდება. ოპოზიციამ უარით უპასუხა მთავრობის ინიციატივასაც, რომელიც ამ მოვლენებთან დაკავშირებით ყველას ამნისტიას გულისხმობდა.

ოპოზიციის ლიდერი, ყოფილი რაიონული პროკურატურის გამომძიებელი, დეპუტატი ბეკნაზაროვი აცხადებს, რომ დამნაშავეები უნდა დაისაჯონ, ხოლო თავად მას და მის მომხრეებს ყველა ბრალდება მოეხსნათ.

პრეზიდენტი აკაევი პოპულარობით სარგებლობს ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილში და რუსულენოვან მოსახლეობას შორის, ოპოზიციის დასაყრდენი კი შედარებით ღარიბი და ჩამორჩენილი სამხრეთ ყირგიზეთია.

აღსანიშნავია, რომ ყირგიზეთს ცენტრალური აზიის ყველაზე დემოკრატიულ და სწრაფად პროგრესირებად სახელმწიფოდ მიიჩნევდნენ. როგორც ჩანს, ამ ქვეყანამ ვერც ბოლომდე დემოკრატიზაცია მოახერხა და ვერც ტოტალიტარიზმში დარჩენა. სადღაც შუაში დიდი ხნით შეჩერება კი, რასაც მძიმე სოციალური და ეკონომიკური ვითარებაც ემატება, სცილასა და ქარიბდას შორის ყოფნის ტოლფასია.


ხელისუფლება გასაჭირში

## „ამერიკელები რუსებივით იქცევიან„

ამბობს ერთ-ერთი ყანდაღარელი ავღანელი. იგი, ისევე როგორც მის თანამემამულეთა უმეტესობა, მხარს უჭერს ამერიკელების შემოსვლას მის ქვეყანაში, მაგრამ ამბობს, რომ ხანდახან ისინი ნაკლებად ითვალისწინებენ ადგილობრივ სპეციფიკას.

ბუნებრივია, ამერიკელები იძულებულნი არიან, ადგილობრივ ინფორმატორებზე დაყრდნობით იმოქმედონ, მათი მიწოდებული ინფორმაცია კი ხშირად არასწორია. ამის გამო ხშირია ავღანელთა დაკავებისა და გაშვების შემთხვევები. არასწორი ინფორმაცია ხშირად შეიარაღებულ შეტაკებებსაც იწვევს.

შეიარაღებული შეტაკებები ავღანელთათვის უცხო ხილი არ არის და ამით ვერავის გააკვირვებ, მაგრამ ნამდვილი სკანდალი გამოიწვია ამერიკელების მიერ რამდნიმე ავღანელ ქალისთვის ხელბორკილების დადებამ. როგორც ცნობილია, ავღანი უცხო მამაკაცს ქალის შეხება სასტიკად ეკრძალება და ამერიკელი ჯარისკაცების მიერ ამ წესის დარღვევამ ქალაქში ლამის ამბოხება გამოიწვია.

## საერთაშორისო ამბები

### თურმე, პანკისში არ ყოფილან

დიდი ხანია, რაც რუსეთი მის ტერიტორიაზე მომხდარი თითქმის ყველა ტერაქტის კვალს საქართველოში ეძებს. 9 მაისს ქ. კასპიისკში მომხდარი აფეთქების შემდეგ რუსეთის უშიშროების შეფი პატრუშევი ირწმუნებოდა, რომ იგი ჩეჩნებმა მოაწყვეს, რომლებსაც მჭიდრო კავშირი აქვთ პანკისის ხეობასთან.

24 ივნისს დასრულებულმა გამოძიებამ ცხადყო, რომ ჩეჩნეთი და, მით უმეტეს, საქართველო, არაფერ შუაშია. ტერაქტი დაღესტნელმა ვაჰაბიტებმა მოაწყვეს რაპანი ხალილოვის მეთაურობით. პოლიციამ უკვე დააპატიმრა 8 ტერორისტი, ხოლო დანარჩენი 10-ის ძებნა მიმდინარეობს.

### იტალიის პრემიერი არასასურველ ჟურნალისტებს უმკლავდება

შემოდგომიდან იტალიის სახელმწიფო ტელეარხ RAI-ზე აღარ გავა მიკელე სანტოროსა და ენცო ბიაჯის გადაცემები. სანტორო ერთ-ერთი ყველაზე პროვოკაციული იტალიური გადაცემის - *Sciuscia*-ს ავტორია, რომელიც იტალიის პრემიერ-მინისტრის სილვიო ბერლუსკონისთან დაახლოებული პირების მაფიასთან კავშირებს იძიებდა. ბიაჯო კი პოლიტიკური პროგრამის - *IL Fatto*-ს კომენტატორია. RAI-ს დირექტორის ფაბრიციო დელ ნოჩეს განცხადებით, გადაცემების ეთერიდან მოხსნა მათი პოპულარობის დაცემით იყო განპირობებული. იტალიის ოპოზიციური ძალები და ჟურნალისტთა კავშირი კი განსხვავებულ მიზეზს ასახელებენ – ორი ცნობილი იტალიელი ჟურნალისტის გადაცემების შეწყვეტით იტალიის პრემიერ-მინისტრს სილვიო ბერლუსკონის სურს "კრიტიკული აზრის გაჩუმება".

იტალიელ ჟურნალისტთა კავშირის თავმჯდომარის პაოლო სერვენტი ლონგის განცახდებით, "არსებობს კანონიერი ეჭვი, რომ პირადი მიზნებისთვის ან პირადი და პოლიტიკური ინტერესების გამო, მთავრობის მეთაურმა ტელეარხის დირექტორებს ჟურნალისტების არხიდან გაგდება დაავალა". იგი შიშობს, რომ ამით იტალიაში "სახიფათო პრეცედენტი" დამკვიდრდება. სილვიო ბერლუსკონიმ არაერთხელ გამოხატა თავისი დამოკიდებულება ბიაჯისა და სანტოროს მიმართ.

სილვიო ბერლუსკონი იტალიის ყველაზე მდიდარი მოქალაქეა. იგი არის ქვეყნის ყველაზე დიდი კერძო სამაუწყებლო კომპანიის - MEDIASET-ის მფლობელი, ხოლო იტალიის სამთავრობო კოალიციები ტრადიციულად RAI-ს აკონტროლებდნენ. ამგვარად, ბერლუსკონი, პირდაპირ თუ ირიბად, იტალიის სატელევიზიო ბაზრის 90 პროცენტს აკონტროლებს. იგი არაერთხელ დაადანაშაულეს მედია-გავლენის საკუთარი პოლიტიკური მიზნების მისაღწევად გამოყენებაში, ხოლო პოლიტიკური ძალაუფლებისა კი - საკუთარი ბიზნეს- და მედია-ინტერესების წინ წამოწევაში. ამგვარი ბრალდებები ბიაჯოსა და სანტოროს გადაცემებშიც არაერთხელ გაჟღერებულა. ბერლუსკონიმ ამგვარი ინტერესთა კონფლიქტის პოტენციური არსებობის შესაძლებლობა აღიარა და მისმა კოალიციამ ახალი საკანონმდებლო ინიციატივა წამოაყენა, რომლითაც შეიქმნება ორი ანტი-ტრასტული ორგანო, რომელიც სახელმწიფო მოხელეებს შორის პოტენციური კონფლიქტების მონიტორინგს აწარმოებს. ოპოზიციამ ეს ინიციატივა გააკრიტიკა, რადგან ახალი კანონპროექტი დაპირისპირებული მხარეებისთვის დასჯის რაიმე ფორმის გამოყენებას არ ითვალისწინებს (Associated Press).

### შირაკი დაზვერვას ჯაშუშობაში ადანაშაულებს

საფრანგეთის პრეზიდენტი ჟაკ შირაკი საფრანგეთის ორი მთავარი სადაზვერვო სამსახურის – DGSE-ისა და DST-ის ხელმძღვანელების თანამდებობიდან გათავისუფლებას აპირებს. შირაკი მათ წინამორბედი მთავრობის მმართველობის პერიოდში მისი პირადი ცხოვრებისა და ფინანსური საქმიანობის გამოძიებას აბრალებს.

თუმცა, ახალი მთავრობის ჩამოყალიბების შემდეგ წამყვანი ორგანოების მეთაურების შეცვლა გასაკვირი არ უნდა იყოს. ზოგიერთი სამთავრობო წყაროს თანახმად, ამ შემთხვევაში შირაკი პირადი მიზნებით ხელმძღვანელობს. კერძოდ, შირაკს აქვს ეჭვი, რომ შარშან DST-მა განაახლა 1986-1988 წლებში შირაკის პრემიერობის დროს ლიბანში ფრანგი მძევლების გამოსახსნელად გამოსასყიდი თანხის გადახდის საქმეში შირაკის მონაწილეობის საქმის გამოძიება. საფრანგეთის მთავრობა გამოსასყიდის გადახდის ფაქტს ოფიციალურად ყოველთვის უარყოფდა. თუმცა, არსებობდა მითქმა-მოთქმა, რომ ფულის გადახდა მესამე მხარის მეშვეობით მოხდა. უფრო მეტიც, მძევლების გამოსახსნელად გამოყოფილი თანხის მხოლოდ ნაწილი გამოიყენეს, დანარჩენი ფული კი შირაკის პარტიის მიერ საკუთარ პოლიტიკურ ინტერესებს მოხმარდა. რაც შეეხება DGSE-ს, შირაკს აქვს ეჭვი, რომ ეს სამსახური ცდილობს, გამოიძიოს შირაკის ფინანსური კავშირები შიოჩი ოსადასთან - იაპონელ ბანკირთან, რომელიც 2000 წელს ფინანსური მაქინაციების ბრალდებით დააპატიმრეს.

ფრანგულ პრესაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, არ არის გამორიცხული, რომ სადაზვერვო სამსახურები შირაკის პირადი ცხოვრების, კერძოდ, მისი სექსუალური კავშირების გამოძიებასაც ცდილობდნენ. ეს არც უნდა იყოს გასაკვირი, რადგან ამ საკითხს შარშან გამოქვეყნებულ წიგნში პრეზიდენტის მეუღლე - ბერნადეტ შირაკიც კი შეეხო.

სოციალისტური პარტიის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ შირაკის ამგვარი ბრალდებები ემსახურება სპეცსამსახურებისა და სხვა ორგანოების მზარდი, ე.წ. "შირაკიზაციის" პროცესის გამართლებას (Independent).

### ეგვიპტე ბირთვული სახელმწიფო გახდება?

გერმანულ პრესაში გავრცელდა ინფორმაცია ეგვიპტის მთავრობის მიერ ბირთვული იარაღის შემუშავების გეგმების შესახებ. გერმანელი ჟურნალისტების ინფორმაციით, გერმანია და ეგვიპტე სინას ნახევარკუნძულზე ურანის საბადოების ერთობლივ ძიებას აწარმოებენ. ეგვიპტესა და ჩინეთს შორის კი მიმდინარეობს მოლაპარაკებები ურანის გამამდიდრებელი სადგურების მშენებლობისა და შორ რადიუსზე მოქმედების რაკეტების შეძენის თაობაზე. აგრეთვე, ცნობილია ეგვიპტის მიერ ჩრდილოეთ კორეისგან რაკეტების ყიდვის მცდელობის შემთხვევები. მიმდინარე წლის იანვრის ბოლოს ჩინეთსა და ეგვიპტეს შორის ხელი მოეწერა შეთანხმებას ატომური ენერგიის მშვიდობიანი მიზნებისთვის გამოყენების სფეროში თანამშრომლობის შესახებ. ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია, ე.წ. UF6 ტექნოლოგიის გამოყენება ურანის გამდირებისთვის. აღსანიშნავია, რომ ეს ტექნოლოგია 40-იან წლებში ამერიკელებმა პირველი ატომური ბომბის შექმნის დროს გამოიყენეს. ამ ტექნოლოგიას ირანი და ერაყიც იყენებენ.

გერმანიის სპეცსამსახურებს აქვთ მონაცემები, რომ ეგვიპტე ურანის შეძენის მიზნით აფრიკის რიგ სახელმწიფოებთან საიდუმლო მოლაპარაკებებს აწარმოებს. მათ გააჩნიათ მამხილებელი საბუთები, რომ ეგვიპტელ მეცნიერებს გაუმდიდრებელი ურანის მნიშვნელოვანი რაოდენობა აქვთ ხელთ.

ეგვიპტეში ბირთვული უსაფრთხოების საკუთარი სისტემის შემუშავების გეგმების არსებობის ირიბი მამხილებელია ჩრდილოეთ კორეისგან, ბელარუსისა და უკრაინისგან "მა-547" სატვირთო მანქანების მასიური შესყიდვის ფაქტი. ამ მანქანებს საბჭოთა ჯარში ბირთვული რაკეტების გადასატან პლატფორმებად იყენებდნენ.

ოთხი წლის წინ ეგვიპტის პრეზიდენტმა ჰოსნი მუბარაქმა განაცხადა: "ბირთვული იარაღი თუ დაგვჭირდა, გვექნება კიდევაც." თუმცა, ეგვიპტის ხელისუფლება კვლავ ირწმუნება, რომ ამ სფეროში არანაირ კვლევებს არ აწარმოებს (Die Welt).

### ახლო აღმოსავლეთი

ისრაელის ჯარები მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპიროზე მდებარე ქალაქ რამალაში კვლავ შევიდნენ და იასირ არაფატის შტაბ-ბინას ალყა შემოარტყეს. ჯარები რეზიდენციის ტერიტორიაზე ჯერ არ შესულან, თუმცა მისასვლელი გზები დაბლოკეს. არაფატი, ფაქტიურად, შინაპატიმრობაშია. ამავე მდგომარეობაში აღმოჩნდა, დაახლოებით, ნახევარი მილიონი პალესტინელი, რადგან ებრაელებმა დასავლეთ სანაპიროს თითქმის ყველა ქალაქში საკომენდანტო საათი შემოიღეს.

ღაზის სექტორის ერთ-ერთ ქალაქში ისრაელის ვერტმფრენმა რაკეტები დაუშინა მანქანას, რომელშიც, სავარაუდოდ, პალესტინური ექსტრემისტული დაჯგუფებების ლიდერები იმყოფებოდნენ. პალესტინის უშიშროების სამსახურების ინფორმაციით, აფეთქების მომენტში მანქანაში ოთხი ადამიანი იყო, რომლებიც, შესაძლოა, ჰამასის ხელმძღვანელები იყვნენ. ჰამასის ლიდერი შეიჰ იასინი წინა ღამეს დააკავეს და იგი შინაპატიმრობაშია (Reuters).

## აფხაზეთის გავლით, ჩეჩნეთიდან - ევროპისაკენ

თამარ მაისურაძე

**„საქართველოს პრეზიდენტი გახლავთ პირველი ადამიანი, რომელმაც საბჭოთა კავშირის პერიოდში ხმა აიმაღლა ტაბუდადებული თემის, ნარკომანიის წინააღმდეგ. მან გაარღვია ეს ბარიერი და თქვა, რომ ნარკომანია არის მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელსაც სახელმწიფოებრივი ყურადღება სჭირდება,"** –შეგვახსენა სსრკ-ს ისტორიის დეტალები შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა ამირან გამყრელიძემ, გუშინ, სასტუმრო „მეტეხში" დაწყებულ ორდღიან კონფერენციაზე. საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივით გამართულ ღონისძიებას „კავკასია ნარკოტიკების გარეშე", გამყრელიძის გარდა, უშიშროებისა და შინაგან საქმეთა მინისტრები უნდა დასწრებოდნენ, მაგრამ, მათ მაგივრად, „მეტეხში" მოადგილეები გამოცხადდნენ. ნარჩემაშვილის მოადგილის, შოთა ასათიანის განცხადებით, ნარჩემაშვილი „მეტეხში" ხვალ მივა და განცხადებას გააკეთებს, ალბათ, თავის სტრუქტურაში საკადრო ცვლილებების შესახებ.

ბოლო 6-7 წლის განმავლობაში ნარკომანია აქტუალურ თემად იქცა. ამას ადასტურებს თუნდაც ის, რომ თბილისში გამართულ კონფერენციაში აშშ-ს, თურქეთის, ირანის, რუსეთის, სომხეთის, აზერბაიჯანის, ყაზახეთის, ყირგიზეთის, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციისა და ევროპის ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლის კომიტეტის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. ნარკომანიის საკითხებში ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ევროპის რეგიონის კოორდინატორის ფილიპ ლაზაროვის თქმით, მათი ორგანიზაცია ფლობს ინფორმაციას იმის შესახებ, რომ შამილ ბასაევი აფხაზეთს საკუთარი ნარკობიზნესისთვის, ნარკოტიკების ჩეჩნეთიდან ევროპაში გადასატანად იყენებდა. **"საერთაშორისო ნარკობიზნესისთვის უკონტროლო ტერიტორიის გამოყენება ჩვეული ამბავია,"** – განაცხადა მან.

## საპენსიო ფონდის კალენდარზე აპრილი დაიწყო

ეკატერინე ბახუტაშვილი

სოცუზრუნველყოფის ერთიანმა სახელმწიფო ფონდმა ქვეყანაში მარტის პენსიების დაფინანსება დაასრულა. აპრილი მხოლოდ 11,276 მლნ ლარით არის დაფინანსებული, მათ შორის სადაზღვევო და სოციალური პენსიები - 8,237 მლნ ლარით. მთლიანად თვის დასაფინანსებლად დაახლოებით 17 მლნ ლარია საჭირო. აპრილის თანხიდან რაიონებში 3,5 მლნ ლარამდე გადაირიცხა. ფონდის ინფორმაციით, მაისი ქვეყანაში 6,169 მლნ ლარით არის დაფინანსებული, მათ შორის - თბილისში, ფოთში განთავსებულ პენსიონერთა, ასევე, ძალოვანი სტრუქტურების პენსიონერთა პენსიები და საოჯახო დახმარებები.

მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტით, 1998-2000 წწ-ში წარმოქმნილი საპენსიო დავალიანების დასაფარავად გათვალისწინებულია 3 მლნ ლარი, საიდანაც გამოიყო 1,2 მლნ ლარი. ამ თანხით სრულად დაფინანსდა დევნილ პენსიონერთა გასული წლების საპენსიო დავალიანება. რაც შეეხება მიმდინარე პენსიებს, ამჟამად მიმდინარეობს გალის რაიონში მცხოვრებ დევნილ პენსიონერთა მაისის პენსიების დაფინანსება. საქართველოს სხვა რეგიონებში მცხოვრები დევნილი პენსიონერები უახლოეს დღეებში აპრილის პენსიას მიიღებენ.

### ორი სიტყვით

ბოლო ხანს თბილისის სავაჭრო ქსელში 0,5-კილოგრამიან ტაოტიან ქილებში მოთავსებული ხორცის კონსერვები გამოჩნდა. ასეთი 5 ათასი ქილა კონსერვი რუსეთის საგანგებო სიტუაციათა სამინისტრომ თბილისში მიწისძვრით დაზარალებულებს გამოუგზავნა. მაღაზიებში ამ კონსერვების წარმომავლობაზე არაფერს ამბობენ, თუმცა, მიწისძვრამდე სავაჭრო ქსელში მსგავსი კონსერვები არ ყოფილა.

■■■

დასავლეთ საქართველოში ხშირი წვიმებისა და წყალდიდობის შედეგად დაზიანებულ გზებზე აღდგენითი სამუშაოები მიმდინარეობს. სვანეთი-ლენტეხი-ლაზდილის გზის მონაკვეთის გარდა, ავტოტრანსპორტის მოძრაობა თითქმის ყველგან აღდგენილია.

რუსეთის მონაკვეთზე აღდგენითი სამუშაოები დაუმთავრებლობის გამო, ჯერჯერობით გადაკეტილია საქართველო-რუსეთის საზღვარიც.

■■■

პირველი ივლისიდან დიდი დავალიანების მქონე საბიუჯეტო ორგანიზაციებს „თბილწყალკანალი" წყლის მიწოდებას შეუწყვეტს. სიაში პირველია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, შემდეგ - ტექნიკური უნივერსიტეტი, იუსტიციის სამინისტრო და თითქმის ყველა სამედიცინო დაწესებულება. „თბილწყალკანალისადმი" საბიუჯეტო ორგანიზაციების საერთო დავალიანებამ 13-14 მილიონ ლარს მიაღწია.

■■■

„საქსტანდარტის" პროდუქციის ხარისხის კონტროლის თბილისის სამსახურის მონაცემებით, სომხური წარმოების იოდიზებულ მარილში დარღვეულია სტანდარტები და იოდის შემცველობა ნორმაზე გაცილებით დაბალია, უკრაინის წარმოების იოდიზებული მარილი კი ხარისხიანია. ამჟამად გერმანულ, ბერძნულ და სხვა წარმოების იოდიზებულ მარილს ამოწმებენ.

*მედია-ნიუსი*

### სოციალური შეღავათები

## შეღავათები ბუნებრივ აირსა და ელექტროენერგიაზე

ეთერ მამულაშვილი

უმწეო მდგომარეობაში მყოფ ოჯახთა მიერ მოხმარებული ბუნებრივი გაზისა და ელექტროენერგიის ღირებულების ასანაზღაურებლად, წლეულს, სახელმწიფო ბიუჯეტიდან 20 მლნ. 600.000 ათასი ლარია გამოყოფილი. აქედან, 9 მლნ. 600.000 ათასი - ბუნებრივი აირისთვის. ჯანდაცვის, ფინანსთა და სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროების დადგენილი წესით, უმწეოთა სულ 25 კატეგორიაა განსაზღვრული. მათ ყოველთვიურად უფასოდ 20-40-მდე კუბური მეტრი ბუნებრივი აირი ეკუთვნით.

თვეში ერთხელ, 20 კუბური მეტრი ბუნებრივი აირის უფასოდ მოხმარების უფლება აქვთ: სამხედრო ძალების ვეტერანებს, მარტოხელა და პერსონალურ პენსიონრებს, სამამულო ომის ინვალიდებს, მონაწილეებს და მარჩენალდაკარგულებს, რეპრესირებულებს, საქართველოსა და სხვადასხვა ტერიტორიის მთლიანობისთვის ბრძოლის მონაწილეებს, ფსიქიატრიის დარგში მომუშავეებს.

ცოტა უფრო მეტი, 40 კუბური მეტრი, დაწესებულია: სამამულო ომის ინვალიდებსა და მონაწილეებს, საქართველოსა და სხვა ტერიტორიების მთლიანობისთვის მებრძოლ ინვალიდებსა და მარჩენალდაკარგულებს, საპატიო მოქალაქეების, მრავალშვილიანი ოჯახების (ოჯახები, რომელთაც 18 წლის ასაკამდე 3 და მეტი შვილი ჰყავთ), ჩერნობილის ინვალიდების, დედ-მამით ობლების (18 წლამდე), უსინათლო პირველი ჯგუფის ინვალიდებისა და 9 აპრილს დაღუპულთა ოჯახებისთვის.

გარდა ამისა, ერთჯერადი დახმარების სახით, ისინი საჩუქრად მიიღებენ 870 კუბურ მეტრ ბუნებრივ აირს. ამავე რაოდენობის გაზი წელიწადში ერთხელ ინვალიდი ბავშვების ოჯახებს, მარტოხელა დედებს, პირველი და მეორე ჯგუფის ინვალიდებს, მარჩენალდაკარგულ ოჯახებსაც ეკუთვნით.

რაც შეეხება ელექტროენერგიას, მის უფასოდ მიმღებთა რაოდენობა საკმაოდ შეზღუდულია. სამამულო ომის ვეტერანებისა და მათთან გათანაბრებული პირებისთვის თვეში ერთხელ უფასოდ გათვალისწინებულია 50 კილოვატსაათი.

ჩერნობილის ინვალიდები, პერსონალური პენსიონერები, უგზოუკვლოდ დაკარგულების ოჯახები და პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებული პირები, ყოველთვიურად უფასოდ მიიღებენ მხოლოდ 30 კილოვატსაათ ელექტროენერგიას.

## საკანონმდებლო ხვრელი, რომელშიც პენსიონერი გაიჭედა

მაკა ჭაიანი


ბესო გულაშვილის ფოტო

საპენსიო ფონდს დღეისთვის პენსიონერების 100 მილიონზე მეტი ლარი, წლების განმავლობაში გაუცემელი პენსია მართებს. თვეზე მეტია, პრეზიდენტის სპეციალური ბრძანებულებით შექმნილი სპეციალური კომისია, რომელშიც, ფაქტობრივად, ყველა აღმასრულებელი ხელისუფალი შედის, ზის და მსჯელობს, როგორ გაისტუმროს ეს ვალი. საპენსიო ფონდის დირექტორის ირაკლი კოპლატაძის განმარტებით, ვარიანტი რამდენიმეა: **„ფასიანი ქაღალდების გამოშვება, დავალიანების ნაწილის ბიუჯეტში ჩადება, ვალის ნატურით გადახდა, დროებითი გადასახადის შემოღება და სხვა."**

ერთ-ერთი ვარიანტი საწარმოებიდან დებიტორული დავალიანების ამოღებაა. ამ დავალიანებამ უკვე 191 მილიონ 713 ათას ლარს მიაღწია. საპენსიო ფონდში აცხადებენ, რომ სახელმწიფომ ამ 191 მილიონიდან ნახევარი მაინც რომ ამოიღოს, პენსიონერთა ვალიდან ამოსვლა ერთ წელიწადში მოხერხდება. ფასიანი ქაღალდების დისკრედიტირების, მარად შეუსრულებელი და სეკვესტრირებული ბიუჯეტის, პენსიის ნატურით აღების მწარე გამოცდილებისა და, გასაგები მიზეზების გამო, ჩანასახშივე მკვდარი იდეის - ახალი, თუნდაც დროებითი გადასახადის შემოღების ფონზე, ეს ვარიანტი პენსიონერებსაც ხელს უნდა აძლევდეს.

ქართულ საწარმოებს ფონდებისადმი დავალიანება მას შემდეგ მოჰყვება, რაც საქართველო დამოუკიდებელი გახდა. 1 ივნისის მონაცემებით, ეს ვალი საერთო საბიუჯეტო დავალიანების თითქმის 40 პროცენტს შეადგენს. 191 მილიონ 713 ათასი ლარიდან ძირითადი ვალი 94 მილიონ 793 ათასია, დანარჩენი გახლავთ საურავი, რომელიც ორგანიზაციებს სოცანარიცხის გადაუხდელობის გამო დაერიცხა. საგადასახადო სამსახურების განცხადებით, ეს, ფაქტობრივად, ერთადერთი ბერკეტია, რომლის გამოყენებაც მათ ამ შემთხვევაში შეუძლიათ.

**„მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში, პოსტკომუნისტურებშიც კი, ხელფასის სოცანარიცხის დარიცხვის გარეშე გაცემისთვის კონკრეტული პირის პერსონალური პასუხისმგებლობის საკითხი დგება. ჩვენ ამას მოკლებული ვართ. კანონმდებლობაში არსებობს ხვრელები, რომელთა გამოყენებას ბევრი მშვენივრად ახერხებს. საშემოსავლო და სოციალურ გადასახადს სხვა იურიდიული სტატუსი აქვს, მისი აკრეფა საგადასახადო აგენტს - საწარმოს ხელმძღვანელს, ფინანსურ მენეჯერს ევალება და მათ მიმართ კანონი მომთხოვნი უნდა იყოს. თუ ადმინისტრირების წესები გამკაცრდება, წლის ბოლომდე, არსებული დავალიანების 70 პროცენტის ამოღება მოხერხდება,"** - აცხადებს საგადასახადო სამსახურის ნარჩენ დავალიანებათა სამმართველოს უფროსი ამირან თავართქილაძე.

„სუსტი ადმინისტრირება" ის არგუმენტია, რომელსაც საგადასახადო სამსახური გამუდმებით იშველიებს, როცა საქმე დავალიანებების ამოღებას ეხება. ამ დროს არსებობს საწარმოები, რომელთაც ყველა გადასახადი აქვთ გადახდილი, სოციალურის გარდა. მაგალითად, შპს „საქტელეკომს" მართებს მხოლოდ პენსიონერების 90 ათასი, შპს „ქუთწყალკანალს" - იმავე პენსიონერების მილიონ 607 ათასი, სს „საქართველოს ელექტროკავშირს" - 12 ათას 900, სს „მადნეულს" - 3 მილიონ 43 ათასი და ასე შემდეგ. ეს იმას ნიშნავს, რომ სოცანარიცხებისთვის მათ, უბრალოდ, არ აწუხებენ.

ერთი საინტერესო დეტალიც: საგადასახადო სამსახურებში თავშეკავებით საუბრობენ სოციალური დავალიანების მქონე საბიუჯეტო ორგანიზაციებზე, მათზე კი სოციალური დავალიანებების 31 პროცენტი მოდის. მიზეზი გასაგებია - ამ შემთხვევაში სიმკაცრის გამოჩენა იმას ნიშნავს, მათრახი საკუთარ თავს გადაუჭირო. საბიუჯეტო ორგანიზაციები ხელფასს ბიუჯეტიდან იღებენ, ბიუჯეტი საგადასახადო სამსახურების შესავსებია და თუ ვინმე ხელფასს სოციალური გადასახადის დარიცხვის გარეშე, ფულის უკმარისობის მომიზეზით გასცემს, ადვილი მისახვედრია, პასუხს ვის მოსთხოვენ.

ამიტომ აკეთებენ საგადასახადოში აქცენტს კერძო ორგანიზაციებზე. ამიტომ მოითხოვენ საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შეტანას და ადმინისტრირების გაძლიერებას. ამას და მეტს არაფერს, თუმცა, დიდი ხანია სიტყვიერად ყველა შეთანხმდა, რომ საქართველოში მაღალი გადასახადებია და ვიდრე მათი, მათ შორის სოციალური გადასახადების, ლიბერალიზაცია არ მოხდება, მეწარმე იძულებული იქნება, თავის გადასარჩენად, კანონმდებლობაში ხვრელი ეძებოს. ხვრელი, რომელშიც, ამ შემთხვევაში, პენსიონერი გაიჭედა.

## ვის მხილებას აპირებს თამბაქოს საწინააღმდეგო ცენტრის ხელმძღვანელი

### ხელოვნური კონფლიქტი ხელისუფლებაში

ნანა ქადაგიშვილი

კარგა ხანია, თამბაქოს საწინააღმდეგო ეროვნული ცენტრი ქართულ საწარმოებში თამბაქოს დამზადების პირობების შესახებ შემაშფოთებელ განცხადებებს აკეთებს. **„თამბაქოს ქართულ საწარმოებში დამზადებული სიგარეტი იგივე შხამია. „ასტრა" ბაზარზე 25-30 თეთრად იყიდება, ასეთ ფასად კი ხარისხიანი სიგარეტის წარმოება შეუძლებელია. ის რომ ნორმალურ პირობებში მზადდებოდეს, 80 თეთრზე ნაკლები არ ეღირება. ქართველი მწარმოებლები მყიდველს თვალსა და ხელს შუა ატყუებენ. „ზალატაია პრიმას" კოლოფზე კუპრის შემცველობა 7,7 მილიგრამი აწერია, არადა, შეუძლებელია, უფილტრო სიგარეტში კუპრის შემცველობა 16 მილიგრამზე ნაკლები იყოს, "** – აცხადებს ცენტრის ხელმძღვანელი გელა კობეშავიძე.

სათანადო ინფორმაციის მოგროვების შემდეგ, კობეშავიძე სიგარეტის რამდენიმე ქართული საწარმოს მხილებასაც აპირებს, თუმცა, დარწმუნებულია, რომ წინააღმდეგობა შეხვდება: **„თამბაქოს ქართულ საწარმოებში სიგარეტის დამზადების პირობებზე რომ ავლაპარაკდით, მოღალატეები გვიწოდეს, ადგილობრივი წარმოების განვითარებას ხელს უშლითო. მოსახლეობის ჯანმრთელობა კი არავის აინტერესებს. სიგარეტის წარმოება-რეალიზაცია ბიუჯეტისა და კერძო პირების ჯიბის შევსების საუკეთესო წყაროა და ჩვენს ხელისუფლებას თამბაქოს საწინააღმდეგო პოლიტიკის გატარება ხელს არ აძლევს."**

ჩვენი კანონმდებლობით, ასეთ საწარმოებში არსებული მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მოპოვება სასამართლოს ნებართვის გარეშე შეუძლებელია. ამაზე კარგა ხანია შრომის ინსპექცია წუწუნებს. **„შრომის ინსპექციის შესახებ საერთაშორისო კონვენციის თანახმად, ჩვენს უწყებას უფლება აქვს, საწარმოში დღის ნებისმიერ დროს, წინასწარი გაფრთხილების გარეშე შევიდეს, მაგრამ ამ კონვენციას არავინ უყურებს. სამეწარმეო საქმიანობის შესახებ კანონის მიღების შემდეგ, საწარმოში სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე ვერ შევალთ. სასამართლო კი შემოწმებისთვის დასაბუთებულ ეჭვს გვთხოვს. თუ საწარმო არ შევამოწმეთ, ეჭვი როგორ დავასაბუთოთ? თბილისში, ჩვენი ინფორმაციით, თამბაქოს სამი საწარმოა. აქედან ორი დაკეტილია. თუმცა, როგორც ამბობენ, ღამღამობით ჩუმ-ჩუმად მაინც მუშაობენ. მესამე მოქმედ საწარმოში კი ვერ შევაღწიეთ. კარგა ხანია, სასამართლოს მისი შემოწმების ნებართვას ვთხოვთ, მაგრამ არაფერი გამოგვდის,"** – ამბობს შრომის ინსპექციის უფროსი ალბერ მორჩილაძე. ამაზევე წუწუნებენ „საქსტანდარტშიც".

მოსამართლეები პრობლემის წარმოქმნის მიზეზად მაკონტროლებელი უწყებების იურისტთა არაპროფესიონალიზმს ასახელებენ. **„როცა მაკონტროლებელი ობიექტის შემოწმებას ითხოვს, მოტივი უნდა დაგვისაბუთოს. ეს ობიექტის წინასწარი შემოწმების გარეშეც შეიძლება. ამისთვის კარგი იურისტია საჭირო. მაკონტროლებლები კი, არაპროფესიონალიზმის გამო, შემოწმების მოტივის დასაბუთებას ხშირად ვერ ახერხებენ, სასამართლო კი ამის გარეშე ნებართვას ვერ გასცემს,"** – განგვიცხადეს ვაკე-საბურთალოს რაიონის სასამართლოში.

რაც შეეხება მეწარმეებს, მაკონტროლებელთა ჩივილს ისინი სხვა მიზეზით ხსნიან. **„ამ კანონის მიღების შემდეგ ცოტა ამოვისუნთქეთ. თუმცა, ახლაც იმდენი მაკონტროლებელი ითხოვს შემოსვლას, რომ სასამართლოში გამოცხადება კვირაში რამდენჯერმე გვიხდება. შრომის ინსპექცია, სადაც საჭიროა, იქ შევიდეს. ჩვენს საწარმოში მუშების შრომითი პირობები არ ირღვევა, ხელფასი ნორმალური აქვთ, კვება და სამედიცინო შემოწმება - უფასო. თუკი მაკონტროლებელი შემოწმების მოტივს დაასაბუთებს, საწარმოში შესვლას არავინ დაუშლის, მაგრამ მათ უნდათ, ძველებურად, მხოლოდ საკუთარი ნება-სურვილით იმოქმედონ,"** –ამბობს თამბაქოს საწარმო "სიგარეტი პირველის" კომერციული დირექტორი თემურ მიქაბერიძე.


იური ლობოდინის ფოტო

გასამართლებელი მიზეზი ყველას მოეძებნება. ფაქტი კი ის არის, რომ დანამდვილებით ვერავინ იტყვის, ეროვნული სიგარეტი რა პირობებში მზადდება და ბაზარზე როგორი ხარისხის გამოდის. ეს კი არა და, შესაბამისმა მაკონტროლებლებმა ისიც არ იციან, თბილისში თამბაქოს რამდენი საწარმოა. შრომის ინსპექციისთვის სამი მათგანია ცნობილი. თამბაქოს საწინააღმდეგო ცენტრმა კი ინსპექციისთვის უცნობი კიდევ 4 საწარმო დაგვისახელა.

# „სკოტლენდ იარდი" პიტერ შოუს გასათავისუფლებლად ჩამოვიდა

ბრიტანელი ბიზნესმენი პიტერ შოუ ქართველ სამართალდამცველებს ჯერ კიდევ არ გაუთავისუფლებიათ, თუმცა ირწმუნებიან, რომ ძებნა გამალებით მიმდინარეობს და ეჭვმიტანილთა წრეც თანდათან ვიწროვდება. თანდათან იწურება იმ ულტიმატუმის ვადაც, რომელიც სამართალდამცველებს თვით საქართველოს პრეზიდენტმა წაუყენა. პიტერ შოუს რამდენიმე დღეში ვერპოვნის შემთხვევაში, ედუარდ შევარდნაძე ძალოვანი მინისტრების პასუხისმგებლობის საკითხის დასმით დაიმუქრა. რამდენად შესაძლებელია, რომ ნარჩემაშვილ-ხაბურძანიას მიერ დაწყებული საქმე უკვე მათმა შემცვლელებმა დააგვირგვინონ, ჯერ ძნელი სათქმელია, თუმცა უკვე ცნობილია, რომ ცოტა ხნის წინათ ბრიტანეთში მყოფ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრთან დამეგობრებულმა ინგლისელებმა მას დამხმარე ძალა შემოაშველეს. საქართველოში უკვე ჩამოვიდა ორი კრიმინალისტი "სკოტლენდ იარდიდან", რომლებიც შოუს ძებნაში მიიღებენ მონაწილეობას და მანამდე დარჩებიან საქართველოში, სანამ საქმეს ბოლომდე არ მიიყვანენ.

ინგლისის პოლიციის წამყვანი კრიმინალისტები დევიდ დუგლასი და ჯონათან კროუფორდი საქართველოში გუშინ ჩამოვიდნენ. გუშინვე ინგლისელი კანონდამცველები შეხვდნენ შს მინისტრს კობა ნარჩემაშვილს. შეხვედრა დახურული იყო, ფაქტობრივად, საიდუმლო ვითარებაში ჩატარდა. "სკოტლენდ იარდის" თანამშრომლები შეხვდნენ საქართველოს შს მინისტრს, მის მოადგილეს ზურაბ ჩხაიძეს, გენერალურ პროკურორს, უშიშროების მინისტრსა და მის მოადგილეს ირაკლი ალასანიას.

ქართველი და ბრიტანელი კოლეგების შეხვედრის დეტალები მკაცრად გასაიდუმლოებულია. ჩვენთვის ცნობილია მხოლოდ ის, რომ ქართველმა სამართალდამცველებმა ინგლისელებს დეტალურად გააცნეს საქმის მასალები და მომავალი სამოქმედო გეგმა. შეხვედრაზე ასევე დასახელდა გატაცებაში ეჭვმიტანილთა გვარებიც.

დიდი ბრიტანეთის ხელისუფლება, თავის მხრივ, გამორიცხავს დამნაშავეებთან კომპრომისზე წასვლას. სახელმწიფო მინისტრთან შეხვედრაზე დიდი ბრიტანეთის ელჩმა საქართველოში, ბარბარა დებორა ჯონსმა, განაცხადა, რომ მისი ქვეყნის ხელისუფლება მსგავს შემთხვევებში უარს ამბობს კრიმინალებთან ყოველგვარ შეთანხმებაზე. აქედან გამომდინარე, გამტაცებლებმა გამოსასყიდის საფასურად შოუს დაბრუნება რომც მოინდომონ, ინგლისური მხარე თანხის გადახდას არ დაყაბულდება.



*დიდი ბრიტანეთის ელჩი და „სკოტლენდ იარდის" წარმომადგენლები შინაგან საქმეთა სამინისტროში შეხვედრისას*

"სკოტლენდ იარდი" საქართველოში თანამემამულის გამოსახსნელად ჩამოვიდა და მანამდე მოუწევს აქ დარჩენა, სანამ ამ მისიას არ შეასრულებს.

ბრიტანეთის პოლიციის თანამშრომლები კატეგორიულ უარს აცხადებენ ჟურნალისტებთან შეხვედრაზე.

*სასამართლო დარბაზი*

# რედაქცია გამომცემლის წინააღმდეგ

ხათუნა ჯანგირაშვილი

*ორი თვის წინ მთაწმინდა-კრწანისის სასამართლოში უპრეცედენტო საჩივარი შევიდა. გაზეთ "ახალი მერიდიანის" ჟურნალისტები საკუთარ გამომცემელსა და დამფუძნებელს ტყუილში ადანაშაულებენ და მისგან კუთვნილი სახელფასო დავალიანების გადახდას ითხოვენ.*

რამდენიმე თვის წინ "ახალი მერიდიანის" ოფიციალური გამომცემელი შპს "2000", ხოლო მისი დირექტორი ვლადიმერ სამადბეგაშვილი გახდა. თუმცა, როგორც მოგვიანებით გაირკვა, გაზეთში ყველაფერს, ფაქტობრივად, განაგებდა მისი ძმა – საგამომცემლო სახლის "კაბადონის" დირექტორი ვაჟა სამადბეგაშვილი. ოფიციალური ხელშეკრულება დამფუძნებელსა და რედაქციას შორის არ გაფორმებულა, თუმცა გაზეთის ყველა შტატიან თანამშრომელს აქვს შპს "2000"- ის მიერ გაცემული ოფიციალური მოწმობა. როგორც მომჩივნები გუშინ სასამართლოს განუმარტავდნენ, შეთანხმების თანახმად, თანამშრომლებს გასამრჯელო ყოველი თვის დასაწყისში უნდა მიეღოთ, თუმცა ფაქტობრივი და იურიდიული გამომცემელი ჟურნალისტებისთვის კუთვნილი თანხის დარიგებას აგვიანებდა. ბოლოს სულ შეწყვიტა და დასაბეჭდად გამზადებულ გაზეთს შეგნებულად აგდებდა.

**"ცხადია, ხელფასის დაგვიანება დღევანდელი ქართული რეალობისთვის უცხო ხილი არ არის და არც გაუცემელი ხელფასის ოდენობაა ისეთი, რომ მისი აუღებლობის გამო ჩვენ სასამართლოსთვის მიგვემართა, მაგრამ საქმე ისაა, რომ გამომცემელთა სრულიად არასერიოზულმა დამოკიდებულებამ, მათმა უსასრულო ტყუილებმა, დამამცირებელმა და უღირსმა საქციელმა გადაგვაწყვეტინა, სასამართლოში დაგვეცვა ჩვენი უფლებები"**, - აცხადებენ "ახალი მერიდიანის " თანამშრომლები. მათივე თქმით, გამომცემელსა და რედაქციას შორის შედგა შეთანხმება, რომლის მიხედვითაც, ვაჟა სამადბეგაშვილი იღებდა ვალდებულებას მოეგვარებინა გაზეთის გამოცემასთან და გავრცელებასთან დაკავშირებული ყველა ფინანსური და მატერიალური პრობლემა: აელო საოფისე ფართი, შეექმნა ჟურნალისტებისთვის სამუშაო პირობები, შეეძინა კომპიუტერული ტექნიკა, დაესტამბა და გაევრცელებინა გაზეთი, დროულად გაეცა ხელფასები და ჰონორარები. შრომის კანონის თანახმად, თითოეულ თანამშრომელთან დაიდო შრომითი ხელშეკრულება.

"ახალი მერიდიანის" თანამშრომლები გამომცემლისაგან დიდი ხნის განმავლობაში დაპირებებს იღებდნენ, რომ გაზეთი განაახლებდა მუშაობას და კუთვნილი ხელფასებიც დარიგდებოდა.

**"როგორც კი მივხვდით, რომ გვატყუებდნენ, შევეცადეთ, გაგვერკვია ჩვენი პრობლემები. დიდი ხნის განმავლობაში შეუძლებელი გახდა ჩვენი ინვესტორის ნახვა, ამიტომაც, მას წერილობით მივმართეთ. ვთხოვეთ, განემარტა, შეწყვიტა თუ არა "ახალი მერიდიანის" გამოცემა, რაზეც პასუხი ველარ მივიღეთ,"** - აცხადებდა გუშინ სასამართლო პროცესზე მოსარჩელე მხარე და სასამართლოს ვაჟა სამადბეგაშვილის დაკითხვას სთხოვდა, რომელიც გაურკვეველი მიზეზის გამო პროცესზე არ გამოცხადდა და წარმომადგენლები გამოგზავნა. ჟურნალისტებმა ასევე მოითხოვეს ბუღალტრის დაკითხვა, რომელსაც დაცვის თანხლებით მიჰქონდა რედაქციაში ხელფასი და თანამშრომლებს უბეჭდო უწყისზე აწერინებდა ხელს.



*მოსამზადებელი პროცესი* ლევან ხერხეულიძის ფოტო

ერთი სიტყვით, გამომცემლის დაპირებების გამო "ახალი მერიდიანის" თანამშრომლებს ხელი შეეშალათ, გამოეყენებინათ პრესის კანონით მინიჭებული უფლება - დაეარსებინათ ამავე სახელწოდების სხვა გაზეთი და გაეგრძელებინათ მუშაობა.

ყოველივე აქედან გამომდინარე, მოსარჩელეები, შრომის კოდექსის საფუძველზე, შპს "2000"-ისგან ერთი თვის გაუცემელი ხელფასის ანაზღაურებას და იძულებით გაცდენილი დროისთვის – ორი თვის შრომის საფასურს ითხოვენ.

გუშინდელ მოსამზადებელ სასამართლო პროცესზე მოსამართლე ბევრს ეცადა, მხარეებს მორიგების გადაწყვეტილება მიეღოთ. მორიგდებიან თუ არა მოსარჩელე-მოპასუხეები, შემდეგ პროცესზე გაირკვევა.

# კანონით შენიღბული რეკეტი სამართალდამცველ ორგანოებში

სოფიკო ჩხაიძე

რამდენიმე წლის წინათ გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის კაბინეტები რომ ჩამოგევლოთ, მათი ტექნიკური აღჭურვილობის ნამდვილად შეგშურდებოდათ. უცხოური ტელევიზორები, ვიდეომაგნიტოფონები, კომპიუტერებიც კი – გამოძიებისთვის უდავოდ საჭირო ეს ატრიბუტები -- მაინც გასაკვირი ფუფუნება იყო მუდამ საწერ ქაღალდსა და ბენზინზე მოწუწუნე ქართველი სამართალდამცველების სამუშაო ოთახებისთვის.

რატომღაც დღემდე არავის მოსვლია თავში აზრად, რომ სამართალდამცველ, კერძოდ, საგამოძიებო ორგანოებში კორუფციის შემცირება და გამომძიებელთა მატერიალური პრობლემების მოგვარება ერთი მარტივი ხერხითაა შესაძლებელი. ამის თაობაზე არ უფიქრიათ მათაც, ვისაც კანონის დონეზე ევალება ამგვარი საკითხების გადაჭრა. ხოლო თავად სამართალდამცველებმა დიდი ხანია ამ ხერხს მიაგნეს და იყენებენ კიდეც ყოველგვარი საკანონმდებლო საფუძვლის არსებობის გარეშე. ასე იშვა რეკეტის ახალი სახეობა: რეკეტი არა კრიმინალების მიერ, არამედ კრიმინალების მიმართ განხორციელებული. განზოგადებისთვის შემოგთავაზებთ სისხლის სამართლის გამოძიების ყველაზე გახმაურებულ საქმეს. ედუარდ შევარდნაძის წინააღმდეგ 1995 წლის 29 აგვისტოს განხორციელებული ტერორისტული აქტის ორგანიზებაში დადანაშაულებული ჯაბა იოსელიანის დაპატიმრების სცენა საზოგადოებისთვის უმნიშვნელო დეტალებამდე ცნობილია: როგორ მივიდნენ მასთან ღამით, წაიყვანეს მოტყუებით შს სამინისტროში, როგორ გააშლევინეს მის მეუღლეს სუფრა და ჩხრეკის შედეგად ოჯახიდან წაიღეს ხატები, ტერორისტობაში ეჭვმიტანილის პირადი ჩანაწერები. სამაგიეროდ, ცოტამ თუ იცის, რომ ეს ნივთები საბოლოოდ შეკრულ მრავალტომიან სისხლის სამართლის საქმეზე დართულ ნივთმტკიცებათა ჩამონათვალში არ შეუტანიათ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, დღემდე ჯაბა იოსელიანი მათ დაბრუნებას უშედეგოდ ითხოვს. მეტიც, როგორც მას უთხრეს, რამდენიმე ნივთი დაკარგულიცაა.

**"დაახლოებით ერთი წლის წინათ მივმართეთ იუსტიციის სამინისტროს ამ ნივთების დაბრუნების მოთხოვნით,**-- გვითხრა ჯაბა იოსელიანის ადვოკატმა ბონდარ გაბუნიამ, -- **დაბრუნებაზე უარი გვითხრეს, ამ ნივთებით ზუგდიდის მოსახლეობას ჯაბას და"მხედრიონის" მიერ მიყენებული ზარალი უნდა აუნაზღაურდესო. თავი დავანებოთ თავად ზუგდიდის ეპიზოდში ჯაბა იოსელიანის დადანაშაულების აბსურდულობას. ნივთები, რომლებიც ნივთმტკიცებათა ნუსხაში არ შესულან, მეტიც, განაჩენში მათზე და ზარალის ანაზღაურებაზე ერთი სიტყვაც არ არის თქმული, ყველა წესისა და კანონის მიხედვით მფლობელს უნდა დაუბრუნდეს. განაჩენში რომ არსებობდეს ამის შესახებ ჩანაწერი, კიდევ ჰო, მაგრამ ამ შემთხვევაშიც ნივთები აუქციონის წესით უნდა გაიყიდოს და ამონაგები თანხით ანაზღაურდეს ზარალი. თუმცა, რა კანონზეა ლაპარაკი. დარწმუნებული ვარ, ყველა ნივთი დღესაც პროკურატურაშია. ეს ყველაფერი იოსელიანების ოჯახისთვის ძალზე ფასეულია: ერთი ხატი პავლე ინგოროყვას ნაჩუქარი გახლავთ, პირადი ჩანაწერები, ხელნაწერები კი, რასაკვირველია, მწერალი კაცისთვის ფასდაუდებელია."**

მხოლოდ იოსელიანის ოჯახისთვის ფასეული ნივთების არდაბრუნება იქნებ არც მიგვეწერა საგამოძიებო ორგანოებში არსებული კორუფციისათვის და უბრალო დაუდევრობით გაგვემართლებინა, მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ ჯაბა იოსელიანთან ერთად განსასჯელის სკამზე მსხდომთაც შეექმნათ მსგავსი პრობლემები. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, სწორედ გიგა გელაშვილისა და გურამ პაპუკაშვილის კომპიუტერებითა და საყოფაცხოვრებო ტექნიკით იყო დაკომპლექტებული გამომძიებელთა კაბინეტები. მეტიც, უშიშროების სპეცდანაყოფ "ალფას" მეთაურის მოადგილემ დღემდე ვერ დაიბრუნა ჩხრეკისას გაურკვეველი მოსაზრებით წაღებული კოსიტუმი, რომელიც საკუთარ ქორწილში ეცვა. კრიმინალური სამყაროს ავტორიტეტის თემურ ქურდიანის დედამ კი სულ ახლახან გამოგლიჯა სამართალდამცველებს მისი შვილის დაპატიმრების შემდეგ, თითქმის ექვსი წლის წინ ჩატარებული ჩხრეკისას ამოღებული ძვირფასი სამკაულები.

ამ შემთხვევების განზოგადება ნამდვილად შესაძლებელია. ზემოთ დასახელებული პირების პოპულარობა და მათით პრესის დაინტერესება თავისთავად გულისხმობდა ფაქტების გახმაურებას. თუ სამართალდამცველები ამასაც არ მოერიდნენ, უკვე ადვილად შეიძლება ვარაუდი, სად ხვდება და რა ბედი ეწევა ხოლმე საზოგადოების ყურადღებას მოკლებული, ასე ვთქვათ, რიგითი პატიმრებისგან საჭიროებისამებრ თუ უკანონოდ ამოღებულ ძვირფას ნივთებს.

ქურდის ქურდი ვინმესთვის შეიძლება საცხონებელია, მაგრამ არა კანონმდებლისთვის, რომელიც ბრალდებულთა და განსასჯელთა უფლებებსაც ისევე უნდა იცავდეს, როგორც დანაშაულისგან ძალზე შორს მდგომი მოქალაქისას. შესაბამისად, ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში, სამართალდამცველი, რომელიც ართმევს კრიმინალს ისეთივე დამნაშავეა, როგორც კრიმინალი, რომელიც კეთილსინდისიერ მოქალაქეს ქურდავს.

## პოლიციის მაღალჩინოსანი ვასილ დავითაია დასაჯეს

შს მინისტრმა კობა ნარჩემაშვილმა გუშინ სამინისტროს საბჭოზე ადმინისტრაციული გადაწყვეტილება მიიღო. ჩვენს ხელთ არსებული სარწმუნო ინფორმაციით, მინისტრმა მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსს ვასილ დავითაიას ჯერჯერობით მსუბუქი სასჯელი აკმარა.

პოლიციის გენერალ ვასილ დავითაიას მინისტრის ბრძანებით გამოეცხადა მკაცრი საყვედური პირად საქმეში შეტანით. სამინისტროს საბჭოს სხდომაზევე გადაწყდა, რომ დეპარტამენტი, რომელსაც კორუფციაში ეჭვმიტანილი ვასილ დავითაია ხელმძღვანელობს, გადაკეთდება სამოქალაქო სამსახურად და მას ახალი უფროსი გაუძღვება.

ჩვენი ინფორმაციით, მინისტრის გადაწყვეტილების გამო გაბრაზებული დავითაია საპროტესტო გამოსვლას შეეცადა, თუმცა - უშედეგოდ. "მე გადაწყვეტილება უკვე მივიღე," – ამ სიტყვებით გააწყვეტინა სიტყვა მას მინისტრმა და სხდომა დასრულებულად გამოაცხადა.

ერთი სიტყვით, ვასილ დავითაიას პოლიციური კარიერა, როგორც ჩანს, დასასრულს მიუახლოვდა.

## თანამდებობის პირები გორს უნდა ერიდონ

ამ ორ კვირაში შიდა ქართლში მაღალი თანამდებობის პირის მანქანის გატაცების უკვე მესამე შემთხვევა დაფიქსირდა. ასეთი სტატისტიკა ან სერიული ავტომანიაკის გამოჩენით აიხსნება, ან თანამდებობის პირთა მიმართ გულში წყენის ჩადებით. უფრო სარწმუნო კი ის ვერსიაა, რომლის თანახმადაც მაღალჩინოსანთა უცხოური მარკის ძვირადღირებული მანქანები კარგად საღდება ცხინვალის რეგიონში. როგორც ცნობილია, ხშირ შემთხვევაში შიდა ქართლში მომხდარი დანაშაულის კვალი სწორედ კონფლიქტის ზონისკენ მიდის.

მაგრამ საქმეც ის გახლავთ, რომ ამჯერად ავტომძარცველების ხელში ჩავარდნილი გორის რაიონის გამგებლის მანქანა თავისი განსაკუთრებულობით არ გამოირჩევა. გამგეობის კუთვნილი "ვაზ-21", რომლითაც ზაზა კოშაძე სარგებლობდა, გორის საკოლმეურნეო ბაზრის მიმდებარე ტერიტორიიდან გაიტაცეს. გორის პოლიციის უფროსი უშანგი მგელაძე მომხდართან დაკავშირებით ტრადიციულ განმარტებას იძლევა. მისი თქმით, გარკვეული ინფორმაცია გამტაცებლების თაობაზე სამართალდამცველებს აქვთ, მაგრამ გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე არ ახმაურებენ.

## სანქტ-პეტერბურგიდან ექსტრადირება ელით

სანქტ-პეტერბურგში ორი ქართველი ძებნილი დააკავეს. ერთ მათგანს ქართველი სამართალდამცველები 1995 წლიდან ეძებენ, მეორეს კი - სულ ერთი წელია.

31 წლის კახა ხუჯუა მკვლელობისთვის იძებნებოდა. ის თანამზრახველთან ერთად 1995 წელს თავს დაესხა და ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით მოკლა ოზურგეთელები ზ. ჩხარტიშვილი და გ. ბუნდაძე.

რაც შეეხება მეორე დაკავებულს, მისი დანაშაული გაცილებით მსუბუქია. ვალეხ აბდურახმანოვი შარშან თავს დაესხა გარდაბანში მცხოვრები აბასოვების ოჯახს და გაიტაცა ძვირფასი ნივთები.

პეტერბურგელმა კოლეგებმა ძებნილთა დაკავების შესახებ საქმის კურსში ჩააყენეს ქართველი სამართალდამცველები და ამჟამად მიმდინარეობს მზადება პატიმართა საქართველოში ექსტრადიციისთვის.

*უცხოეთი*

## „ობობას„ ქსელში ბერეზოვსკებიც გაებნენ

14 ივნისს იტალიის სამართალდამცველი ორგანოების მიერ "რუსული მაფიის" წინააღმდეგ ჩატარებული სპეცოპერაცია კვლავ გრძელდება.

დადგენილია რუსული შავი ფულის გამთეთრებელთა ვინაობა და ფირმები, რომელთა მეშვეობითაც ხორციელდებოდა ეს საქმიანობა.

ეს ფირმები არიან "kama Trade" და "Prima", რომლებიც რუსეთიდან მიღებული ფულის გათეთრებაზე აქტიურად მუშაობდნენ. ხსენებულმა ფირმებმა 3 მილიარდ დოლარზე მეტი თანხა გაათეთრეს.

იტალიის პოლიციის მონაცემებით, "Prima" იტალიის ქალაქ რიმინიშია რეგისტრირებული და მას აკონტროლებენ ძმები -- იგორ და ოლეგ ბერეზოვსკები. ფირმას, რომელიც სარეკლამო, მარკეტინგისა და საგამომცემლო ბიზნესითაა დასაქმებული, ფილიალები აქვს საფრანგეთსა და შვეიცარიაში. ეს ფირმა წარმატებით ათეთრებდა პროსტიტუციის, ნარკოტიკისა და იარაღის ვაჭრობისგან შემოსულ შავ ფულს. მისი კლიენტები იყვნენ ავტორიტეტული ბიზნესმენები "სოლნცევოს" ჯგუფიდან და რუსეთში ცნობილი ადამიანები.

ოპერაციის დროს დაპატიმრებულმა ცნობილმა მაფიოზმა, გაუდენცო ბანიოლინმა, დაასახელა თავისი რუსი პარტნიორები: სერგეი მიხაილოვი, ვიქტორ ავერინი, მაგილევიჩისა და გრეგორ ლუჩანსკის კლანი. თუმცა, მათი დანაშაულში მონაწილეობის დამადასტურებელი მასალები პოლიციას ჯერ არ მოუპოვებია.

პოლიციამ რიმინის ხუთვარსკვლავიან სასტუმროში დააკავა "სოლნცევოს" ჯგუფის კიდევ ერთი წევრი სემენ ბაკინიანი.

იტალიელი სამართალდამცველები გამოტყდნენ, რომ ოპერაცია "ობობა" 1999 წლიდან იგეგმებოდა და ის კვლავაც გაგრძელდება.

*კითხვა-პასუხი*

## გასესხებული თანხის დაბრუნების გარანტიები

**კითხვა:** *მინდა გავასესხო თანხა, მაგრამ მეშინია დაკარგვის, როგორ უნდა მოვიქცე ასეთ შემთხვევაში?*

**პასუხი:** თანხის გასესხებისას აუცილებლად უნდა გაფორმდეს წერილობითი შეთანხმება. თუ არ გინდათ დაკარგოთ გასესხებული ფული, მსესხებელს უნდა მოსთხოვოთ უძრავი ქონების იპოთეკით (უძრავი ქონების დაგირავება (დატვირთვა თქვენს სასარგებლოდ.

თანხის გასესხებისას სასურველია, თქვენსა და მოვალეს შორის დაიდოს სანოტარო წესით დამოწმებული ორი ხელშეკრულება: სესხისა და იპოთეკის.

ხელშეკრულების გაფორმებისას უძრავი ქონების მესაკუთრემ უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

1.საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი. ხელშეკრულება, რომელიც ადასტურებს, რომ თქვენ ხართ ქონების მესაკუთრე. ეს შეიძლება იყოს: ჩუქების, პრივატიზაციის, ნასყიდობის ხელშეკრულება, ან კანონიერი და ანდერძისმიერი მემკვიდრეობის უფლების მოწმობა.

2.ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, ან ცნობა-დახასიათება ტექბიურიდან.

3.ცნობა ყადაღის შესახებ.

ხელშეკრულების დამოწმებისას უნდა გადაიხადოთ გარკვეული თანხა კანონით დადგენილი წესის მიხედვით.

სანოტარო წესით დამოწმებული იპოთეკის ხელშეკრულებას კანონიერი ძალა აქვს საჯარო რეესტრში რეგისტრაციის შემდეგ.

საჯარო რეესტრში რეგისტრაციისას უნდა გადაიხადოთ სარეგისტრაციო მოსაკრებელი – 7 ლარი.

საჯარო რეესტრში იპოთეკის რეგისტრაცია აუცილებელია გაუგებრობებისა და მოტყუების თავიდან ასაცილებლად.

სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება დადებულად ჩაითვლება სანოტარო წესით დამოწმებისა და საჯარო რეესტრში რეგისტრაციის შემდეგ.

თუ მოვალე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში არ დაგიბრუნებთ ვალს, უნდა მიმართოთ სასამართლოს და სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე მოხდება იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების აუქციონზე გაყიდვა.

აუქციონის ჩატარების დროს და ადგილს ადგენს სასამართლო აღმასრულებელი.

აუქციონის ჩატარების თაობაზე განცხადება აღმასრულებელმა უნდა გამოაქვეყნოს 7 დღით ადრე.

თუ აუქციონის დაწყებამდე მოვალე გადაიხდის ყველა ვალს და ყველა სხვა ხარჯს, მაშინ აუქციონი წყდება.

აუქციონში მონაწილეობის უფლება აქვს მოვალესაც და გამსესხებელსაც.

თუ აუქციონზე მყიდველი არ გამოჩნდა, ინიშნება განმეორებითი აუქციონი.

თუ არც მეორე აუქციონზე მოხდება გაყიდვა, წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე ნივთი შეიძლება გადაეცეს გამსესხებელს.

# დეკოლონიზაცია გრძელდება

## ჰანტინგტონისტები და ტერორისტები

თემურ იაკობაშვილი
საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი
სპეციალურად "24 საათისათვის"

საბჭოთა კავშირის დაშლით, თითქოს დასრულდა არა მარტო ცივი ომი, არამედ კოლონიზაციის ერაც. მსოფლიომ მიიღო განთავისუფლებული სახელმწიფოების კიდევ ერთი ჯგუფი, მაგრამ, როგორც ჩანს, მსოფლიოს გარკვეული ნაწილისათვის დეკოლონიზაციის პროცესი კვლავ გრძელდება, ამჟამად უკვე ეთნიკურ-რელიგიურ-კულტურული ნიშნით.

მეოცე საუკუნის მიწურულს, ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორმა, პოლიტოლოგმა სამუელ ჰანტინგტონმა, წამოაყენა ჰიპოთეზა, რომ მომავალი მსოფლიო ომები ცივილიზაციათა დაპირისპირების გამო მოხდება. მაშინ ამ იდეამ მსოფლიოს ინტელექტუალურ წრეებში სერიოზული მითქმა-მოთქმა წარმოშვა და მეცნიერთა დიდმა ნაწილმა არ მოიწონა ეს თეორია.

ყველასათვის მოულოდნელად, ჰანტინგტონის თეორიას ახალი მიმდევრები და განმახორციელებლები გამოუჩნდნენ... ისლამისტი ტერორისტების სახით.

ხშირად, თანამედროვე მსოფლიოში გაბატონებული პრინციპები და ნორმები განიხილება, როგორც იუდეურ-ქრისტიანულ საფუძვლებზე ჩამოყალიბებული ლიბერალურ-დემოკრატიული ფასეულობები. ფაქტობრივად, თითქმის ყველა განვითარებული და წარმატებული სახელმწიფო ამ ფასეულობების მატარებელია. ამავე დროს, სხვა უძველესი რელიგიებისა თუ ეთნოსების წარმომადგენლებით დასახლებული სახელმწიფოები, მიუხედავად მათი ბუნებრივი წიაღისეულით სიმდიდრისა თუ მოსახლეობის დიდი რაოდენობისა, ვერ ახერხებენ სასურველი ტემპებით განვითარებას. დეკოლონიზაციის შედეგად, მსოფლიოს მრავალმა სახელმწიფომ დე იურე და დე ფაქტო კი მოიპოვა დამოუკიდებლობა, მაგრამ ვერ შეძლო ამ დამოუკიდებლობის სრულფასოვანი რეალიზება და განვითარებული სახელმწიფოს შექმნა, რითაც არა მარტო არ შემცირდა ღარიბთა რიცხვი, არამედ სულ უფრო თვალშისაცემი გახდა მდიდართა და ღარიბთა შორის მზარდი უფსკრული. ამის ფონზე ამ სახელმწიფოებში აქტიურად იკიდებს ფეხს დასავლური კულტურა, მუსიკის, კინოსა თუ ცხოვრების წესის მიმბაძველობის გზით. ისეთი თანამედროვე ტექნოლოგიური მიღწევები, როგორიცაა ინტერნეტი, სატელიტური ტელევიზია და ა.შ., ხელს უწყობს ამ პროცესების დინამიურ განვითარებას. საკუთარი ჩამორჩენილობა უკვე სერიოზულ კითხვებს ბადებს.

ამ მოვლენების პარალელურად, სულ უფრო იკრებს ძალას საწინააღმდეგო პროცესი, რომლის ძირითადი არსი მდგომარეობს იმაში, რომ დასავლური ცივილიზაციის ექსპანსიის შედეგად, იჩაგრება და იდევნება ძველი და ტრადიციული კულტურა და რელიგია. ამ იდეებს აქტიურად ქადაგებენ ის ლიდერები, რომლებმაც, საკუთარი უნიათობისა თუ სხვა სუბიექტური მიზეზების გამო, ვერ შეძლეს უზრუნველეყოთ თავიანთი საზოგადოებებისა და ქვეყნების ნორმალური განვითარება. ადვილი მისახვედრია, რომ ამგვარ ვითარებაში, დამნაშავისა და მტრის ხატი თავისთავად ითხოვს არსებობას. ასეთ მტრად ე.წ. "დასავლური ცივილიზაცია" გამოცხადდა, რომელიც თითქოსდა ექსპლუატაციას უწევს სუსტ სახელმწიფოებს, ძირს უთხრის მათ ეთნიკურ და რელიგიურ თვითმყოფადობას. მარტივი არითმეტიკაც კი გვიჩვენებს, რომ არაქრისტიანული სამყარო გაცილებით მეტ ბუნებრივ რესურსებს ფლობს და მეტი მოსახლეობაც გააჩნია. ასევე, არც რელიგიური თუ კულტურული ფასეულობების მასშტაბურობითა და სიძველით ჩამოუვარდება ქრისტიანულ სამყაროს. ანუ, თითქოსდა, სახეზეა ახალი დეკოლონიზაციის საჭიროება, რომელიც ამჯერად უკვე რელიგიური-კულტურული და ეთნიკური ნიშნით უნდა წარიმართოს.

სამწუხაროდ, ასეთი მიდგომების თავისებური ინტერპრეტაციის მიმდევართა რიცხვი დღითიდღე იზრდება. იდეოლოგია კი არც ისე ძნელი საძებნი აღმოჩნდა. ისლამური ფუნდამენტალიზმის მამებმა, ყურანის თავისებური ინტერპრეტაციის გზით, შექმნეს იდეოლოგია, რომლის მიხედვითაც მხოლოდ მუსლიმანები არიან სრულყოფილი არსებები და მათი მიზანია, მსოფლიო გაწმინდონ არასრულყოფილი ურჯულოებისაგან, ანუ არამუსლიმანებისგან, რათა შექმნან მსოფლიო ისლამური სახალიფო, შარიათის კანონების მიხედვით. ზემოთ ხსენებული მიზეზების გამო, მთელ რიგ სახელმწიფოებში ამ იდეოლოგიამ ძალზე ნაყოფიერი ნიადაგი ნახა და მშვენივრად მოერგო ადგილობრივი მოსახლეობის განწყობილებებს. იგი აქტიურად ისწავლება რელიგიურ სასწავლებლებში --მედრესეებში, ანუ ამ იდეოლოგიით მთელი თაობები იზრდება. იდეოლოგიის მამებს აუცილებლად სჭირდებათ არა მარტო განათლება, არამედ იდეის ცხოვრებაში გატარებაც, რაც მათ აქტიური ქმედებებისაკენ უბიძგებს.

სამწუხაროდ, ამ ქმედებებმა არ დააყოვნა და დღევანდელმა მსოფლიომ მიიღო ისლამის სახელით მეომართა დიდი რაოდენობა, რომლებიც დედამიწის სხვადასხვა კუთხეში ეწევიან ე.წ. "წმინდა ომს" - ჯიჰადს.

აღსანიშნავია, რომ ხსენებული "ალაჰის მეომრები", როგორც ისინი უწოდებენ საკუთარ თავს, გამოირჩევიან გასაოცარი ფანატიზმითა და თავდადებით, რითაც უკიდურესად განსხვავდებიან თანამედროვე განვითარებული სახელმწიფოების უსაფრთხოების დოქტრინებისგან, რომელთა მიზანია ომის წარმოება მინიმალური ადამიანური მსხვერპლის გზით. იდეის ავტორებმა ისიც კი შეძლეს, რომ ტრადიციული ისლამით აკრძალული თვითმკვლელობა დასაშვები გახადეს ეგრეთ წოდებული "შაჰიდებისათვის", ანუ ფანატიკოსი ტერორისტი კამიკაძეებისთვის, რომელთა ქმედებებს უამრავი უდანაშაულო ადამიანი, მათ შორის ბევრი მუსლიმიც ეწირება.

იმისათვის, რომ ცეცხლს ნავთი არ მოაკლდეს და ლოკალური ომები სერიოზულ კონფლიქტში გადაიზარდოს, აუცილებელია გლობალური დაპირისპირების არსებობა და მოწინააღმდეგეების პროვოცირება სერიოზულ კონფლიქტზე. ამ შემთხვევაში, ფუნდამენტალისტებისთვის, მოწინააღმდეგე მხარედ მთლიანად დასავლური ცივილიზაცია აღიქმება, ანუ საჭირო ხდება ცივილიზაციური კონფლიქტის პროვოცირება. ასეთი პროვოკაციების მცდელობები კი, დღეისათვის, უკვე მრავლად გამოჩნდა.


"თალიბანის" ლიდერები


"ჰამასის" ერთ-ერთი მეცადინეობა



"ჰამასის" მიერ გამოცემული სახელმძღვანელო - "პოლიტიკური მოძღვრება და პრაქტიკა"

თუ გადავხედავთ დღევანდელ მსოფლიო რუკას, დავინახავთ, რომ პროვოკაციები ფართო მასშტაბით მიმდინარეობს. შევეხოთ ზოგიერთ მათგანს: გაუთავებელი ტერორისტული აქტები ისრაელის მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ, უბიძგებენ ისრაელის მთავრობას სერიოზული სამხედრო ოპერაციებისკენ, რაც ავტომატურად აღიქმება პალესტინელებისა და ისლამის წინააღმდეგ მიმართულ აქციად, რომელსაც "დასავლეთი" უმაგრებს ზურგს. თუმცა პალესტინელებს უკვე დიდი ხანია შეეძლოთ თავიანთი სახელმწიფოებრიობის უზრუნველყოფა მათთვის ამერიკის, ევროპისა და არაბული სამყაროს მიერ უკვე გაწეული სერიოზული პოლიტიკური და ფინანსური მხარდაჭერის მეშვეობით. მაგრამ როგორც გამოჩნდა, პალესტინელთა ლიდერებს ნაკლებად აღელვებთ საკუთარი სახელმწიფო და სინამდვილეში ცდილობენ ებრაული და მუსლიმური სამყაროების დაპირისპირებას.

ისლამისტები უფრო შორს წავიდნენ, პროვოკაცია ახლა უკვე ქაშმირში წამოიწყეს და, რომ არა მსოფლიოს მთელი რიგი სახელმწიფოების, მათ შორის რუსეთის, აქტიური ჩარევა, ინდოეთი და პაკისტანი - ორი ბირთვული სახელმწიფო – შეიძლება, სერიოზული ომის წინაშე აღმოჩენილიყვნენ. ამასთან, პრეზიდენტ მუშარაფის დასუსტებითა და შემდგომი ჩამოგდებით, ისლამისტებს ხელში ატომური იარაღი ჩაუვარდებოდათ.

არც ისე შორეულ წარსულში იგივე ისლამისტებმა აქტიური პოზიციები დაიკავეს ჩეჩნეთ-რუსეთის დაპირისპირებაში და დაღესტანში განხორციელებული ცნობილი ბასაევ-ხატაბის რეიდის მეშვეობით, აიძულეს რუსეთი, ახალ ომში ჩართულიყო. ამ პროვოკაციას შედეგად მოჰყვა ჩეჩნური ეთნოსის ლამის წარმატებული გენოციდი, რაც ჯერ კიდევ სერიოზულ სირთულეებს შეუქმნის თავად რუსეთს.

ტერაქტი აშშ-ში უდაოდ ამ სცენარის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია და, როგორც უკვე გამოჩნდა, სახეზეა სერიოზული მცდელობები, რომ მოხდეს ისლამური სამყაროს დაპირისპირება დანარჩენ მსოფლიოსთან. ასეთი დაპირისპირება კი, ეჭვგარეშეა, მიგვიყვანს სამუელ ჰანტინგტონის მიერ ნაწინასწარმეტყველებ ცივილიზაციათა შეჯახებამდე.

განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს, რომ ეს საშიშროება სინამდვილეში არა მარტო ე.წ. "დასავლური ცივილიზაციის" სახელმწიფოებს ემუქრება. მთელ რიგ ქვეყნებში, რომელთა მოსახლეობის ძირითადი ნაწილი მუსლიმურია, რადიკალურად განწყობილი ისლამისტები სერიოზულ პრობლემებს უქმნიან დასავლეთისკენ ორიენტირებულ ხელისუფალთ. მაგალითისთვის თურქეთი, ეგვიპტე, იორდანია და იგივე პაკისტანიც კმარა. ყველა ამ სახელმწიფოებში ისლამისტებს განსაკუთრებული მიზანი ამოძრავებს - მთავარია არ დაუშვან დასავლეთთან მშვიდობიანი თანაცხოვრება, რადგან ამგვარი თანაცხოვრების მაგალითები ანგრევენ ისლამისა და დანარჩენი მსოფლიოს დაპირისპირების მათეულ თეორიას.

საინტერესოა, თუ რა ადგილი უკავია საქართველოს ამ პროცესებში? სამწუხაროდ - ერთ-ერთი ცენტრალური.

აღმოჩნდა, რომ ჩვენი გეოგრაფიული მდებარეობის გამო, საქართველო ახლაც ახალი დაპირისპირების შუაგულშია. ხოლო რაც შეეხება საქართველოს არჩევანს, ვფიქრობ, მან არჩევანი ჩვენი წელთაღრიცხვის მეოთხე საუკუნეში გააკეთა, ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების გზით.

ალბათ, ზემოთ ხსენებული რეალიების გათვალისწინებაა საჭირო ჩვენი საგარეო პოლიტიკის განხილვის დროსაც. ამ პრიზმით დანახული საგარეო პოლიტიკა კი აღარ ბადებს კითხვებს, თუ რა საგარეო ორიენტაციისა უნდა იყოს საქართველო. იგივე ეხება რუსეთსაც, რომელიც, ფაქტობრივად, ჩვენთან ერთად ერთ ბანაკში იმყოფება და რაც უფრო მალე გაათვითცნობიერებს რუსეთის პოლიტიკური და სამხედრო ისტებლიშმენტი ამ ფაქტს, მით უფრო ეფექტური იქნება ჩვენი თანამშრომლობა, საერთო საფრთხისაგან, კაცთმოძულე ექსტრემიზმისაგან თავის დასაცავად.

როგორც ჩანს, დანგრეულმა მსოფლიო სავაჭრო ცენტრმა, ამერიკელები ყველაზე ადრე გამოაფხიზლა და კარგად დაანახა კარსმომდგარი საშიშროება. ამერიკელი რეინჯერების საქართველოში ყოფნაც, როგორც ირკვევა, არა რუსეთის დასუსტებისკენ არის მიმართული, არამედ ახალი ფრონტის გაძლიერებას უწყობს ხელს.

ბოლო ხანებში საქართველოში საეჭვოდ იკარგება იარაღი და კომუნიკაციის საშუალებები. გაურკვეველი ადრესატისა და მეპატრონის შეიარაღება აქტიურად მოძრაობს ქვეყნის შიგნით და გარეთ. იტაცებენ უცხოელებს და თითქოს ყველა გზა პანკისის ხეობისაკენ მიდის, სადაც ამერიკელებიც და რუსებიც ისლამისტ ტერორისტებს ეძებენ. ევრაზიული სატრანსპორტო კორიდორის მარშრუტებით, ჯერჯერობით, ძირითადად საეჭვო ტვირთები მოძრაობს და ტრეფიკინგის ბევრი შემთხვევაც დაფიქსირდა. როგორც ჩანს, ჩვენ ჯერ კიდევ ვერ ვაცნობიერებთ, თუ რა სერიოზული საფრთხის წინაშე ვდგავართ და იმდენად ვართ გართული შინაომებით, რომ სახელმწიფოებრიობის მშენებლობა უკანა პლანზე მოგვრჩა. არადა, როგორც სამწუხარო პრაქტიკა გვიჩვენებს, სწორედ სუსტი სახელმწიფოები ხდებიან პირველი დარტყმის ობიექტებიცა და მსხვერპლნიც. ამასობაში კი, პროვოკაციის აჩრდილმა საქართველოში უკვე კონკრეტული კონტურები შეიძინა. საქართველოს თავისი ჰანტინგტონისტები ჰყავს.

# ტურფა საქართველოს ნაცრისფერი პერსპექტივა

ირაკლი ტაბლიაშვილი

*საქართველო, სამხრეთ კავკასიის ეს წარმტაცი ქვეყანა, 2005 წლის მოლოდინშია - სწორედ 3 წლის შემდეგ, დასრულდება შევარდნაძის მმართველობის დაუსრულებელი ეპოქა, რომელიც თითქმის სამ ათეულ წელიწადს ითვლის.*

**"შევარდნაძის გარეშე ცხოვრება გაგვიჭირდება,"** - ასე მსჯელობს რიგითი ქართველი ობივატელი, რომელსაც სტაბილურობის ერთადერთ გარანტად შევარდნაძე მიაჩნია და ფიქრობს, რომ პოლიტიკური ავანსცენიდან მისი წასვლის შემდეგ, სხვა პოლიტიკოსები ერთმანეთს დაჭამენ, ქვეყანაში კი არეულობები დაიწყება.

მიუხედავად ამისა, ქართველები მაინც არ განიხილავენ შევარდნაძის მესამე ვადით არჩევის ან ვადის გაგრძელების პერსპექტივას და ამის მიზეზი ისიცაა, რომ 2005 წლისათვის პრეზიდენტი საკმაოდ ხანდაზმული იქნება.

**"გარდა ასაკისა, აუცილებელია იმის გათვალისწინებაც, რომ საზოგადოებას უკვე მობეზრდა ერთი პოლიტიკოსის ცქერა, მისი თუნდაც ყველაზე ეფექტური ნაბიჯიც კი უკვე მარაზმატული და საშინელია,"** – ამბობს ერთ-ერთი კერძო უმაღლესი სასწავლების ლექტორთთაგანი, რომელიც ვინაობის გამხელისაგან თავს მხოლოდ იმიტომ იკავებს, რომ, მისი აზრით, მას რაიმე განსაკუთრებული არ უთქვამს და ასე ბევრი ფიქრობს.

თუმცა არიან ისეთებიც (ზოგიერთი მაღალჩინოსანი თუ წარმატებული ბიზნესმენი), რომლებიც შევარდნაძის მესამე ვადით არჩევის ინიციატივით გამოდიან, მაგრამ არსებობს ვარაუდი, რომ მსგავს ინიციატივებს საფუძვლად უდევს უფრო საკუთარი ძალაუფლების განმტკიცების სურვილი, ვიდრე შევარდნაძისადმი დიდი პატივისცემა ან სახელმწიფოებრივად აზროვნება და ქვეყნის მომავალზე ფიქრი.

2005 წელს 13 წელი შესრულდება, რაც შევარდნაძემ ქაობიდან დამოუკიდებელი საქართველოს ამოყვანის ვალდებულებები აიღო. საეჭვოა, რომ დარჩენილ დროში პრეზიდენტი გაუმკლავდეს ყველა წარუმატებლობას, რაც საქართველომ განიცადა მისი მმართველობის პერიოდში. ფიასკოთა შორის გამოსარჩევია ტერიტორიული მთლიანობის ჯერ რღვევა და მერე ვერ აღდგენა - მსოფლიოში ცნობილ პაციფისტს და ბერლინის კედლის დამანგრეველს, სამშობლოს გასაერთიანებლად საკმარისი ძალა არ აღმოაჩნდა.

მიზეზი, იმისა რომ შევარდნაძეს სწორედ სამშობლოში უწია საკუთარი კარიერის “ვატერლოომ", ისიცაა, რომ, განსხვავებით საგარეო პოლიტიკისაგან, საქართველოში მას ურთიერთობა მოუხდა პოლიტიკურ ტექნოლოგიებში გაუწაფავ, დაუღვინებელ პოლიტიკოსებთან.

პრეზიდენტს არასოდეს ჰყოლია გამორჩეული, მუდმივად ფავორიტი პოლიტიკოსი. თუ ერთ შემთხვევაში, შევარდნაძე არჩევანს ზურაბ ჟვანიაზე აკეთებდა, მეორე შემთხვევაში მის სიმპათიები ავთანდილ ჯორბენაძისკენ გადაიხარა, ამ ორ პერსონას კი დიამეტრალურად განსხვავებული პოზიცია და ხედვა აქვს. ძნელი სათქმელია, დარჩება თუ არა ჯორბენაძე შევარდნაძის ფავორიტად 2005 წლისთვისაც, რადგან ფაქტია, რომ, პრეზიდენტის გულის მოგებას დღეს ავანსცენაზე მყოფი სხვა პოლიტიკური ჯგუფებიც ცდილობენ, რომელთა ინტერესები ჯორბენაძის ინტერესებს დღეს არ ეწინააღმდეგება, მაგრამ ხვალ, შესაძლოა, ყველაფერი საპირისპიროდ შეიცვალოს.

საქართველოში ფიქრობენ, რომ რუსი კოლეგის - ელცინის მსგავსად, შევარდნაძე მემკვიდრეს დაასახელებს და ამით, პრინციპში, უზრუნველყოფს მშვიდ და ხელშეუხებელ სიბერეს, მაგრამ, ეს ძნელად წარმოსადგენია, რადგან, თავად შევარდნაძის დაბალი ავტორიტეტისა და შელახული იმიჯის გამო, ძალზე საეჭვოა, რომ სწორედ შევარდნაძის შემოთავაზებულმა კანდიდატმა მიაღწიოს წარმატებას.

ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორის, ლევან ბერძენიშვილის თქმით, **"პერსპექტივა პოლიტიკაში მხოლოდ იმ ძალებს აქვთ, ვინც მკვეთრად გაემიჯნება რეტროგრად პრეზიდენტს"**.

ამავე დროს, არჩევნების დემოკრატიულად ჩატარების პერსპექტივა ერთობ ბუნდოვანია. ის, რომ 2 ივნისის არჩევნები უდიდესი დარღვევებით ჩატარდა, ისევ და ისევ შევარდნაძის და მის მიერ შექმნილი რეჟიმის ბრალია. სამწუხაროდ, შევარდნაძის მიერ დანიშნულები სერიოზულად უგულებელყოფენ კანონებს და ორგანიზატორული ნიჭითაც ვერ გამოირჩევიან. ამავე დროს, ალბათობა იმისა, რომ 2005 წლამდე შეიცვლებიან კონკრეტული აღმასრულებლები, ძალზე მცირეა.

პოსტშევარდნაძისტული ეპოქისათვის გასათვალისწინებელია ასლან აბაშიძის ფაქტორიც, რადგან საქართველოს სამხრეთ-დასავლეთით მდებარე ავტონომიის ლიდერი რჩება შედარებით ახალგაზრდა, იანუსივით სახეცვალებად პოლიტიკოსად, რომელიც ხან ურჩი თავადის რეპუტაციით სარგებლობს და ხანაც შევარდნაძის ერთ-ერთ მხარდამჭერად მიიჩნევა (გავიხსენოთ შევარდნაძის მიერ სწორედ აბაშიძის დანიშვნა აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებაში საკუთარ წარმომადგენლად).

აბაშიძის პოლიტიკა დიდწილადაა განპირობებული თავად შევარდნაძის პოლიტიკით, როდესაც პრეზიდენტი აშკარად პროდასავლური კურსის დემონსტრირებას ახდენს, აბაშიძე მყისვე იქცევა ხოლმე მის დამბალანსებელ, პრორუსული ორიენტაციის ფიგურად. ასლან აბაშიძე - აჭარის ავტონომიის ლიდერი - კონსტიტუციური ნორმების დარღვევებით გამოირჩევა. მან საპატიმროდან არ გაათავისუფლა ასანიძე, მიუხედავად იმისა, რომ პატიმარი თვით პრეზიდენტის მიერ იყო შეწყალებული. გარდა ამისა, აბაშიძე არ დაემორჩილა ცენტრის გადაწყვეტილებას და არჩევნები საკუთარ ავტონომიაში არა 2 ივნისს, არამედ ორი კვირის თავზე დანიშნა.

**"გასდის და იმიტომ აკეთებს,"** - ამბობს საშუალო სკოლის პედაგოგი თამარ ებრალიძე, რომელიც მე-6 მე-7 კლასელებს საქართველოს ისტორიას ასწავლის. ებრალიძე აღნიშნავს, რომ ქვეყნის ისტორიაში აბაშიძის დარი ურჩები ყველა პერიოდში იყვნენ, მაგრამ ძლიერმა სახელისუფლო ცენტრმა მათი გაუვნებელყოფა მოახერხა.

**"შევარდნაძე რომ ცოტა ძლიერი იყოს, აბაშიძე ვერაფერს გაბედავდა. მრჩება შთაბეჭდილება, რომ აბაშიძის მხრიდან შევარდნაძის საწინააღმდეგო ყველა ნაბიჯი თავად პრეზიდენტის მიერაა ვიზირებული,"** - ესეც ებრალიძის სიტყვებია.

თამარ ებრალიძე ერთ-ერთია მათ შორის, ვინც ყველა ჩატარებულ არჩევნებზე მივიდა და ხმა სასურველ პარტიას თუ პოლიტიკოსს მისცა.

**"მე ვერ გეტყვით, ვის ვუცხადებდი ნდობას, მაგრამ იმას კი გეტყვით, რომ აბაშიძე ჩემი რჩეული არასოდეს ყოფილა,"** - ამბობს ებრალიძე.

თუმცა აბაშიძეს საკმაოდ ბევრი მხარდამჭერიც ჰყავს და იმათ შორის - პედაგოგებშიც. მხარდამჭერები ავტონომიის ლიდერს პოზიტივად იმას უთვლიან, რომ იგი ერთადერთი ქართველი პოლიტიკოსია, რომელმაც ბევრი რამ გააკეთა მშვიდობის შენარჩუნებისათვის.

საერთოდ, მშვიდობას და სტაბილურობას საქართველოში პრიორიტეტი აქვს მინიჭებული. ქართველებს კარგად ახსოვთ ახლო წარსული, როცა ქუჩაში ავტომატიანი ადამიანები დარბოდნენ და ქალაქებში კომენდანტის საათი იყო გამოცხადებული. შევარდნაძემ მოახერხა და მშვიდობა დაუბრუნა საკუთარ ქვეყანას, მაგრამ...

**"ეს უფრო მოჩვენებითი მშვიდობაა, არ შეიძლება სტაბილური ქვეყანა ეწოდოს საქართველოს თუნდაც იმიტომ, რომ ტერიტორიის ერთი მეოთხედი დაკარგულია, ან მაშინ, როცა ქვეყნის ერთ რეგიონში ხშირად იტაცებენ ადამიანებს,"** - ეს კი პროფესიით ექიმ სერგო სეფიაშვილის სიტყვებია.

სეფიაშვილი - ეროვნებით ებრაელი, ისევე, როგორც მისი ეროვნების ყველა ადამიანი, აღთქმულ მიწაზე - ისრაელში დაბრუნებას გეგმავს, მაგრამ ამთავითვე იზღვევს თავს:

**"არ ვიცი, შეიძლება გამიჭირდეს, მე ხომ ქართველი ებრაელი ვარ".**

სეფიაშვილი მდიდარი კაცია (მას წამლების ბიზნესი აქვს) და ამბობს, რომ გადაწყვეტილების მიღებას ისრაელში წასვლის შესახებ ისიც განაპირობებს, რომ უსაფრთხოდ თავს საკუთარ მეორე სამშობლოში ნამდვილად ვერ გრძნობს.

**"ამის მიუხედავად, თუ წავედი, შეიძლება ვერ გავძლო, მე მიყვარს ჩემი საქართველო, ჩემი თბილისი,"** - ესეც სეფიაშვილის სიტყვებია.

სეფიაშვილის მსგავსად საქართველოს ბევრი მოქალაქე აზროვნებს და ფიქრობს, მაგრამ ისინი იმასაც ამბობენ, რომ ქვეყანაში დარჩენა გაუჭირდებათ, თუ კარდინალურად არ შეიცვალა ვითარება.

წარმტაცი საქართველოს მოქალაქეებს, საკუთარი ქვეყნის მომავალი ნაცრისფერ ფერებში ესახებათ.

www.24hours.ge 24 B

# "წითელი ბარათი" ჭყონიას და გამყრელიძეს







გოგიტა ბუხაიძის ფოტოები

გუშინ სპორტის დეპარტამენტის სხდომათა დარბაზში ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის სხდომა გაიმართა. სხდომის დაწყებამდე რამდენიმე წუთით ადრე დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს კურიერმა ფეხბურთის ფედერაციაში სასამართლო დადგენილება მიიტანა.

29 მაისს სასამართლოში შევიდა თბილისის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის ავთო კოკაიას, შპს "საფეხბურთო კლუბ დინამო თბილისი"-ს და საფეხბურთო კლუბ ზესტაფონის "მეტალურგის" დირექტორის განცხადებები იმის თაობაზე, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასრულებელი კომიტეტის წევრთა რაოდენობა ვერ აღწევს წესდებით განსაზღვრულ მინიმალურ რაოდენობას. განმცხადებლები ითხოვდნენ აღმასკომის წევრებად გიორგი ჯაოშვილის, ვლადიმერ გოგიაშვილისა და ნიკოლოზ კობალავას შეყვანას. ამ განცხადებისა და დიდუბე-ჩუღურეთის სასამართლოში ფეხბურთის ფედერაციის სარეგისტრაციო მასალების მიხედვით მოსამართლე დოიჯაშვილმა ფედერაციის წესდებაში არსებითი ხარვეზები აღმოაჩინა. ერთ-ერთი ასეთი ხარვეზი, მართლაც, საოცარია. ამონაწერი განჩინებიდან, რომელსაც ხელს აწერს დოიჯაშვილი: "სფფ-ს პრეზიდენტის მერაბ ჟორდანიას მიერ 1998 წლის დეკემბერში ქ. თბილისის დიდუბის რაიონულ სასამართლოში შემოტანილი განცხადებით ირკვევა, რომ 1998 წლის 23 ოქტომბერს სფფ-ს ყრილობამ აირჩია გამგეობა-აღმასკომის ახალი შემადგენლობა, რასაც არ ადასტურებს სასამართლოში წარმოდგენილი ამონაწერი 1998 წლის 23 ოტომბერს შემდგარი ყრილობის ოქმიდან ასევე გაურკვეველია, მოხდა თუ არა ამავე ყრილობაზე სფფ-ს პრეზიდენტის არჩევნები. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას მიეცეს სამთვიანი ვადა განჩინებაში მითითებული ხარვეზების შესავსებად."

ირკვევა, რომ ფეხბურთის ფედერაციას 1998 წლის ყრილობის შედეგების დამადასტურებელი ოფიციალური დოკუმენტები არ გააჩნია.

თავად აღმასკომის სხდომა კი დაძაბულად დაიწყო. თავიდან დარბაზში ჟორდანიას ორი კონკურენტი - დავით პეტრიაშვილი და ვაჟა ჩხაიძე გამოჩნდნენ. პეტრიაშვილმა საკუთარი წინაასარჩევნო პროგრამა წარადგინა. აღსანიშნავია, რომ კანდიდატებს შეეძლოთ, საერთოდ არ მისულიყვნენ აღმასკომზე. პრეზიდენტმა ჟორდანიამ თავისი პროგრამა არც კი გამოაჩინა და ვალერი ჩოლარიას გადასცა. ასე რომ, კანდიდატთა პროგრამების განხილვა არ შედგა. "ეს ყველაფერი ფარსია და მეტი არაფერი, - განუცხადა "24 საათს" სხდომიდან გამოსულმა პეტრიაშვილმა, - მე არ ვიყავი ვალდებული, აქ მოვსულიყავი, მაგრამ ამ ადამიანების პატივისცემით მოვედი. მეგონა, პროგრამებს თუ არ განიხილავდნენ, საზოგადოებას მაინც გააცნობდნენ. პირადად მე დასამალი არაფერი მაქვს და ჩემი წინაასაარჩევნო პროგრამის პრეზენტაციაც შედგა". გაცილებით ემოციური და უკომპრომისოა "მრეტების" პრეზიდენტი ვაჟა ჩხაიძე, რომელიც საერთოდ არ ცნობს დღევანდელ ფედერაციას. "ეს არ არის ლეგიტიმური ფედერაცია. რა თქმა უნდა, პროგრამას არ წარვადგენ. მე ბრძოლის ჩემი მეთოდი მაქვს. ახლა კაცურად გაგიმხელთ "ჩემი პროგრამის ორ უმთავრეს პრიორიტეტს". "საქართველოს ფეხბურთიდან თქვენი გაცილება" (ეს - ყველა შემთხვევაში) და ქართული ფეხბურთისა და ანდრო ჟორდანიას დაბრუნება (ეს - იმ შემთხვევაში, თუ ქართველი გულშემატკივრის ნება იქნება)". დარბაზი ჩხაიძემაც დატოვა. აღმასკომის სხდომა კი სკანდალურად გაგრძელდა - ჟორდანიამ პირდაპირ კარისკენ მიუთითა "კოკაკოლას" პრეზიდენტს, ერთ-ერთ უმსხვილეს ბიზნესმენს თემურ ჭყონიას და "ახლების" ერთ-ერთ ლიდერს დავით გამყრელიძეს. ჟორდანიას გადაწყვეტილებით, აღმასკომის წევრობიდან გაირიცხნენ ლევან გაჩეჩილაძე, ნიკო ლეკიშვილი და მამუკა ხაზარაძე. მიზეზი: როგორც ირკვევა, ზემოთ ნახსენები ადამიანები ფედერაციამ "გაცდენების" გამო დასაჯა და უკვე დარბაზში შესულ წევრებს აცნობა გადაწყვეტილების შესახებ. ფედერაციის პრეს-ატაშე მამუკა კვარაცხელია გვატყობინებს, რომ აღმასკომის ყოფილი წევრები 1999 წლის 6 მაისიდან არ ესწრებოდნენ სხდომებს, თუმცა, მათ ერთი წლის განმავლობაში 2000 წლის 14 აგვისტომდე ეგზავნებოდათ მოწვევა. განსხვავებული მოსაზრება გამოთქვა თემურ ჭყონიამ, რომელიც აღშფოთებულია მომხდარით: "ქართული ფეხბურთი ბოლომდე დაიღუპება. ის, რაც დღეს მოხდა, უბრალოდ, შეურაცხმყოფელია. თუ არ ვიყავი აღმასკომის წევრი, ეს ადრეც უნდა ეცნობებინათ. რაც შეეხება მოწვევებს და ჩემს გამოუცხადებლობას, ეს აბსურდია". გამყრელიძე საკითხს იუმორით მიუდგა: "გაცდენების გამო გაგვრიცხეს. ეს რაღაც ბავშვურ თამაშს ჰგავს. თუ არ უნდათ, რომ ვიყო აღმასკომში, არც ვიქნები. ამაში ვერავითარ პრობლემას ვერ ვხედავ". ამა წლის 24 აგვისტოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნებია დანიშნული. ამ არჩევნებში არც ერთი ხმის უფლება არ ექნება ბავშვთა ფეხბურთის წარმომადგენელს. ესეც გუშინდელი სხდომის შედეგია - ფედერაციის აღმასკომმა სამი ხმა მოხსნა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ამ ხმების მფლობელები პეტრიაშვილის მხარდამჭერებად ითვლებიან.

რაც შეეხება სხდომის შემდგომ მსვლელობას, საინტერესო არაფერი მომხდარა და ბოლოს დამთავრდა ვაჟა ჩხაიძის მონოლოგით: "ეს მე კი არ უნდა დავუბრუნდე ქართულ ფეხბურთს, როგორც ამას ხშირად აღნიშნავთ, არამედ თქვენ. მე ჩვიდმეტი წელია ქართულ ფეხბურთში ვარ, სხვა არაფერი მიკეთებია. ჩაროზად, საამმუნდიალოდ, იქაურ უცნობ პოეტს შემოგთავაზებთ, თამაზ ჩხენკელისეული თარგმანით:

*"აჰა, საცაა ხე წაიქცევა!*
*ზედ კი ჩიტები კვლავ*
*უზრუნველად თხზავენ ბუდეებს".*

გაგრძელება B2 გვერდზე

# ფართოდ გახელილი თვალები...

ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე გუშინ ყველა გოგონას ოცნებას წარმოადგენდნენ...

თბილისის კლასიკური გიმნაზიის საბალეტო სტუდიაში (სხვაგვარად - მაკა მახარაძის სტუდია), ლეო დელიბის "კოპელია," პატარებისთვის სპეციალურად თამაზ ვაშაკიძემ დადგა.

თვალები ძალიან, ძალიან ფართოდ გაგიხელიათ? ის განწყობა და ფერები გახსოვთ? ყველაფერს ამ სპექტაკლში ნახავდით – კოსტიუმებიდან (ანა კალატოზიშვილი) დაწყებული – სცენოგრაფიით (ვანცა ყიფშიძე) დამთავრებული...

**მაკა მახარაძე:** დღევანდელი საღამო იმ უზარმაზარი და ურთულესი შრომის საფასურია, რაც გავწიეთ ჩვენც და ბავშვებმაც. არ მეგულება გოგონა, რომელსაც არ უნდოდეს, არ უყვარდეს და არ ოცნებობდეს ბალერინობაზე. ჩვენი ბავშვებისთვის სპეციალურად იდგმება სპექტაკლი, რაც დიდ ბალერინებსაც კი სანატრელი აქვთ. ეს მათთვის ძვირფასი საჩუქარია.

როგორც ჩანს, ამ საჩუქარმა პატარა ბალერინები გაათამამა. ერთმა გვითხრა, ეს ოპერის სცენა სულაც არ ყოფილა დიდიო... ამ ფოტოებზე ისინი ბავშვური, მაგრამ უკვე დახვეწილი მოძრაობებით ცდილობენ, აჩვენონ საზოგადოებას, თუ რა შეუძლიათ, რატომ დადიან კვირაში სამჯერ რეპეტიციებზე, რატომ ბრუნდებიან იქიდან დაღლილები და რატომ არიან ბედნიერები.

მათ ხომ ყველა დროის ყველა გოგონას ოცნება აიხდინეს...



*"მოხუცი შვილიშვილი" და მასწავლებელი ბებია*

იური ლობოდინის ფოტოები



*მხიარული "პაკლონი"*



*ასე იწყებდა ნინოც*



*სადღაც დარბაზში დედა ზის*

# "წითელი ბარათი" ჭყონიას და გამყრელიძეს

პირველი გვერდიდან

*სხდომის დამთავრების შემდეგ "24 საათი" ესაუბრა სფფ-ს პრეზიდენტს მერაბ ჟორდანიას, რომელმაც შემდეგი კომენტარი გაუკეთა მომხდარს.*

მერაბ ჟორდანია (საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი): "ფეხბურთის ფედერაციის წესდებაში არის პუნქტი, რომლის მიხედვითაც, თუ აღმასკომის რომელიმე წევრი არასაპატიო მიზეზით გააცდენს სამ სხდომას, ავტომატურად უწყდება აღმასკომის წევრის უფლებამოსილება. სწორედ ამის გამო, ის პირები, რომლებიც ორ წელზე მეტია, არ დასწრებიან სხდომებს, აღარ ითვლებიან აღმასკომის წევრებად და ამაში გასაკვირი არაფერია. მათ კი მხოლოდ იმ დღეს გაახსენდათ სფფ-ს (საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია - რედ.) აღმასკომი, როდესაც რეგისტრაციაში ფედერაციის პრეზიდენტობის კანდიდატები უნდა გაგვეტარებინა. სამწუხაროდ, გამართლდა ჩემს ხელთ წინასწარ არსებული ინფორმაცია, რომ აღმასკომის ყოფილი რამდენიმე წევრი ამ სხდომაზე მოვიდოდა და მის გადაწყვეტილებებს შეეწინააღმდეგებოდა. თუმცა, ამას ხელი არ შეუშლია აღმასკომის სხდომის ნორმალურად წარმართვისა და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღებისთვის.

"24 საათი": - ***აღმასკომის ერთ-ერთი ყოფილი წევრის დავით გამყრელიძის თქმით, იგი იმ უბრალო მიზეზის გამო ვერ ესწრებოდა აღმასკომის სხდომებს, რომ ამის თაობაზე წინასწარ არავინ ატყობინებდა.***

მ.ჟ.: - ბატონმა დავითმაც და ბატონმა ლევან გაჩეჩილაძემაც კარგა ხნის წინათ მაცნობეს, რომ პოლიტიკაში ჩართვის გამო სფფ-ს აღმასკომში მუშაობის გასაგრძელებლად დრო აღარ დარჩებოდათ და საკუთარი სურვილით იხსნიდნენ უფლებამოსილებას. არც მინდა, ხაზი გავუსვა იმ გარემოებას, დაადასტურა თუ არა ბატონმა დავითმა დღეს ეს ინფორმაცია. მან პრეტენზია გამოთქვა, რომ არ მიუღია დოკუმენტურად გაფორმებული ოფიციალური შეტყობინება მისთვის აღმასკომის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის თაობაზე. წლების განმავლობაში ამ ბატონებთან სხვა ურთიერთობები მქონდა, რაც მათაც და ბევრ ჩვენს საერთო მეგობარსაც კარგად მოეხსენებათ. აქედან გამომდინარე, მეგონა, რომ ჩემი მეგობრობა ლევან გაჩეჩილაძესთან და დავით გამყრელიძესთან დოკუმენტების ენაზე გაფორმებულ ოფიციალურ ურთიერთობებზე მაღლა იდგა. ასე არ აღმოჩნდა და ჩემი უნებლიე შეცდომის გამო დღეს ბატონ დავითს ბოდიში მოვუხადე. რადგან სურთ, სულ მალე მიიღებენ აღმასკომის წევრობის უფლებამოსილების შეწყვეტის დოკუმენტურად გაფორმებულ ოფიციალურ საბუთს.

"24 საათი": - ***აღმასკომის წევრები სასამართლოს წესით აპირებენ ამ გადაწყვეტილების გასაჩივრებას.***

მ.ჟ.: - ეს მათი ნებაა და, როგორც ჩანს, სამწუხაროდ, სადავო საფეხბურთო საკითხებთან დაკავშირებით მწირი ინფორმაცია ჰქონიათ. არა მარტო მათთვის, არამედ ყველას გასაგონად მინდა განვაცხადო, რომ ნებისმიერი ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის და მისი აღმასკომის გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრების უფლება აღარავის აქვს. ფეხბურთის ფედერაციის საქმიანობაში ჩარევა მხოლოდ ფიფა-ს და უეფა-ს შეუძლიათ. ეს წესი, ეტყობა, არა მხოლოდ გარეშე პირებს, სფფ-ს სუბიექტებსაც დაავიწყდათ. საფეხბურთო კლუბებმა - თბილისის "დინამომ" და ზესტაფონის "მეტალურგმა" - თბილისის ფეხბურთის ფედერაციასთან ერთად, სფფ-ს წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელი შეიტანა. ის, რომ დღეს აღმასკომის სხდომაზე განვითარებული მოვლენები რამდენიმე გარეშე პირის მიერ კარგად დადგმული სპექტაკლი იყო, იქიდანაც გამოჩნდა, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება სწორედ აღმასკომის სხდომის მიმდინარეობის დროს მოგვიტანეს. სარჩელი სფფ-ს წესდებაში რამდენიმე უმნიშვნელო საკითხში შესწორების შეტანას ისახავდა მიზნად, რაც სასამართლოს დაუკმაყოფილებია. მინდა, წინასწარ ვაცნობო სასამართლოში ჩვენს წინააღმდეგ სარჩელის შემტან სუბიექტებს, რომ, ფიფა-ს და უეფა-ს წესდებათა შესაბამისად, მათ მიმართ სფფ უმკაცრეს სანქციებს გაატარებს.

"24 საათი": - ***თქვენივე ადრეული განცხადებებით, ცნობილი ბიზნესმენების სფფ-ს აღმასკომში შეყვანით ქართულ ფეხბურთში ინვესტიციების მოზიდვას ისახავდით მიზნად. რამდენად გამართლდა თქვენი იმედები?***

მ.ჟ.: - სამწუხაროდ, ჩემი იმედები არ გამართლდა და დღეს ვფიქრობ, რომ გარკვეულ პირთა ჯგუფს ქართულ ფეხბურთთან მიმართებაში მხოლოდ პოლიტიკური ინტერესები ამოძრავებს. სანამ ფეხბურთის ფედერაციას ვუხელმძღვანელებ, არ დავუშვებ, რომ ვინმემ, ვინც უნდა იყოს იგი, ფეხბურთი საკუთარი პოლიტიკური ამბიციების დასაკმაყოფილებლად გამოიყენოს.

ინვესტიციების მოზიდვის თვალსაზრისით მარტო ამ პირთა ჯგუფზე არასოდეს ვყოფილვართ დამოკიდებულნი. სხვა საქმეებზე რომ არაფერი ვთქვა, ის, რომ ეროვნული ნაკრები გუნდისთვის საერთაშორისო სტანდარტების საწვრთნელი ბაზის მშენებლობა მიმდინარეობს, ის, რომ სფფ-ს თავისი საკუთარი სახლი ექნება, მხოლოდ ფიფას და უეფას ფინანსური დახმარებით არ კეთდება. საქართველოშიც და უცხოეთშიც სერიოზული პარტნიორები გვყავს, რომლებიც ჩვენთან თანამშრომლობენ და მომავალშიც ითანამშრომლებენ.



ფედერაციის სხდომა

გოგიტა ბუხაიძის ფოტო

# გერმანიის ვოიაჟი გრძელდება

დერეკ ფოლი
იაპონია კორეიდან
სპეციალურად
"24 საათისათვის"

არავინ ამბობს, რომ გერმანიის ვოიაჟი ჩემპიონატის ნახევარფინალისკენ სასიამოვნო მგზავრობა იყო. თუმცა, არც ის იქნება მართალი, ვამტკიცოთ, რომ გერმანელებს ბევრი უსიამოვნება შეხვდათ. საუდის არაბეთი, ირლანდია, კამერუნი, პარაგვაი და აშშ – ეს გუნდები ხომ ძალიან ჩვეულებრივი ოპონენტები არიან, ამ გუნდებთან დაპირისპირებას ხომ სერიოზულად არავინ აღიქვამდა.

ანუ, ასეთი ფორმულირება შეიძლება გაკეთდეს: რუდი ფიოლერის გუნდმა ნახევარფინალისკენ "პირველი კლასით იმგზავრა" – სრული კომფორტი და არავითარი შტორმი.

შემდგომ ეტაპზე გასული კი დღეს გამოვლინდება. როგორიც უნდა იყოს შედეგი, მაინც მგონია, რომ დარჩენილ გუნდებს შორის ფავორიტი გერმანიაა.

დღეს მათთვის ჩემპიონატების ისტორიაში მეათე ნახევარფინალია. როგორც ხედავთ, გერმანული ისტორია საკმაოდ სოლიდურია და საამაყო ფაქტებით არის სავსე. თუმცა, არც ისე საამაყოდ გამოიყურება 2002 წლის საკვალიფიკაციო მატჩების შედეგები. გერმანიამ შინ ინგლისის წინააღმდეგ თამაში ხომ ანგარიშით 5:1 წააგო. იმ ინგლისთან, რომელმაც ჩემპიონატზე საერთოდ ვერ ითამაშა.

წლეულს, საკვალიფიკაციო დონეზე, გერმანელთა ანგარიშზე მეორე სირცხვილიც დაფიქსირდა – მათ ფინეთთან მატჩი ფრედ 0:0 დაასრულეს და ძლივს ითამაშეს უკრაინაშიც.

გერმანელები პრობლემებით დატვირთულნი ჩავიდნენ ჩემპიონატზეც. დაემტვრათ საუკეთესო მცველი იენს ნოვოტნი, ყველაზე შემოქმედი ნახევარმცველი სებასტიან დაისლერი და საუკეთესო თავდამსხმელი მეჰმეტ შოლი.

ფიოლერს თავიდან დამრტყმელ ძალად კარსტენ იანკერის აყვანა სურდა, თუმცა, იანკერმა ვერ ივარგა.

საბოლოოდ ფიოლერმა არჩევანი მიროსლავ კლოზეზე შეაჩერა და, როგორც ამბობენ, არჩევანმა გაამართლა – კლოზე ჩემპიონატზე ერთ-ერთი ბომბარდირთაგანია. რეიტინგებში ის ლიდერობს პოპულარობის მხრივაც. არადა, წინა ჩემპიონატის დროს კლოზე სულ 19 წლისა იყო და მოყვარულთა გუნდ "ბლაუბახში" თამაშობდა. არა, რა თქმა უნდა, კლოზე კარგი ფეხბურთელი იყო, მაგრამ მისი ტრანსფერი კლუბ "ჰომბერგში" მაინც ისე უნდა აღვიქვათ, როგორც, ვთქვათ, მეშვიდე დივიზიონში დაწინაურება. ამასობაში "კაიზერსლაუტერნში" აღშფოთდნენ, რომ რომელიღაც კლუბში თამაშობდა ტანით დიდი ნახევარმცველი (დიახ, მაშინ კლოზე ნახევარმცველი იყო) და მისი შეძენის სურვილი გამოთქვეს. თუმცა, კლოზემ "კაიზერსლაუტერნში" თავისი ნიჭიერებით ვერავინ მოხიბლა და პირველი 18 თვის განმავლობაში სათადარიგოთა გუნდში ვარჯიშობდა. მხოლოდ 2000 წლის აპრილში შესთავაზეს მას პროფესიონალური კონტრაქტი, ხოლო მთავარ გუნდში 2000-2001 წლების სეზონში ჩასვეს. პირველად ანდრეას ბრემემ შენიშნა, რომ კლოზე თავდამსხმელის პოზიციაზე უფრო ეფექტიანი იქნებოდა და ისიც მოედანზე წინ წასწია. შედეგმა ბრემეს ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა – კლოზემ ყველა კუთხიდან დაიწყო გოლების გატანა. ხუთ თვეში ის გერმანიის ნაკრებშიც მიიწვიეს – ანუ პროფესიონალური კონტრაქტის გაფორმებიდან მხოლოდ ათი თვის თავზე.

სანამ ეს მოხდებოდა, კლოზემ პოლონეთში თამაშის წინადადება უარყო. არადა, კლოზე წარმოშობით პოლონელია და საკმაოდ სპორტულ ოჯახშიც დაიბადა – დედა ხელბურთელი იყო, მამა კი პროფესიონალი ფეხბურთელი. ოჯახი გერმანიაში მაშინ გადასახლდა, როცა პატარა კლოზე 9 წლისა იყო...

ასე იქცა კლოზე გმირად. მისი ყველა გოლი ჩემპიონატზე თავური დარტყმით არის შესრულებული. მათგან სამი - საწყალი არაბების კარში გავიდა. ამ წარმატებების შემდეგ "კაიზერსლაუტერნის" გუნდმა კლოზეზე ახალი ფასი დააწესა – 35 მილიონი გირვანქა სტერლინგი. თუმცა, ისმის კითხვა, მოინდომებს თუ არა ვინმე ამხელა თანხის გადახდას ფეხბურთელში, რომელსაც გოლები, ძირითადად, თავით გააქვს. ანუ, ფაქტია, რომ კლოზეს სარფიან გაყიდვაში ერთი-ორი ფეხით გატანილი გოლიც დაეხმარება.

ახლა კი კლოზედან ზოგადად გერმანიის ნაკრებზე გადავიდეთ. უნდა აღინიშნოს, რომ გერმანიას მთელ ჩემპიონატზე საუკეთესო დაცვა ჰყავს და, რაც მთავარია, საუკეთესო მეკარე. ოლივერ კანი შეუდარებელია. მან წინა თამაშებში არაჩვეულებრივი დარტყმები აიღო და ნამდვილად მსოფლიო კლასი აჩვენა. ამის დასტურია ისიც, რომ გერმანიის კარში ჩემპიონატზე მხოლოდ ერთი გოლი გავიდა (ეს იღბლიანი ირლანდიელი რობი კინი აღმოჩნდა).

მოკლედ, წარმოიდგინეთ, რა ცუდ დღეშია სამხრეთ კორეა. თანაც, ამ ნაკრებმა ნახევარფინალში გასვლით იმდენი ემოცია დახარჯა, რომ ეს მათ თამაშზე ნამდვილად იმოქმედებს.

თუმცა, როგორც სპეციალისტები ამტკიცებენ, გერმანიის ნაკრები კარგად ნამდვილად არ გამოიყურება. ამის დასტურად ღირს ბეკენბაუერის შესანიშნავი ფრაზის გამეორება: **"ოლივერ კანის გარდა, გერმანია საშინელება იყო. ათივე ფეხბურთელი ტომარაში რომ ჩაგეგდოთ და შემდეგ ტომარისთვის მუშტები დაგეშინათ, სულ ერთია, ვის მოხვდებოდა მუშტი – მაინც თითოეული მათგანი საცემი იქნებოდა! გერმანელები თანაბრად ცუდად თამაშობდნენ".**

მართლა საშინლად თამაშობენ თუ არა, ფაქტია, რომ გერმანელები, ტრადიციულად, დიდები, ათლეტურები, გაწვრთნილები და შეუხედავები არიან, პლუს თავდაჯერებულებიც – მომდევნო, დასკვნით ეტაპზე გერმანელებს სწორედ ეს თვისებები გაიყვანს.

ჩემი პროგნოზით, მატჩი ანგარიშით 1:0 დამთავრდება და ამ გოლის ავტორიც, სავარაუდოდ, კლოზე იქნება, თავისი თავური დარტყმით. ისე, გოლის გატანა ხანდახან ბალაკსაც ეხერხება ხოლმე. ასე რომ, ვფიქრობ, გერმანიის ვოიაჟი, ახლა უკვე ფინალისკენ, გრძელდება.



გერმანელი ფეხბურთელები

REUTERS

## დაიჯესტი

### დაჩრდილავს მანსიზი ჰაკანს?

სენეგალთან შეხვედრამდე თურქი გულშემატკივრების უპირობო ფავორიტი იყო "პარმას" ფორვარდი ჰაკან შუქური, რომელიც ძალიან უყვარდათ და მის გოლეადორულ თვისებებში ეჭვი არ ეპარებოდათ. ნახევარფინალამდე არავინ ახსენებდა "ბეშიქთაშის" 26 წლის თავდამსხმელს მანსიზ ილჰანს და არავის ეგონა, თუ ეს გრძელთმიანი ახალგაზრდა ფორვარდი თურქეთს ნახევარფინალში გაიყვანდა.

არადა, სწორედ ასე მოხდა. შუქურმა სენეგალთან მატჩში ვერაფრით გამოიჩინა თავი, მოედანზე ახლად შესულმა ილჰანმა კი, რომელსაც, სხვათა შორის, გიუნეში მხოლოდ მატჩის მიწურულს თუ გაიხსენებდა ხოლმე, ჰასან შაშის ბრწყინვალე პასი "ოქროს გოლით" დაასრულა. ახლა გიუნეშის წინაშე მთელი სიმძაფრით დგას კითხვა: დატოვოს შუქური ძირითად შემადგენლობაში თუ ბრაზილიასთან ილჰანი დააყენოს სასტარტოში. ვნახოთ, დაჯაბნის მანსიზი ჰაკანს?

### რამელოვი განაწყენებულია

გერმანიის ნაკრების წევრი კარსტენ რამელოვი, რომელსაც მუნდიალზე იენს ნოვოტნის შემცველად თვლიდნენ, მერვედფინალში, დისკვალიფიკაციის გამო, ტრიბუნაზე აღმოჩნდა. მის ნაცვლად ითამაშა 22 წლის სებასტიან კელმა, თანაც, ისე კარგად, რომ ფიოლერმა "ბორუსიას" ახალგაზრდა მცველი მეოთხედფინალშიც ძირითად შემადგენლობაში დააყენა, რამელოვი კი ამჯერად უკვე სათადარიგოთა სკამზე იჯდა.

ამან "ბაიერის" ლიდერი გაანაწყენა და თქვა, რომ თუ ფიოლერი არც ნახევარფინალში ათამაშებს, მაშინ ის სერიოზულად დაფიქრდება, ღირს თუ არა ნაკრებში დარჩენა.

### სკოლარი ლუსიოს ენდობა

ბრაზილიის ნაკრებისთვის კარგი მცველი, მართლაც, რომ დიდი პრობლემაა. ამ ნაკრებში ყველა შეტევაზე ფიქრობს და დაცვა არავის აინტერესებს. ბრაზილიელთა გუნდში აქამდე საუკეთესო მცველი გერმანული "ბაიერის" ლეგიონერი ლუსიო იყო, მაგრამ ინგლისთან მატჩში მას მოუვიდა ყოვლად უპატიებელი შეცდომა, რაც ბრაზილიას ოუენის გოლად დაუჯდა.

ამის მიუხედვად, ბრაზილიელთა თავკაცი ლუიშ ფელიპე სკოლარი ლუსიოს მაინც ბოლომდე ენდობა და ამბობს, რომ მის პროფესიონალიზმში ეჭვი არ ეპარება. ვნახოთ, რამდენად გაუძლებს ლუსიოს პროფესიონალიზმი ოთხშაბათს თურქულ გამოცდას.

### ლუის ენრიკე ნაკრებს ტოვებს

ფერნანდო იეროს შემდეგ, რომელმაც უკვე განაცხადა, რომ ნაკრებიდან წასვლას აპირებდა, ესპანეთის ეროვნულ გუნდს "ბარსელონას" ნახევარმცველი ლუის ენრიკეც ტოვებს.

ლუის ენრიკე ამბობს, რომ მას ნაკრებიდან წასვლა ჯერ კიდევ მუნდიალის დაწყებამდე უნდოდა. მისი გადაწყვეტილების შესახებ იცოდნენ ხოსე ანტონიო კამაჩომ და ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ანხელ მარია ვილიარმა. "მე მინდა, რომ ახალგაზრდებს მივცე თამაშის შანსი", - დიდსულოვნად აღნიშნა 32 წლის ლუის ენრიკემ.

### ბალაკი ბრაზილიაზე ოცნებობს

გერმანიის ნაკრებს ერთი ნაბიჯიღა აშორებს ფინალამდე. მას ნახევარფინალში ჯერ კორეა ჰყავს დასამარცხებელი, ფეხბურთელები კი უკვე ფინალზე ოცნებობენ.

გუნდის ლიდერი მიხაელ ბალაკი აცხადებს, რომ დიდი სიამოვნებით ითამაშებდა ფინალში ბრაზილიის წინააღმდეგ. "სეულში კორეასთან თამაში ძალიან ძნელი იქნება, მაგრამ ჩვენ მაინც უნდა შევძლოთ გამარჯვება. იმედი მაქვს, გერმანიის ნაკრები პირველი ფინალისტი გახდება. პირდაპირ ვოცნებობ ბრაზილიასთან თამაშზე. იმედია, ფინალში სწორედ გერმანია და ბრაზილია გავლენ", - განაცხადა ბალაკმა.

### გერმანელები მსაჯს უჩივიან

გერმანია-ამერიკის მეოთხედფინალი შოტლანდიელმა არბიტრმა ჰიუ დალასმა იმსაჯა და თითქოს ცუდი შთაბეჭდილება არ დაუტოვებია, თუ არ ჩავთვლით ფრინგისთან დაკავშირებულ საეჭვო ეპიზოდს. თუმცა, როგორც აღმოჩნდა, დალასის მსაჯობით გერმანელები მაინცდამაინც კმაყოფილნი არ არიან და მიაჩნიათ, რომ შოტლანდიელმა არბიტრმა ოლივერ ნოივილს უსამართლოდ უჩვენა ყვითელი ბარათი, რადგან თამაშის წესს ნოივილი კი არა, იერემისი არღვევდა. ნოივილს ნახევარფინალში დისკვალიფიკაცია არ ემუქრება, მაგრამ ფიოლერი უფრო შორს იხედება და ფინალზე ფიქრობს. სწორედ ამიტომ არ სურს, რომ მისმა თავდამსხმელმა კორეელთა წინააღმდეგ ყვითელი ბარათით ითამაშოს. ფიფა ხვალ მიიღებს გადაწყვეტილებას.

# მასობრივი ფსიქოზი პრაგმატიზმის წინააღმდეგ



REUTERS




სავარაუდო შემადგენლობები:
**გერმანია:** *კანი, ფრინგსი, ლინკე, რამელოვი, მეტცელდერი, შნაიდერი, ჰამანი, ბალაკი, ბოდე, ნოივილი, კლოზე*
**სამხრეთ კორეა:** *ლი, კიმი, ჰონგი, ჩოი, ნილ კიმი, იო, სონგი, სეული, პარკი, ანი*

კორეელებმა უკვე იმდენი სენსაცია მოახდინეს, რომ მათი ფინალში გასვლა სიურპრიზად აღარ ჩაითვლება. გუს ჰიდინკის რობოტებმა ერთიმეორის მიყოლებით დაამარცხეს პოლონეთი, პორტუგალია, იტალია, ესპანეთი და ნახევარფინალში გერმანელთა პირისპირ აღმოჩნდნენ. აი, აქ კი უკვე ყველაფერია შესაძლებელი. გერმანელები მსოფლიოს სამგზის ჩემპიონები კი არიან, მაგრამ ბუნდესნაკრებმა მუნდიალზე უკანასკნელ წარმატებას ათი წლის წინათ მიაღწია. მას შემდეგ გერმანელებს მსოფლიო აღარაფრით გაუოცებიათ, თუ არ ჩავთვლით მეოთხედფინალების ქრონიკულ წაგებას. მუნდიალზე ფიოლერის გუნდი სულაც პლეი-ოფიდან მოხვდა და, ბუნებრივია, ფავორიტთა შორის არ ასახელებდნენ. გერმანელებმა ყველა ბარიერი გადალახეს და, თუ კორეულ წინაღობასაც დაძლევენ, აღარც მეოთხე ტიტულისგან იქნებიან შორს.

კორეელთა მთავარი კოზირი სისწრაფე და კარგი ფიზიკური მომზადება იყო. სწორედ ამ თვისებების წყალობით და, რა თქმა უნდა, ასევე არაობიექტურ არბიტრთა დახმარებით, შეძლო კორეამ ნახევარფინალში გასვლა. გერმანელებთან მატჩში საქმე სხვაგვარად იქნება. კორეელებმა უკვე ორჯერ ითამაშეს ასოცწუთიანი მატჩი, რამაც ისინი გამოფიტა. ჯერ კიდევ ესპანეთთან შეხვედრაში ჩანდა, რომ გუს ჰიდინკის რობოტები ჩვეული სისწრაფით ველარ დარბოდნენ. ანის შეტევებს სიმწვავე აკლდა, პარკი და სეული ღირებულს ველარაფერს ქმნიდნენ, დანარჩენებსაც ან ტრავმა ჰქონდათ, ან, უბრალოდ, გადაღლილები იყვნენ. და თუ იმ მატჩში მაინც კორეამ გაიმარჯვა, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ეგვიპტელი არბიტრი და მისი უგანდელი და ტრინიდადი - ტობაგოელი თანაშემწეები ტყემალზე ისხდნენ და, მოედანზე რა ხდებოდა, აზრზე არ იყვნენ. მსაჯებმა ესპანელებს ორი გოლი არ ჩაუთვალეს და კორეას ნახევარფინალში გასვლაში დაეხმარნენ. ეს უკვე მთელმა მსოფლიომ იცის. კორეელებს გერმანიასთან მსაჯის დახმარების იმედი უკვე აღარ უნდა ჰქონდეთ, რადგან ფიფა, როგორც იქნა, მიხვდა, რომ ეკვადორელი და ეგვიპტელი არბიტრები ასეთი საპასუხისმგებლო მატჩების წინამძღოლებად არ გამოდგებოდნენ და ნახევარფინალებში ევროპელ მსაჯთა ბრიგადა დანიშნა. ნაკლებად მოსალოდნელია, რომ შვეიცარიელი ურს მაიერი ეკვადორელი ბირონ მორენოსავით დაბრმავდეს და მხოლოდ კორეელთა სასარგებლოდ მიიღოს გადაწყვეტილებები.

რაღა რჩება კორეელთა უპირატესობებიდან? რა თქმა უნდა, საკუთარი კედლების ფაქტორი. სამშაბათს სეულის სტადიონზე უამრავი კორეელი ფანი მივა და 90 წუთის განმავლობაში მხოლოდ ერთ სიტყვას იყვირებს: “ოჰ პილეშუნგ!”, რაც კორეულად გამარჯვებას ნიშნავს. სტადიონს მასობრივი ფსიქოზი მოიცავს, კორეელი ფეხბურთელები და გულშემატკივრები ყველაფერს გააკეთებენ ფინალში გასასვლელად, გერმანელებისთვის ეს 90 (ან იქნებ 120) წუთი ჯოჯოხეთად იქცევა. გაუძლებენ კი გერმანელი ფეხბურთელები ასეთ დაწოლას? ისინი ხომ აზიური ფანატიზმის წინააღმდეგ თამაშობენ...

მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მეკარე ოლივერ კანი ფიქრობს, რომ მისი ნაკრები ამ გამოცდას ჩააბარებს. “იტალიელებმა და ესპანელებმა იმიტომ ვერ მოიგეს, რომ ისინი მსაჯის შეცდომებზე უფრო მეტს ფიქრობდნენ, ვიდრე გოლის გატანაზე. ჩვენს შემთხვევაში ასეთი რამ არ მოხდება. თუ პირველ გოლს არ ჩაგვითვლიან, მაშინ ათი წუთის შემდეგ მეორეს გავიტანთ, თუ ამასაც არ ჩათვლიან, მესამეჯერ ავიღებთ მეტოქის კარს და მანამდე არ გავჩერდებით, ვიდრე არ გავიმარჯვებთ”, -ამბობს გერმანელთა შეუპოვარი კაპიტანი, რომელმაც ერთხელ უკვე მოიგო მეოთხედფინალი. ამერიკელების წინააღმდეგ კანი, მართლაც, შეუდარებელი იყო. გერმანელებს იმედი აქვთ, რომ მათი საუცხოო გოლკიპერი ახლაც შეძლებს სასწაულის მოხდენას. ეყოფა კი გერმანიის ნაკრებს მხოლოდ ოლივერ კანის თავდადება?

გერმანიის ნაკრები ნახევარფინალში მეათედ თამაშობს, კორეა კი - პირველად. ეს გუნდები ერთმანეთს ადრეც შეხვედრიან. ოლივერ კანს ახლაც კარგად ახსოვს 1994 წლის ამერიკის ჩემპიონატი, როცა დალასში მზის ქვეშ 55 გრადუსი იყო. მაშინ ჯერ კიდევ მსოფლიო ჩემპიონმა გერმანელებმა პირველი ტაიმი 3:0 მოიგეს, მაგრამ მეორე ტაიმში კორეელები გამოცოცხლდნენ და კინაღამ სენსაცია მოახდინეს. საბოლოოდ მატჩი 3:2 დასრულდა. კანს იმ შეხვედრის გახსენებაც კი არ უნდა. “მაშინ მე მესამე მეკარე ვიყავი და ჩემპიონატის პირველ მატჩზე, ალბათ, არავინ მათამაშებდა, მაგრამ კიდეც რომ შემოეთავაზებინა მწვრთნელს ჩემთვის მოედანზე გასვლა, ნამდვილად არ მივიღებდი ამ წინადადებას, ისე ჯოჯოხეთურად ცხელოდა იმ დღეს”, - ამბობს კანი, რომლისთვისაც ეს პირველი შემთხვევა იყო, როცა მან თამაშზე უარი განაცხადა. სეულში, ალბათ, ასეთი სიცხე არ იქნება, მაგრამ რომ ცხელოდეს კიდეც, კანი თამაშზე უარს ნამდვილად აღარ იტყვის - ამ მატჩში ხომ ფინალისტის ვინაობა ირკვევა.

კანის გარდა, გერმანიის ნაკრებს კიდევ რამდენიმე ძალიან კარგი ფეხბურთელი ჰყავს. მიროსლავ კლოზე და მიხაელ ბალაკი სწორედ ის მოთამაშეები არიან, ვისგანაც გერმანელი გულშემატკივრები გოლების გატანას ელიან. არ უნდა დავივიწყოთ ასევე ოლივერ ნოივილი და კარსტენ იანკერი, რომელთაც არანაკლებ სურთ, კორეულ პუბლიკას თავი დაამახსოვრონ.

გერმანიის ნაკრები ნემეზიდას როლშია. გერმანელებმა ევროპული ფეხბურთის პრესტიჟი უნდა დაიცვან და პოლონეთის, პორტუგალიის, იტალიისა და ესპანეთის გამწარებისთვის კორეელებზე შური იძიონ. კორეელებს დასაკარგი არაფერი აქვთ, მათ ისედაც ძალიან ბევრს მიაღწიეს. ისინი ბოლომდე იბრძოლებენ, ევროპელებს არაფერს დაუთმობენ და საფინალო სასტვენამდე ყოველ წუთს შეეცდებიან გოლის გატანას. ეს გერმანელებისთვის დღესავით ნათელია. საკითხავი მხოლოდ ის არის, სადამდე ეყოფა ჰიდინკის გუნდს დენთი. დასვენებისთვის გერმანელებს ერთი დღით მეტი ჰქონდათ. მათ არც დამატებითი დრო უთამაშიათ და არც გადაღლილები არიან. ფიოლერის გუნდს ფინალში გასვლის კარგი შანსი აქვს, ფინალში, სადაც, მიხაელ ბალაკის სიტყვებით რომ ვთქვათ, სულაც არ არის გამორიცხული, მსოფლიოს კიდევ ერთი ტეტრაკამპეონე მოევლინოს.

# ვინ გახდება მსოფლიო ჩემპიონი კორეა-იაპონიაში?

2002
FIFA WORLD CUP
KOREA JAPAN

ვინ გახდება მსოფლიოს ჩემპიონი კორეა-იაპონიაში? ვინ გაიმარჯვებს ნახევარფინალში: გერმანია თუ კორეა? როგორი ანგარიშით დასრულდება ნახევარფინალის ძირითადი დრო?

## პასუხობენ თბილისელი გულშემატკივრები

სოციოლოგიურმა სამსახურმა "დიამ" 23-24 ივნისს სპეციალურად გაზეთ "24 საათისათვის" ჩაატარა თბილსელი გულშემატკივრების სატელეფონო გამოკითხვა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 560-მა რესპოდენტმა

### ვინ გაიმარჯვებს ნახევარფინალურ მატჩში გერმანია-კორეა?

**გერმანია-76%**
**კორეა-24%**

### როგორ დასრულდება გერმანია-კორეის ძირითადი დრო?

| გამოკითხულთა 38 პროცენტი | |
|---|---|
| გერმანია 2 | კორეა 1 |

| გამოკითხულთა 11 პროცენტი | |
|---|---|
| გერმანია 1 | კორეა 0 |

| გამოკითხულთა 11 პროცენტი | |
|---|---|
| გერმანია 2 | კორეა 0 |

| გამოკითხულთა 2 პროცენტი | |
|---|---|
| გერმანია 3 | კორეა 1 |

| გამოკითხულთა 14 პროცენტი | |
|---|---|
| კორეა 2 | გერმანია 1 |

| გამოკითხულთა 7 პროცენტი | |
|---|---|
| კორეა 1 | გერმანია 0 |

| გამოკითხულთა 1 პროცენტი | |
|---|---|
| კორეა 3 | გერმანია 2 |

| გამოკითხულთა 10 პროცენტი | |
|---|---|
| კორეა 0 | გერმანია 0 |

| გამოკითხულთა 6 პროცენტი | |
|---|---|
| კორეა 1 | გერმანია 1 |

### ვინ გახდება ჩემპიონი?

| | |
|---|---|
| ბრაზილია | 55 % |
| გერმანია | 27 % |
| კორეა | 12 % |
| თურქეთი | 6 % |

# ტოტალიზატორი "კოკა"

## ცოცხალი

| გერმანია - კორეა | | | | 16:30 |
|---|---|---|---|---|
| კოდი | ნომინაცია | 1 | X | 2 |
| 480 | ვინ დაიწყებს თამაშს | 1.90 | | 1.90 |
| 481 | 1 აუტი | 1.90 | | 1.90 |
| 482 | 1 კუთხური | 1.70 | | 1.80 |
| 483 | 1 შეცვლა | 1.80 | | 1.80 |
| 484 | 1 გოლი | 1.55 | | 1.95 |
| 485 | 1 გაფრთხილება | 1.75 | | 1.75 |
| 486 | კუთხურების რაოდენობა | 10და ნაკლ.- 1.90 | ზუსტად 11- 3.50 | 12და მეტი- 1.90 |
| 487 | ბარათების რაოდენობა | 4და ნაკლ.- 1.80 | ზუსტად 5- 3.00 | 6და მეტი- 2.00 |
| 488 | რომელ წუთზე გავა 1 გოლი | (1-30)- 1.85 | | (31-90)- 1.65 |
| 489 | გოლების რაოდენობა * | (0-1) 2.80 | (2-3) 1.80 | (4-6) 3.00 |
| 490 | ვინ გაიტანს * | ორივე 1.65 | | ერთ-ერთი 1.85 |
| 491 | კლოზე * | გაიტანს 2.20 | | ვერ გაიტანს 1.40 |

| ბრაზილია - თურქეთი | | | | 16:30 |
|---|---|---|---|---|
| კოდი | ნომინაცია | 1 | X | 2 |
| 500 | ვინ დაიწყებს თამაშს | 1.90 | | 1.90 |
| 501 | 1 აუტი | 1.90 | | 1.90 |
| 502 | 1 კუთხური | 1.60 | | 1.90 |
| 503 | 1 შეცვლა | 1.80 | | 1.80 |
| 504 | 1 გოლი | 1.40 | | 2.20 |
| 505 | 1 გაფრთხილება | 1.90 | | 1.60 |
| 506 | კუთხურების რაოდენობა | 10და ნაკლ.- 1.90 | ზუსტად 11- 3.50 | 12და მეტი- 1.90 |
| 507 | ბარათების რაოდენობა | 4და ნაკლ.- 1.80 | ზუსტად 5- 3.00 | 6და მეტი- 2.00 |
| 508 | რომელ წუთზე გავა 1 გოლი | (1-30)- 1.80 | | (31-90)- 1.70 |
| 509 | გოლების რაოდენობა * | (0-1) 2.90 | (2-3) 1.80 | (4-6) 2.90 |
| 510 | ვინ გაიტანს * | ორივე 1.70 | | ერთ-ერთი 1.80 |
| 511 | რონალდო * | გაიტანს 2.20 | | ვერ გაიტანს 1.40 |
| 512 | რივალდო * | გაიტანს 2.20 | | ვერ გაიტანს 1.40 |

| ჯგუფური ცოცხალი | | | | 16:30 |
|---|---|---|---|---|
| კოდი | ნომინაცია | 1 | X | 2 |
| 515 | კუთხურები 2 თამაშში | 20და ნაკლ.- 1.90 | ზუსტად 0- 0.00 | 22და მეტი- 1.90 |
| 516 | ბარათები 2 თამაშში | 9და ნაკლ.- 1.90 | ზუსტად 0- 0.00 | 11და მეტი- 1.90 |
| 517 | გოლები 2 თამაშში | 4და ნაკლ.- 1.70 | ზუსტად 0- 0.00 | 5და მეტი- 1.80 |

## მსოფლიოს ჩემპიონატი

| კოდი | თარიღი | დრო | წყვილი | 1 | X | 2 | 1X | X2 | 12 | 2.5> | ბურთ | 2.5< |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 009 | 25-06-2002 | 16:30 | გერმანია-კორეა | 2.10 | 2.90 | 3.50 | 1.22 | 1.59 | 1.31 | 1.80 | 2.5 | 1.70 |
| 011 | 26-06-2002 | 16:30 | ბრაზილია-თურქეთი | 1.50 | 3.30 | 6.50 | 1.03 | 2.19 | 1.22 | 1.80 | 2.5 | 1.70 |

## გასვლა

| კოდი | თარიღი | დრო | წყვილი | 1 | 2 |
|---|---|---|---|---|---|
| 108 | 25-06-2002 | 16:30 | გერმანია-კორეა | 1.55 | 2.20 |
| 110 | 26-06-2002 | 16:30 | ბრაზილია-თურქეთი | 1.20 | 4.00 |

# მოგზაურნი

პაატა თოთაძე


გუს ჰიდინკი
REUTERS

იმ მრავალი სენსაციიდან, რომელიც წლევანდელ მუნდიალზე ხდება, ყველაზე ხმაურიანი, ალბათ, მაინც ის არის, რომ საფრანგეთის ნაკრებმა ჯგუფური ეტაპი ვერ დაძლია. მართალია, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონები კარგა ხნის წინათ გამოეთიშნენ ასპარეზობას, მაგრამ ამ ქვეყნის რამდენიმე წარმომადგენელი დიდხანს შემორჩა მუნდიალს. ყველაზე დიდხანს ტურნირზე დარჩა ჟილ ვესიე, რომელიც ხვალ გერმანია-სამხრეთ კორეის მატჩში მეოთხე მსაჯის მოვალეობას შეასრულებს. გასულ კვირას კი კორეა-იაპონიაში, მსაჯების გარდა, კიდევ ორი ფრანგი იყო შემორჩენილი - ორივე უცხოეთში მომუშავე მწვრთნელი: ფილიპ ტრუსიე და ბრუნო მეტსიუ.

ახლა თვალი გადავავლოთ, თუ როგორ შეიცვალა საფეხბურთო სამყაროში მოთხოვნილება მაღალკვალიფიციურ მწვრთნელებზე. გასული საუკუნის დასაწყისში ამინდს ქმნიდნენ ინგლისელი სპეციალისტები, რომლებიც, როგორც ეგონათ, ყველა უცოდინარს ერთი ხელის მოსმით ასწავლიდნენ თამაშს. კონტინენტურმა ევროპამ მალე შეითვისა ფეხბურთი და ის "ნომერ პირველ სპორტად" აქცია. ომამდე და ომის შემდგომ, მცირე ხნით, პოპულარობით სარგებლობდნენ აღმოსავლეთევროპელი სპეციალისტები, უპირატესად ჩეხები და უნგრელები, რომელთა ნაკრებებიც იმდროინდელ საფეხბურთო სამყაროში მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ. ელინიო ერერას წყალობით, რომელიც ევროპაში სამხრეთ ამერიკიდან გადაბარგდა და დიდ წარმატებებს მიაღწია, 60-იან წლებში სამხრეთამერიკელი სპეციალისტების ზეობის ხანა დადგა. ერერას შემდეგ ყველაზე მეტად სახელი გაითქვა ოტო გლორიამ, რომელმაც 1966 წლის პორტუგალიის ნაკრებს მესამე ადგილი მოაპოვებინა მსოფლიო ჩემპიონატზე. დიდიმ პერუს ნაკრები გაიყვანა მეოთხედფინალში. ამის მერე სამხრეთამერიკელებზე მოთხოვნილებამ იკლო და ბრაზილიელ მწვრთნელებსაც მეტწილად სპარსეთის ყურის მდიდარ ქვეყნებში იწვევდნენ სამუშაოდ. 1982 წელს კუვეიტის ნაკრები კარლოს ალბერტო პარეირას თავკაცობით მსოფლიო ჩემპიონატზე მოხვდა. იმავე პარეირამ 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე საუდის არაბეთის ნაკრები ჩაიყვანა, მისი თანამემამულე ევარისტო კი 1986 წლის მუნდიალზე ერაყის ნაკრებს წვრთნიდა.

ფრანგი სპეციალისტები დიდი პოპულარობით არასდროს სარგებლობდნენ. მათი სამუშაო უცხოეთში, ძირითადად, ფრანგულენოვანი აფრიკული ქვეყნებით შემოიფარგლებოდა. 1982 წლის მუნდიალზე კამერუნის ნაკრებს წარსულში ცნობილი ფრანგი ფეხბურთელი ჟან ვენსანი წვრთნიდა, 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატისთვის კი კამერუნელები კლოდ ლერუამ მოამზადა. 1994 წელს კამერუნის ნაკრებს ისევ ფრანგი, ამჯერად ანრი მიშელი წვრთნიდა.

ბრუნო მეტსიუ, დღეს ყველაზე "დიდი" ფრანგი, სენეგალის ნაკრების წარმატებებით გაიცნეს სამშობლოშიც კი. თუმცა, დაბალ ლიგებში მეტსიუმ თითქმის ყველა კლუბთან მიაღწია გარკვეულ წარმატებას. და მაინც, ალბათ, უფრო მისი გარეგნობის გამო, სოლიდური კლუბები თავს არიდებდნენ მასთან მუშაობას. 1993 წელს "გინგამს" თითქოს მისი მიწვევა სურდა, მაგრამ, კლუბის ხელმძღვანელობამ, ეგ როკ-მუსიკოსი გუნდს დიდ წარმატებებს ვერ მოუტანსო და, უარი განაცხადა მის მიწვევაზე. აღსანიშნავია, რომ მას სენეგალშიც არავინ გაჰყვა სამუშაოდ - არ სჯეროდათ მისი წარმატებისა და იმიტომ. მაშინ, როცა იაპონიაში ფილიპ ტრუსიეს თანაშემწეობას უწევდა "ნანტის" ყოფილი თავკაცი რეინალდ დენუიე, რომელმაც კლუბს ქვეყნის ჩემპიონობა მოაპოვებინა. მეტსიუ იძულებული გახდა, თანაშემწე იქვე ეძებნა. მოძებნა კიდეც: ჟიულ ბოკანდე – სენეგალური ფეხბურთის ცოცხალი ლეგენდა. ალბათ, მარტოობამ გადააწყვეტინა მეტსიუს, ცოლად შეერთო 27 წლის ადგილობრივი მცხოვრები. ახლო მომავალში მეტსიუს რჩეულს სამშობლოს დატოვება მოუწევს. როგორც იქნა, ბრუნოსიც ირწმუნეს და მწვრთნელს უკვე არაერთი წინადადება აქვს სხვადასხვა ქვეყნიდან, რომელთაგან ერთ-ერთს, ალბათ, დათანხმდება კიდეც.

ყველაზე წარმატებული უცხოელი მწვრთნელი წლევანდელ მუნდიალზე კი გუს ჰიდინკი გამოდგა. ახლა არ დავიწყებთ საუბარს იმაზე, თუ ვინ და როგორ გაიყვანა კორეა ნახევარფინალში. ფაქტია, რომ ერთადერთი უცხოელი სპეციალისტი ამჟამად მუნდიალს შემორჩენილი ნაკრებებიდან კორეას ჰყავს. ჰიდინკმა 1982-1984 წლებში მშობლიურ ჰოლანდიაში, "გრააფსხაპთან" მუშაობით გაითქვა სახელი. შემდეგ იყო "ეინდჰოვენი" - 1990 წლამდე. იქიდან მოყოლებული, ჰოლანდიის ნაკრების მწვრთნელობას თუ არ ჩავთვლით, ჰიდინკი უცხოეთში მოგზაურობს. ის უმეტესად ესპანურ კლუბებს წვრთნიდა – "რეალს", "ვალენსიას", "ბეტისს", თუმცა, ერთხანს თურქეთშიც იყო, "ფენერბახჩესთან". ბოლო ერთი წელია, სამხრეთ კორეის ნაკრებს უდგას სათავეში. მისი მომავალი ნავსაყუდელი ჯერჯერობით უცნობია, თუმცა, ყველაზე სავარაუდოა, რომ ის ან სამშობლოში დაბრუნდება და "ეინდჰოვენს" ჩაუდგება სათავეში, ან მიიღებს პორტუგალიელთა მიწვევას და ამ ქვეყნის ეროვნულ ნაკრებს გაწვრთნის.

ჩოგბურთი

# უიმბლდონი დაიწყო

გუშინ უიმბლდონის ტურნირი გაიხსნა. ბევრისთვის ის არა მხოლოდ ყველაზე მნიშვნელოვანი საჩოგბურთო ჩემპიონატია, არამედ პრინციპში ერთადერთიც.

მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატის მსგავსად, უიმბლდონი ის მოვლენაა, რომელიც ზოგადად სპორტის საზღვრებსაც სცდება.

ადამიანები, რომლებიც ჩოგბურთის მატჩს წელიწადის 50 კვირას არ უყურებენ, უიმბლდონის დაწყებისთანავე, დარგის ექსპერტები ხდებიან. წელს, ამ ინტერესს ვერც მსოფლიო ჩემპიონატი გაანელებს. უიმბლდონის სანახაობა ემოციების და დროის ხარჯვად ნამდვილად ღირს.

ამ განსაკუთრებულ აურას უიმბლდონი თავის ტრადიციებს უნდა უმადლოდეს. ის ერთადერთი სოლიდური ტურნირია, რომელიც ბალახზე ტარდება და რომელზეც ჩოგბურთელებს თეთრი ფორმების ჩაცმას სთხოვენ.

გუშინ ამ ტრადიციებით გაჯერებულ და პრესტიჟულ ჩემპიონატზე პირველი შეხვედრები შედგა. ცენტრალურ კორტზე ანდრე აგასი ისრაელის სიამაყეს ჰარელ ლევის შეხვდა. მან ლევის დამარცხება 18 წუთში, გეიმის ჩაუგდებლად შესძლო. საბოლოო ანგარიში ასე გამოიყურებოდა: 6-0 6-4 6-4.

ცენტრალურ კორტზე აგასი, თავის მეწყვილესთან ერთად, გორან ივანიშევიჩის და პატრიკ რაფტერის არყოფნის გამო აღმოჩნდა. როგორც ცნობილია, უიმბლდონის ტურნირში მონაწილეობას ვერ იღებენ ვერც ლინდსი დევენპორტი და ვერც მარტინა ჰინგისი.

გუშინვე მარატ საფინმა შთამბეჭდავი შედეგით: 7-6 7-2 6-3 დაამარცხა ფრანგი სედრიკ პიოლინი. მეორე ეტაპზე გავიდა ასევე ყოფილი ჩემპიონი რიხარდ კრაიჩეკი. ეს 30 წლის ჩოგბურთელი ჩემპიონის ტიტულს 1996 წელს ფლობდა. წლევანდელი უიმბლდონის გახსნით ეტაპზე კი მან ანგარიშით 6-2 7-5 7-6 არგენტინელი ფრანკო სკილარი დაამარცხა. აღსანიშნავია, რომ კრაიჩეკმა 2000 წლის ნოემბრის შემდეგ ერთეულთა თანრიგში თავისი პირველი მატჩი ჩაატარა.

გუშინვე გამოვლინდა პირველი ბრიტანელი, რომელიც ტურნირს პირველივე ეტაპზე გამოეთიშა. ეს არვინდ პარმარია. მისი დამარცხება შვედმა ტომას ენკვისტმა შეძლო. ის ნახევარ საათში, პირველივე წრეში დამარცხდა.

შემდეგ ეტაპზე გავიდა ავსტრალიელი მარკ ფილიპოუსისიც. მან ფრანგი ჟულიენ ბუტე დაამარცხა. შეგახსენებთ, რომ ფილიპოუსისმა უიმბლდონის მეოთხედფინალამდე სამჯერ მიაღწია, მაგრამ რამდენიმე ხნის წინ ის კარგად მაინც არ გამოიყურებოდა. წელს ის მუხლის ტრამვითაც იტანჯებოდა. თუმცა, საბოლოოდ მეტოქის დამარცხება მაინც შეძლო.

შემდეგ ეტაპზე ასევე გავიდნენ: ამერიკელი ჯეიმს ბლეიკი, ბელგიელი ხავიერ მალისი, რუმინელი ანდრეი პაველი, ჩეხი ირჟი ნოვაკი, სლოვაკი კაროლ ბეკი, ამერიკელი ვინს სპადეა...

აღსანიშნავია, რომ გუშინ წააგო ანა კურნიკოვამაც. ის სამ სეტში ტატიანა პანოვამ (21-ე ჩოგანი) დაამარცხა. ანგარიში ასეთი იყო: 6-1 4-6 6-4.


ანა კურნიკოვა ტურნირს გამოეთიშა
REUTERS

მსოფლიოს მეორე და მესამე ჩოგანმა ქალებმა კი მომდევნო ეტაპზე მშვიდობიანად გააღწიეს. სერენა უილიამსმა ევა დომინიკოვიჩს 6-1 6-1 მოუგო. ჯენიფერ კაპრიატის კი გამარჯვებისთვის ასევე იოლად არ მიუღწევია, მას ჯანეტ ჰუსაროვამ წინააღმდეგობა მაინც გაუწია (თამაში ანგარიშით 6-1 6-4 დასრულდა). კაპრიატი მეორე ეტაპზე მარტა მარეროს შეხვდება, ამ უკანასკნელმა პირველ ტურში რუსი ალინა ჯიკოვას დამარცხება შეძლო: 6-0 7-6.

ორი წლის განმავლობაში პირველ წარმატებას მიაღწია მარი პირსმაც, მან ავსტრალიელი ალისია მოლიკი 6-4 4-6 8-6 დაამარცხა. ასეთ შედეგს არავინ ელოდა. პირსმა ხომ წინა ჩემპიონატი ტრამვების გამო გამოტოვა. ამიტომ მის გამარჯვებაზე ფსონს ვერავინ დებდა. თუმცა, პირსი შემდეგ ეტაპზეა.

გამარჯვებულებს შეუერთდათ დანიელა ჰანტუჩოვა, ანა კრემერი და სანდრინ ტესტიუც.

დაიჯესტი

## ფეირ-პლეის ბელგია ლიდერობს

ფეირ-პლეის ჩათვლაში ამჟამად ბელგიის ნაკრები ლიდერობს. ფიფა-ს წარმომადგენლის კეიტ კუპერის განცხადებით, "წითელი ეშმაკუნები" შვედეთისა და იაპონიის გუნდებს უსწრებენ. აღსანიშნავია, რომ პრიზი მხოლოდ იმ გუნდებს შორის თამაშდება, ვისაც ჩემპიონატზე ოთხი და მეტი თამაში ჩაუტარებია. პრინციპი მარტივია: ითვლიან ყვითელ და წითელ ბარათებს, ითვალისწინებენ მოედნის გარეთ მოთამაშეთა ქცევის ნორმებს. გამარჯვებულს მსოფლიო ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ, 30 ივნისს დაასახელებენ. ყველაზე სამართლიანი გუნდი საპატიო ჯილდოს, დიპლომს, მედლებს და ბავშვთა ფეხბურთის განვითარებისთვის 50 ათას დოლარს მიიღებს.

## კარლსონი მსაჯობით უკმაყოფილოა

მსოფლიო ჩემპიონატზე, მსაჯობით უკმაყოფილებას უკვე აშკარად გამოხატავენ. ამ პრობლემის ირგვლივ, შვედეთშიც გამოთქვეს აზრი.

შვედეთის ფეხბურთის მსაჯთა ასოციაციის ხელმძღვანელი ბუ კარლსონი უაღრესად აღშფოთებულია მსოფლიოს წლევანდელ ჩემპიონატზე მსაჯების მოქმედებით. "მე, უბრალოდ, მრცხვენია ზოგიერთი არბიტრის გამო, – აცხადებს შვედი, – ყველაზე საშინელი შეცდომა სამხრეთ კორეა-ესპანეთის მატჩში იყო დაშვებული, როცა მსაჯმსა აუტი იქ შეამჩნია, სადაც კაცი ფიქრადაც ვერ გაივლებდა. არადა, იმ ეპიზოდში ესპანელებს ანგარიშის გახსნის მშვენიერი შანსი ჰქონდათ". კარლსონმა ისიც აღნიშნა, რომ მსოფლიო ჩემპიონატზე, რაც შეიძლება, ბევრი კომპეტენტური მსაჯი უნდა ჩადიოდეს. მიუხედავად იმისა, რომ, ფიფას წესებით, მსოფლიო ჩემპიონატზე ერთი ქვეყნიდან ერთ მსაჯზე მეტი არ უნდა იყოს. კერძოდ, კარლსონი მიიჩნევს, რომ იტალიიდან, სულ ცოტა, სამი მსაჯის მივლინება შეიძლებოდა.

# პირველ-ორ ივლისს კორეა ზეიმობს

სამხრეთ კორეა დღესასწაულის ტალღამ მოიცვა. კორეის ნაკრები პირველი აზიური გუნდია, რომელმაც მსოფლიო ჩემპიონატის ნახევარფინალს მიაღწია. კორეელებს, როგორც ჩანს, თვითონაც არ სჯერათ ამ სასწაულისა და, დაბნეულებმა, აღარ იციან, როგორ აღნიშნონ თავისი გუნდის წარმატება. ახლახან ცნობილი გახდა, რომ პირველ-ორ ივლისს ეროვნული დღესასწაული გამოცხადდება.

დღესასწაულის პირველი დღე გუნდის არნახულ წარმატებას მიეძღვნება, ხოლო ორი ივლისი მსოფლიო ჩემპიონატის მშვიდობიანად დასრულებას. ამასობაში გუს ჰიდინკი ფინალისთვის ემზადება და აცხადებს, კორეის ნაკრებთან ერთად მიღწეული წარმატება უფრო ძვირფასი იყო, ვიდრე ოთხი წლის წინანდელი გამარჯვებაო. "1998 წელს დიდ წარმატებას მივაღწიეთ, – ამბობს მწვრთნელი, – თუმცა, ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ კორეის ნაკრების დონე ახლო წარსულში საკმაოდ დაბალი იყო".

ჰიდინკმა აღნიშნა, რომ ჰოლანდიის ნაკრები ევროპულ ტურნირებზე ვარსკვლავებით იყო სავსე, სამხრეთ კორეაში კი ანბანიდან მოუხდა მუშაობის დაწყება. "მე ფეხბურთელებამდე უნდა მიმეტანა მსოფლიო ფეხბურთის ძირითადი პრინციპები, – ამბობს ჰიდინკი, – ვერ ვიტყვი, რომ ნულიდან დავიწყე, მაგრამ ადგილობრივ ფეხბურთელთა დონე უაღრესად დაბალი იყო. ამ პერიოდში ფანტასტიკურ პროგრესს მივაღწიეთ".

ნაკრების წარმატების მიმართ ვერც ქვეყნის მთავრობა დარჩა გულგრილი. სამხრეთ კორეის პრეზიდენტი კიმ დე ჯუნი ნაკრებს და მის ჰოლანდიელ მწვრთნელს შეხვდა და ნაყოფიერი შრომისთვის მადლობა მოახსენა. საპასუხოდ გუს ჰიდინკმა აღნიშნა, რომ წარმატების მიზეზი მთავრობისა და გუნდის თანამშრომლობაა.

როგორც ჩანს, კიმ დე ჯუნი მიღწეულით არ კმაყოფილდება და დიდი იმედი აქვს, რომ მისი გუნდი ფინალში გავა. ფინალურ მატჩზე დასწრების მიზნით, კვირიდან სამშაბათამდე, იაპონიას ესტუმრება. იმისთვის, რომ ვიზიტი საქმიანიც აღმოჩნდეს, სამხრეთ კორეის საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადებით, კიმ დე ჯუნი მსოფლიო ჩემპიონატის საზეიმო დახურვის შემდეგ იაპონიის პრემიერ-მინისტრ ძიუნიჩირო კოიძუმის შეხვდება. მეუღლის თანხლებით კი იაპონიის იმპერატორ აკიხიტოს და იმპერატრიცა მიჩიროს შეხვდება.


კორეის ნაკრები გუნდი
REUTERS

# "ეს წელი რონალდოსი იქნება"

მიიჩნევს მილანის "ინტერის" პრეზიდენტი მასიმო მორატი, რომელმაც უკვე დაივიწყა სერია ა-ს ბოლო ტურში უაზროდ დაკარგული "სკუდეტო" და უკვე მომავალზე ფიქრობს.

მორატის აზრით, რონალდომ და ვიერიმ მუნდიალზე კარგად ითამაშეს და ასეც გააგრძელებენ. პრეზიდენტი თავისი ფორვარდების შედეგიანობითაც კმაყოფილია და აცხადებს, რომ რონალდო უფრო მეტსაც მიაღწევს და მუნდიალის ტრიუმფატორი გახდება. "ეს წელი რონალდოს ტრიუმფის წელი იქნება. ბრაზილიელმა ფენომენმა უკვე საბოლოოდ გადალახა ტრავმასთან დაკავშირებული ყველა პრობლემა და შესანიშნავ ფორმაში ჩადგა. ის მუნდიალზე ბევრს მიაღწევს", – ამბობს მორატი.

რაგბი

# ოკეანეთმა გაარკვია

გაირკვა ოკეანეთის ზონიდან 2003 წლის მსოფლიო თასზე მოასპარეზე ორი გუნდის ვინაობა. ესენი არიან ფიჯი და სამოა. მესამე მათგანს, ტონგას, იქ მოსახვედრად რეპეშაჟის დაძლევა მართებს.

სამოამ ნადიში დაამარცხა ფიჯის ეროვნული გუნდი - 22:12. ამ გუნდების პირველი შეხვედრა ფიჯელთა გამარჯვებით დასრულდა - 17:16. მომდევნო მატჩში ფიჯელებმა ტონგელებსაც მოუგეს და შესარჩევი ტურნირის ლიდერები გახდნენ. მათ კვალში ჩაუდგა სამოა, რომელმაც თავის მეორე მატჩში ტონგას მოუგო - 25:16.

გუშინწინდელი მოგებით სამოა ფიჯის გაუთანაბრდა ქულებით და, თუ რამე სასწაული არ მოხდა, მსოფლიო თასზე მოხვედრაც განაღდებული აქვს. ნაკლებად სავარაუდოა, რომ შინ ორი მატჩის წამგებმა ტონგამ სტუმრად ფიჯისა და სამოას დამარცხება შეძლოს და რომელიმე მათგანი თავის მაგივრად გაუშვას რეპეშაჟის სათამაშოდ.

# ძალიან მიყვარს სიყვარული

## რაზე ოცნებობენ სულ ახალგაზრდა ქართველები


ამ ახალგაზრდებს უყვართ ...


ამ ახალგაზრდებს უყვართ ოცნება


ამ ახალგაზრდებს უყვართ სიყვარული


ამ ახალგაზრდებს უყვართ მძიმე როკი და ერთმანეთი


ამ ახალგაზრდებს უყვართ მძიმე როკი

ალეკო კარტაშიანის და იური ლობოდინის ფოტოები

ანა კორძაია-სამადაშვილი

ადამიანების რაღაც ნიშნით ერთმანეთისგან გარჩევა რომ ცუდი საქციელია, ყველამ ვიცით. მიუხედავად ამისა, ქართველებს არ გვრცხვენია იმაზე ლაპარაკი, რომ ამა თუ იმ ერის წარმომადგენლები არიან წუწურაქები, ამა თუ იმ აღმსარებლობის ხალხი ბოროტია, ყველა მამაკაცი (ან ყველა ქალი) ერთუჯრედიანია და ა.შ. ასეთ დროს მართალი და მტყუანი არ არსებობს. უბრალოდ ასეთი უაპელაციო მსჯელობა ზოგჯერ მაფიქრებს ხოლმე: ნეტა სად გაქრა ქართველი ერის ნაქები შემწყნარებლობა, საერთოდ, არსებობდა კი? ჩვენ ხომ, ნუ იტყვი, წუწურაქები სულ არა ვართ...

ეს "ჩვენიანებად" და "დანარჩენებად" დაყოფა ასაკობრივ ჯგუფებსაც ეხება. რას არ გაიგებ: უფროსი თაობა გამოშტერებულია, ოცდაათს გადაცილებულები ამბიციური ნაძირალები არიან, მათ, ვინც ახლახანს დაამთავრეს უმაღლესი, თავი რაღაცა ჰგონიათ და სხვა და სხვა. მაგრამ ყველა ასაკობრივი ჯგუფი ერთიანად უტევს "თინეიჯერებს", რომლებიც, რომ დავფიქრდეთ, ყველაზე უწყინარი კატეგორიაა და თუ მართლა ასეთი უვარგისები, გაუნათლებლები და უინტერესოები არიან, ვისი ბრალია, ბოლოსდაბოლოს?

მახსოვს, ერთ რესპექტაბელურ დაწესებულებაში დიდი ღონისძიება ტარდებოდა და ჩემი ახალგაზრდა მეგობრები დავპატიჟე. არ მოვიდნენ და გამიკვირდა. მერე მითხრეს, დარაჯმა არ შემოგვიშვა - გამოიცვალეთ, დაივარცხნეთ და მერე მოდითო. ხომ ვერ მეტყვით, რატომ უნდა ყოფილიყო 15 წლის ბიჭი პარლამენტის წევრივით გამოწყობილი, სად წერია, სახარებაში თუ კონსტიტუციაში?

20 წლამდე ასაკის ადამიანების მიმართ საერთოდ არაობიექტური ვარ. ამ ასაკში მე თვითონაც ძალიან ბედნიერი ვიყავი და დღესაც უდიდესი სიამოვნებით ვატარებ ხოლმე დროს მათთან, ვინც ახლახან დაამთავრეს ან ამთავრებენ სკოლას, ცხოვრება წინა აქვთ და თამამად შეუძლიათ მომავალზე ოცნება. ასეთ ჩინებულ საზოგადოებაში მოვხვდი ამჯერადაც.

ორი წლის წინათ პატარა კაფეში აღმოვაჩინე შესანიშნავი სამეული – ნინო, ჯაბა და ნიკა, ლაღად ცეკვავდნენ, რასაც, სამწუხაროდ, ჩემი ხნის ხალხი გარკვეული წინაპირობების გარეშე ველარ ახერხებს. სწორედ ამ სამის წყალობით გავიცანი მშვენიერი წრე, რომლის შესახებაც მინდა გიამბოთ.

ნაწილობრივ ყოფილი კლასელები არიან, მერე ერთმანეთის ახალგაცნობილი მეგობრები შემოიერთეს. ერთ-ერთი ასეთი გაცნობის ამბავი თათიმ მიამბო.

თათი ჩვიდმეტი წლისაა და წელს ფსიქოლოგიურზე აბარებს უნივერსიტეტში. ჯერ საფრანგეთში გაუგზავნია საბუთები, იქ საერთაშორისო სამართლის სწავლა უნდოდა, მაგრამ რაღაც აირია, არ გამოუვიდა და ახლა ფსიქოლოგობისთვის ემზადება. რამდენიმე ენა იცის - ფრანგული, რუსული, გერმანული და ცოტა ინგლისური. სწორედ ენების ცოდნის დამსახურებაა, რომ ამჯერად ორი არაჩვეულებრივი მეგობარი ჰყავს, ამირანი და ჯაბა. ეს ორი ყმაწვილი დილით იმავე "მარშრუტკით" დადიოდა სკოლაში, რომლითაც თათი მგზავრობდა. ზამთარი იყო. თათის თქმით, ისე იყო ჩაფუთნული, საერთოდ არ ჩანდა, მაგრამ ბიჭებს მაინც შეუმჩნევიათ და დაუწყიათ გარჩევა, ვინაა, როგორია, რანაირიაო. ოღონდ მთელი ეს საუბარი ფრანგულად მიდიოდა, რომ ვერავის გაეგო; ის ვერ დაუშვეს, რომ გოგონას ყველაფერი ესმოდა. როგორც ჩანს, მხოლოდ სიკეთეს ლაპარაკობდნენ და როცა საბოლოოდ გაირკვა, რომ მათ გარდა სხვასაც ესმოდა ფრანგული, გაიცნეს ერთმანეთი და მას შემდეგ განუყრელი მეგობრები არიან.

თათის თავისი მეგობრები ძალიან ეამაყება, ამიხსნა, რომ მათ ყველა ასაკის ადამიანთან შეუძლიათ ურთიერთობა, იმიტომ რომ თავადაც აქვთ სათქმელი და სულ არ არიან ისეთები, მთელი დღე "შმოტკებზე" რომ ლაპარაკობენ, დისკოთეკებზე დარბიან ან კომპიუტერში არიან შერჭობილი. თათის თქმით, ასეთი ხალხი უბრალოდ საკუთარ თავს არ სცემს პატივს. არა, თვითონ როგორ არ უყვარს ცეკვა, უბრალოდ სხვანაირ მუსიკას უსმენს, ისეთს არა, დისკოთეკებზე რომ უკრავენ, თორემ "ჯოიში" რომ ელ ჯერო იყოს, წავა, აბა, რას იზამს...

ამ წრეში სიყვარულის შესახებ ბევრს ლაპარაკობენ. ერთი გოგონა ფრიად ეჭვიანი აღმოჩნდა და თავის მეგობარს განუცხადა, ცოლს რომ მოიყვან, მე შუაში ჩაგიწვებითო. ძირითადად კი მეგობრის შეყვარებულს ხელგაშლილნი ხვდებიან. ერთი ეს იყო, რომ ირაკლიმ, რომელიც სოციოლოგი გახდება და რომელსაც მუსიკა უყვარს, ჩუმად ჩაილაპარაკა, ჩემი გოგოები ამათთან არ მომიყვანიაო, მაგრამ საზოგადოდ ერთობლივ დასკვნამდე მივედით (ციტატა): "სიყვარული არის კარგი, გადასარევი, საამაყო გრძნობა." "ზუსტად!" – დაასკვნა არჩილმა. "ძალიან მიყვარს სიყვარული!" – ეს უკვე ჯაბა იყო.

როცა ხარ ახალგაზრდა, ლამაზი, ნიჭიერი და შეყვარებული, ისიც შეგიძლია, რომ ყველაფერზე იოცნებო და არ შეგეშინდეს იმედის გაცრუებისა. ჰოდა, ჩვენი გმირებიც ოცნებობენ. ძირითადად მათი ოცნებები სრულიად რეალურად ჟღერს: "სან-მარტინი უნდა დავამთავრო", "მინდა ვიყო ჩემი თავის ბატონ-პატრონი, დამოუკიდებელი, რომ არავისზე არ ვიყო ჩამოკიდებული", "მექნება საკუთარი ორგანიზაცია და საუკეთესო კონცერტებს გავმართავ", "მილიონები რომ მქონდეს, საქართველოს ავაყვავებდი, ყველას დავასაქმებდი", "იურისტობა ჩემი მოწოდება არაა, არქიტექტორი გავხდები და ჩემი ფირმა მექნება".

ამ საუბარში მონაწილეობას არ იღებდა ჩემი ძალიან საყვარელი კაცი, რომელიც აქამდე თითქოს არ მერიდებოდა და ახლა რა მოუვიდა, ვერ მივხვდი. დავემუქრე, თუ ხმას არ ამოიღებ, გაგიბაზრებ, რომ ბოროტი მილიტარისტი ხარ-მეთქი, და ბოლოს დამიწერა თავისი ოცნება. კაცი რომ ამაზე ოცნებობს, ვფიქრობ, აუსრულდება კიდეც, რადგან ალბათ უკეთესს ვერაფერს ვინატრებთ:

"ჩემთვის ყველაზე დიდ ოცნებად რჩება ცხოვრება სიტყვების გარეშე! ალბათ არარეალურად ჟღერს, მაგრამ ჩემთვის ყველაზე მთავარია ხალხმა სწორად გამიგოს. მე ვამბობ გრძნობებზე და ემოციებზე, რომლების გამოსახატადაც სიტყვები არ უნდა იყოს საჭირო. კიდევ ვოცნებობ ნამდვილ მეგობრობაზე, ისეთზე კი არა, ერთი წუთი რომ გრძელდება, არამედ 1000 წელი! ბევრი ცხოვრება! ცხოვრება ხომ სულ რაღაც ერთი წუთის გასავლელია. რაც შეეხება უფრო რეალურს, ალბათ მინდა ერთი ათი წლის მერე ვიყო ისეთი პიროვნება, რომ ყველას ვუყვარდე!"

---

ამბები

## სექს-სიმბოლო წერამ გაიტაცა

როგორც ამერიკელები ამბობენ, პამელა ანდერსონმა გაიარა გზა "მალიბუს მაშველებიდან" "ძალიან საჭირო პერსონამდე". ახლა კი, ამ ექსტრავაგანტული იმიჯის ქალბატონმა, რომელსაც პირველ ივლისს 35 წელიწადი შეუსრულდება, საკუთარი გონების შესაძლებლობების დემონსტრირება გადაწყვიტა. სექტემბრიდან ქალების ჟურნალი "ჯეინი" პერიოდულად დაბეჭდავს ანდერსონის საავტორო წერილებს სახელწოდებით "გულწრფელი პემი". როგორც გადაწყდა, სექს-სიმბოლოდ აღიარებული ქალბატონი ოჯახური უსიამოვნებების (ეს თემა მისთვის ძალიან ახლობელი გახდა ტომი ლისთან შეუღლების შემდეგ), ქალის ჯანმრთელობისა და მშობლის აღმზრდელობით მოვალეობაზე დაწერს.

## სპილბერგი ინდიანა ჯონსის შესახებ

სტივენ სპილბერგმა დაადასტურა, რომ ინდიანა ჯონსის მეოთხე ნაწილში, რომლის გადაღებებიც 2004 წელს დაიწყება, მონაწილეობას ნამდვილად მიიღებს ჰარისონ ფორდი და ამასთანავე რეჟისორი არც შონ კონერს დაივიწყებს. მიუხედავად იმისა, რომ ამ დროისთვის მსახიობი 74 წლის იუბილეს აღნიშნავს, შონი ისევ ითამაშებს უფროსი ჯონსის როლს, ასე რომ წინა "ინდიანა ჯონსი და უკანასკნელი ჯვაროსნული ლაშქრობა" მსახიობისთვის ნამდვილად არ აღმოჩნდა უკანასკნელი. ფილმის პრემიერა 2005 წლისთვისაა დაგეგმილი.

## ნატალია ორეიროს შემოქმედებითი ტრანსფორმაცია

მომავალი კვირიდან ნატალია ორეიროს თაყვანისმცემლები როკ-მომღერლის ამპლუაში მოუსმენენ. ორეიროს რიგით მესამე სოლო-ალბომი Turmalina აბსოლუტურად განსხვავებულ არგენტინელ მომღერალს წარმოადგენს: ალბომში ჩვეულებრივი დენს-პოპის ნაცვლად ინგლისური და ესპანურენოვანი როკ-მუსიკაა ჩაწერილი.

## ლეტიცია კასტა ბორდელში

ოცი ივნისიდან ეკრანებზე პატრის ლეკონტის ახალი მელოდრამა "სიამოვნებათა ქუჩა" გამოვიდა. ფილმში მოქმედება 1945 წელს, ძირითადად, საროსკიპოში ხდება და იგი მოგვითხრობს ქუჩის ლამაზმან მეძავზე, რომელიც ნამდვილ სიყვარულზე ოცნებობს. მთავარ როლს ტოპ-მოდელი ლეტიცია კასტა ასრულებს. ეს არ არის ფრანგი ლამაზმანის დებიუტი კინოში, მისი მონაწილეობით ცნობილია ორი ფილმი: "ბოშა" და "კეისრის მოწინააღმდეგე ასტერიკსი და ობელიქსი".

# მამაკაცებო, დაივიწყეთ შავი - მოდაშია სალსას სტილი

თამარ ბაბუაძე


REUTERS

კვირას მილანში მამაკაცების მოდის კვირეული გაიხსნა. პოდიუმზე მოდელებმა დოლჩე & გაბანას 2003 წლის გაზაფხული-ზაფხულის მზა ტანსაცმლის კოლექცია წარმოადგინეს. მეთევზე და ქალაქელი – ამ ორი სტილის ნარევს წარმოადგენს დოლჩე & გაბანასეული ახალი მოდელები. პოდიუმზე დასეირნობდნენ მამაკაცები და მოჰქონდათ ზღვის, მზის და სალსას სიმხურვალე, რომელიც ქალაქურ დახვეწილობას ერწყმოდა.

**"გაიხსენეთ სენტ ტროპე, კაპრი, პორტოფინო. პიაცაზე დღეს ორგვარი მამაკაცები დადიან – გულგადაღეღილი, კოსტუმებში გამოწყობილი მდიდარი მოგზაურები, რომლებიც მარტინის დასალევად შესაფერის ადგილს ეძებენ და მეთევზეები, თავს მეგობრებთან ლაყბობით რომ ირთობენ",** - ასე ახსნა ახალი კოლექციის სულისკვეთება დომენიკო დოლჩემ პირველი შოუს შემდეგ.

ვახშმად მიდიხართ და მოხერხებული ქურთუკი გჭირდებათ? დაივიწყეთ შავი; შავს თეთრის ტონალობა ჯობია. საღამოს კოსტუმის არჩევა გსურთ? რას იტყვით ჯიბეებით გაწყობილ, კაშკაშა ლურჯ აბრეშუმზე ან დენიმზე? **"თქვენ, გოგონებო, ხელჩანთებს არ იშორებთ, ჩვენ კი, კაცები – რომლებიც ყოველთვის ანგარიშებს ვფარავთ – გვჭირდება ჯიბეები, რათა გასაღები, მობილური და, რაც მთავარია, საფულე შევინახოთ",** - იღიმებოდა სტეფანო გაბანა და ჯიბეების უპირატესობას ამტკიცებდა.

სენტ ტროპესა და სალსაზე ლექციების წაკითხვის მიუხედავად, დოლჩე & გაბანას ახალ კოლექციაში მაინც დიდი ადგილი ეთმობა ე.წ. მილიტარისტულ სტილს. უფრო ზუსტად, სამხედრო მიმართულება თემატურად მთელ კოლექციას გასდევს – ჯარისკაცის ჯიბეები, კაშკაშა ვერცხლისფერი ელვა-შესაკრავები, მძიმე, სამხედრო ღილაკები. თუმცა, ეს ყველაფერი მაინც პლაჟის სტილს ამშვენებს – თეძოზე ჩამოსულ შარვლებს და მოკლე ჟაკეტებს.

რაც შეეხება მეთევზე მამაკაცს: **"მეთევზის ბუნებრივი სილამაზე ყველაფერს აინფიცირებს და ავსებს. ეს ეპიდემიასავით არის",** - ამტკიცებს დოლჩე. დოლჩე & გაბანას ახალ მამაკაცს კოსტუმს ქვეშ ბადე-ჟილეტი აცვია, პლეიბოის სტილის მაისური კი მეზღვაურის შორტებს უწყვილდება.

სანამ დოლჩე & გაბანა მეთევზე-ქალაქელი მამაკაცებით იწონებდნენ თავს, თავისი მიმდევრები მილანში ვერსაჩემაც შემოიკრიბა. მისი ახალი კოლექციაც არანაკლებ ორიგინალურად შეფასდა: თქვენს წინაშეა **"კუბური არისტოკრატია"**. დონატელა ვერსაჩეს მოდელებში მართლაც ჭარბობს კარიბის ზღვის ფერები – მკვეთრი ვარდისფერი და ფორთოხლისფერი, მკერდზეშემოჭერილი მაისურები, კაშკაშა თეთრი შარვლები და თითქოს ტრადიციული, შავი კოსტუმები, ოღონდ დამზადებული ბრჭყვიალა კაშკაშა ქსოვილისგან, რომელიც პოდიუმის შუქს დისკოტეკის განათებასავით ირეკლავს... ასე რომ, არჩევანი არც ისე დიდია – დიზაინერები მამაკაცებს, ყველა ვარიანტში, მზის, ზღვის და ეგზოტიკისკენ უბიძგებენ. ამის დასტურია, დოლჩე & გაბანას სალსაც და ვერსაჩეს კუბური არისტოკრატიაც.

# პრინცესა პლასტმასის მარცვლიდან

## ლაშა ბუღაძის მინიატურული ხუმრობები და ლევან წულაძის "კუპრზე შემომდგარი" გროტესკი "პატარა თეატრში"

დავით ბუხრიკიძე

მართალია, სეზონი მთავრდება, მაგრამ ცხელ თბილისს ჯერ კიდევ თეატრალური ციებ-ცხელება აქვს – "პატარა თეატრში" გუშინ ლაშა ბუღაძის მინი-პიესების მიხედვით შექმნილი "კაპრიჩიოს" პრემიერა გაიმართა. რეჟისორია ლევან წულაძე და ეს ნიშნავს, რომ უნდა ელოდოთ ხუმრობანარევ "უწმინდურობებს", უკიდეგანო გროტესკს და პაროდიებს მუსიკალურ თემებზე. მოკლედ, ვინც "თეატრალური სარდაფის" მოყვარულია, "პატარა თეატრშიც" შეუძლია გაილაღოს. სპექტაკლში რამოდენიმე ნოველა თუ პატარა პიესა თავისუფალი პრინციპით გაერთიანდა: "ქრისტიანული საქციელი", "მხიარული არდადეგები ანუ დედის შაირი", "აღშფოთებული მედიკო", "ნუნუ დეიდა", "სამოთხის ჭიშკარი".

დრამატურგ ლაშა ბუღაძის სახელი კარგა ხანია გასცდა ისეთ მშრალ და ოფიციალურ განმარტებას, როგორიცაა "ახალგაზრდა ნიჭიერი დრამატურგი." მის მარჯვე და მოქნილ ტექსტებში უკვე ამოიკითხავთ ადამიანის აბსურდულობის მეტაფორას, აშკარად "იკაიფებთ" ჟანრულ აჯაფსანდალზე და უცნაურად გაუცხოებულ, მაგრამ ნაცნობ პერსონაჟებზე. რაც მთავარია, ბევრს და საფუძვლიანად იცინებთ. თუ ფანტაზია განსაკუთრებულად გამახვილებული გაქვთ, არც გაგაკვირვებთ დამწყები ეშმაკის (სახელწოდებით ლუდვიგი) გატაცება "ორერას" სიმღერებით; როგორ ელოდება მჩხიბავი ახლომხედველი კობა ბინის ხელში ჩასაგდებად ღვაწლმოსილი პედაგოგის, ნუნუს გარდაცვალებას, ან როგორ შეწვავს ქართველების ბელორუსი რძალი (ცხადია, ათეისტი) სიდედრს ტაფაზე.

სპექტაკლში ბევრი რამ თავად რეჟისორის მიერაა შეთხზული. მისი წარმართული და ჯოჯოხეთის თემით შთაგონებული ირონია მოულოდნელად იცვლება სერიოზულობით სწორედ იმ მომენტში, როდესაც ამას ნაკლებად ელით. ირონიით შთაგონება არც დრამატურგს და არც რეჟისორს არ ღალატობს. მათ იციან, რომ ყოფითი ტანჯვისაგან



ზუკა პაპუაშვილი - მჩხიბავი კობა სპექტაკლში „კაპრიჩიო"



ზურა შარია – „სერიოზული" კურდღელი

მარიკა ამურველაშვილის ფოტოები

განაწამები მაყურებელი ოდნავ მაინც უნდა გაართო და შვება მოჰგვარო. მართალია, "შვება" ზოგჯერ გადაჭარბებულია, ხოლო გროტესკი თითქმის ზღვარდაუდებელი, მაგრამ კულტუროლოგიურ ფუნქციებს ამგვარი სპექტაკლიც ასრულებს.

შეიძლება ითქვას, რომ ლევან წულაძე გვთავაზობს სანახაობას, რომელიც დარიო ფოს ექსტრემისტურ კომედიებს უფრო ჰგავს, ვიდრე დახვეწილ ფრანგულ "შავ კომედიებს". დრამატურგის ევროპულობა მხოლოდ ახირება არ არის. იგი უკვე მომზადებულია საიმისოდ, რომ ნაირგვარი ხულიგნობები აშკარად ნიჭიერად და აბსურდის ჟანრში ჩაიდინოს. ამ თვალსაზრისით საგრძნობია მასზე ეჟენ იონესკოს და გუსტავ შვაბის იუმორის გავლენა. ნებისმიერ შემთხვევაში, ეს გავლენა უფრო ჯანმრთელობის მანიშნებელია, ვიდრე ზედმეტად სერიოზული გატაცება ეროვნული ფსიქოანალიზით.

"სარდაფის" მოყვარულებს ლევან წულაძემ უკვე დაუმტკიცა თავისი საფირმო სტილი და რეჟისორული ხერხები. თეატრალებს კი მხოლოდ შევახსენებთ მისი ფანტაზიით გაცოცხლებულ სანახაობებს: "ფიგაროს ქორწინება", "ცხვირი", "სამგროშიანი ოპერა", "ეტ ცეტერა". ეს სპექტაკლები არც საჭიროებენ რეკლამას, რადგან მათი პათოსი "სარდაფისტებისათვის" დიდი ხანია, გასაგებია, "ანტისარდაფისტებს" კი მაინც ვერაფერს დააჯერებ. სპექტაკლში "კაპრიჩიო" ლევან წულაძე თითქმის არ იცვლის სტილს. მისი რეჟისორული დიაპაზონი იცვლება ფერმკრთალი ლარგოდან მჩქეფარე ალეგრომდე. სიმართლე რომ ვთქვათ, "ჭოლას" მსგავსი რამ ბევრჯერ ჩაუდენია, ხოლო ტემპო-რიტმული გადაჭარბებანი ამჯერადაც ეპატიება. "კაპრიჩიო" კი ისეთივე სანახაობრივი და სასაცილოა, როგორც მისი "სარდაფისეული" ქმნილებანი.

მაყურებელს დროდადრო ნამდვილი სიამოვნება ელის. განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც ზურაბ შარიასა და ზუკა პაპუაშვილს კურდღლების ფორმებში ნახავენ. თანაც სერიოზულ აქტიორულ "როლებზე" გულდათუთქულებს. ქალბატონ ქეთინოს, მედიკოს და სხვა ქალურ არსებებს მსახიობის ნაცვლად ნუცა დოლაქიძის მიერ დამზადებული თოჯინა ასრულებს, რომელიც დროდადრო პერსონაჟებს, სახელებს და კაბებს იცვლის. ამ თოჯინას კადრსგარეშე მყოფი ნანა შონია ანსახიერებს. საჭიროების შემთხვევაში მისი ხმის ობერტონები უფრო მეტად გამჭვირვალეა ან სექსუალურია ვიდრე თავად თოჯინის მოქნილი ხელები. ამ ხელების შეთხზვასა და პლასტიკაში ანიმატორებს - ნინო ნამიჭეიშვილს და გია ქათამაძეს განსაკუთრებული როლი ეკისრებათ. არ უნდა დავივიწყოთ მუსიკალური გამფორმებლის ზურა გაგლოშვილის გარჯაც. და ბოლოს, ჯანსაღი მადლობა გადავუხადოთ მთავარი როლის შემსრულებლებს - ზუკა პაპუაშვილს და ზურაბ შარიას.

ვისაც ჯერ კიდევ შერჩა თეატრში სიარულის სურვილი, თავისუფლად შეუძლია 5-10 ლარი გაიმეტოს და "პატარა თეატრის" სიგრილეში ყოფნა თბილისურ სიცხეს ურჩევნია, ვურჩევთ 27 და 28 ივნისს თეატრს მიაშუროს. აქ ლაშა ბუღაძის გოეთესა და იონესკოსეული იუმორით შეზავებული ტექსტი ლევან წულაძის "ჯოჯოხეთის კუპრზე" შემოდგმული რეჟისორული გროტესკით თამაშდება.

# ახლა „ბედ ბოუნის" დროა

## ანუ რა ხდება 4 ივლისს თბილისის ჯაზ-ფესტივალზე

თამარ სუხიშვილი

1991 წელს გამოქვეყნებულ ერთ-ერთ ინტერვიუში დენის როლინსი ჟურნალისტის ბანალურ შეკითხვაზე, თუ რატომ აირჩია მაინცდამაინც ტრომბონი, არცთუ მიმზიდველი ინსტრუმენტი, სიცილით უპასუხებს: „იცი, ეს არჩევანი მთლად ჩემზე არ ყოფილა დამოკიდებული, ჩემი უფროსი ძმის ძველი ტრომბონი მეგდო სახლში, ერთ მშვენიერ დღეს ავიღე და დაკვრა ვცადე"... მის ხელში ეს ე.წ. მეორეხარისხოვანი ინსტრუმენტი სხვანაირად აჟღერდა.

მაშინ როლინსმა ჯერ კიდევ არ იცოდა, რომ მომავალში ბრიტანულ ჯაზს მისი სახით დიდი ვარსკვლავი მოევლინებოდა და მისი ოსტატობა აღაფრთოვანებდა ყველა მუსიკოსს, განსაკუთრებით, - ახალგაზრდა თაობას, იმ ხალხსაც კი, რომლისთვისაც ჯაზი უკვე მოძველებულად ითვლებოდა და რომელიც სხვა მიმდინარეობებს ანიჭებდა უპირატესობას.

ცნობილი ინგლისელი მუსიკოსი, ტრომბონისტი, კომპოზიტორი, პროდიუსერი და არანჟირების ოსტატი დენის როლინსი 1964 წელს დაიბადა ბირმინგემში. მისი მშობლები იამაიკელები იყვნენ. ამიტომ, როგორც როლინსი ამბობს, გასაკვირი არაა, რომ მის მუსიკაში რეგის გავლენაც იგრძნობა - სხვაგვარად არც შეიძლებოდა.

დენისის უფროსი ძმაც მუსიკოსი იყო, ის ტრომბონზე უკრავდა. მუსიკისადმი ასეთი ინტერესიც სწორედ ძმამ გაუღვივა. როლინსი ფანკზე გაიზარდა: "ფანკს ვუსმენდი პატარაობიდანვე, ჯერ ჯეიმს ბრაუნს, მერე სლაის და "ფემილი სტოუნს". დღეს ვუკრავ იმას, რასაც ვუსმენდი ბავშვობიდან მოყოლებული მთელი ჩემი ცხოვრების განმავლობაში."

მუსიკასთან პირველი შეხება 1978 წელს ჰქონდა, 14 წლის ასაკში იგი Doncaster Youth Jazz Association-ის წევრი გახდა. მალე მას ძმა ეროლ როლინსი და ახალგაზრდა ტრომბონისტი ვინსტონი შეუერთდნენ. სწორედ ამ პერიოდში გამომჟღავნდა როლინსის მუსიკალური ნიჭი და უამრავი შემოთავაზება თუ წინადადება წვიმასავით წამოვიდა. Doncaster Youth Jazz Association-ში წარმატებული მოღვაწეობის შემდეგ როლინსი ჯერ National Youth Jazz Orchestra-ში უკრავდა, მერე ლეგენდარულ ჯაზ-ბენდში, Jazz Warriors-ში მიიწვიეს. დენისი მსოფლიოს ცნობილ ჯაზმენებთან ერთად მოღვაწეობდა და მუსიკის სხვადასხვა ჟანრში უმაღლესი შეფასებები მიიღო.



1995 წელს მან საკუთარი ბენდი Dee Roe შექმნა და დიდი წარმატებებიც ჰქონდა, მაგრამ პირადული მიზეზების გამო ორი წლის შემდეგ ჯგუფი მიატოვა. 2000 წლის გაზაფხულზე ბარბიქანში როლინსმა შექმნა ექვსკაციანი ბენდი "ბედ ბოუნი". მეტსახელი "ბედბოუნი" პირველად საქსოფონისტმა კორტნი პაინმა დაუძახა როლინსს და აქედან მოდის ჯგუფის სახელწოდებაც Badbone&Co. ეს პერიოდი როლინსის შემოქმედების კულმინაციად შეიძლება ჩაითვალოს. იგი საბოლოოდ აღიარეს ბრწყინვალე მუსიკოსად, ხელმძღვანელად და პროდიუსერად.

დენის როლინსი ძალიან მომთხოვნი მუსიკოსია, ყოველთვის მზად არის შეჯიბრისათვის. ამიტომაც მის მუსიკას სპორტს ადარებენ. "ეს ის კაცია, ვისი ნახვა და მოსმენაც შეგიძლიათ სხვადასხვა სტილის მუსიკოსების ჯგუფში. თუ დღეს სტინგთან ერთად დგას სცენაზე, ერთი კვირის შემდეგ შეიძლება "ჯემიროქვაისთან" ან ერიკ ბენეტთან ერთად იხილოთ. იგი არაჩვეულებრივი პროდიუსერია. სცენაზე ლიდერობას არავის უთმობს და მსმენელს აჯადოებს თავისი არაელეგანტური, არასტანდარტული მანერებით. მისი გამოჩენა განსაკუთრებულ ეიფორიას იწვევს და აუდიტორიაც თავს ისე გრძნობს, როგორც თევზი წყალში," - წერდა ფრანგული პრესა როლინსის შესახებ.

შეიძლება ითქვას, როლინსს გაუმართლა, ინგლისში რომ დაიბადა. ცნობილი ტრომბონისტი ამბობს, რომ ინგლისი მუსიკალური მრავალფეროვნებით გამოირჩევა, აქ შეხვდებით სხვადასხვა კულტურის მატარებელ ხალხს და მისი შემოქმედებაც ამ სახესხვაობებს ასახავს. მუსიკოსი ცდილობს შეძლებისდაგვარად ყველაფერი ჩაატიოს თავის ხელოვნებაში. "მე ვცდილობ ჩემი ფესვების ნაწილებს ერთად მოვუყარო თავი ისე, რომ სხვადასხვა გემოვნების მსმენელისთვის იყოს მისაღები." როლინსი უხვად იყენებს ინდური კულტურის ელემენტებს; ითვალისწინებს ახალგაზრდების გემოვნებას – მათ უყვართ, როცა ჯაზს როკის ელემენტები ახლავს; და, ამავე დროს, მისეულ ინტერპრეტაციაში არასოდეს არ იკარგება როლინსის პიროვნება, მისი ორიგინალურობა.

რა სტილს მიეკუთვნება როლინსის მუსიკა? ზოგი ამბობს, რომ ეს არ არის ჯაზი, რომ ეს ფანკია, ზოგს პირიქით ჰგონია. მუსიკოსი მიიჩნევს, რომ ასეთი გაურკვევლობა კარგიცაა, ესე იგი მის ხელოვნებაში მსმენელი ხედავს იმას, რაც მოსწონს, რისი დანახვაც სურს. ასე რომ, როლინსისთვის მნიშვნელობა არა აქვს, რა იარლიყს მიაკერებენ მის შემოქმედებას. ის ისეთ მუსიკას ქმნის, რაც მისთვის რაღაცას ნიშნავს, და რაც მას სიამოვნებას ანიჭებს: "წარმოვიდგენ იმას, რაც მომეწონება და გამოდის შოუ."

ამასწინათ ერთი გაზეთი წერდა: "როლინსს სჯერა, რომ ახლა "ბედ ბოუნის" დროა, და მართლაც არის... იყიდე მისი ალბომი, გაშალე ხალიჩა, გაიძრე მკაცრი ტანსაცმელი და სერიოზულად მოემზადე საცეკვაოდ". ჟურნალისტის ეს რჩევა უთუოდ გამოადგებათ იმ მსმენელებსაც, რომლებიც 4 ივლისს თბილისის ჯაზფესტივალზე დასწრებას ვერ მოახერხებენ.

# ხალხური შემოქმედების ზეიმი

## ფესტივალი, რომელიც ორმა პატრიარქმა დალოცა



სრულიად აფრიკისა და ალექსანდრიის პატრიარქი

ალეკო კარტაშვილის ფოტო

ვერა ნეფარიძე

**ეროვნულ გალერეაში გუშინ ხალხური შემოქმედების ფესტივალი განსაკუთრებულ გარემოში გაიხსნა. ფესტივალის პირველ ნაწილს, ხალხური ხელოვნების ნამუშევართა გამოფენას ორი პატრიარქი დაესწრო. უწმინდეს და უნეტარეს ილია მეორესთან ერთად ფესტივალი სრულიად აფრიკისა და ალექსანდრიის პატრიარქმა და პაპმა, პეტრე მეშვიდემაც დალოცა.**

ხალხური შემოქმედების ზეიმი კულტურის სამინისტროს იმდენად ტრადიციული ღონისძიებაა, რომ პირველი წლების გახსენება სამინისტროს თანამშრომლებსაც კი უჭირთ. ადრე ის ოლიმპიადების სახელით იყო ცნობილი, ფესტივალის სახით კი, დღეიდან ორ წელიწადში ერთხელ გაიმართება.

ზაფხულის გუშინდელ მცხუნვარე დღეს ორმაგად ცხელოდა ეროვნულ გალერეაში. გალერეის სამი დარბაზი სტუმრებს ვერ აუდიოდა. როგორც მოგვიანებით დავადგინე, ხალხმრავლობის მიზეზი მხოლოდ დარბაზში საპატიო სტუმრების მობრძანება როდი იყო, გალერეის დახურვამდე ხალხური ხელოვნების ნამუშევართა გამოფენა უამრავმა თბილისელმაც დაათვალიერა. დასათვალიერებელი კი, გადაუჭარბებლად რომ ვთქვა, მართლაც ბევრი იყო.

თვითნასწავლ ხელოვანთა შემოქმედება საქართველოს თითქმის, ყველა კუთხიდან წარმოადგინეს. ფესტივალის მონაწილეები სხვადასხვა ქალაქებსა და რაიონებში შესარჩევი ტურის შედეგად შეირჩა, თუმცა, კულტურის მინისტრის თქმით, საბოლოოდ, გამოფენა მაინც ძალიან დიდი გამოვიდა და ეროვნულმა გალერეამ სრულად მაინც ვერ დაიტია. გამოფენაზე წარმოდგენილია ყველაფერი, რაც ხალხურ ტრადიციებს უკავშირდება და რასაც ადამიანის ფანტაზია შეიძლება გასწვდეს. იქნება გამხმარი ფოთლებისგან და სხვადასხვა მცენარეული მარცვლებისგან შესრულებული პორტრეტები (ლეილა ასათიანის ნამუშევრები) თუ ხისგან ნაკეთები სამზარეულო ინვენტარი (დეკორატიული თეფშები, ფიალები, ყანწები, მინიატურული წისქვილი და ა.შ).

გამოფენის ერთ-ერთი საინტერესო კუთხეა ხის ოსტატის, შერმადინ დარჩიაშვილის საკრავების ექსპოზიცია. ბ-ნ შერმადინი თითქმის, ყველა ასეთი გამოფენის მონაწილეა, გუშინდელი გამოფენიდან კი, მისი დამზადებული სალამურები სამახსოვროდ გაყვებათ ორი ავტოკეფალური ეკლესიის საჭეთმპყრობლებს. აქვე დავამატებთ, რომ შერმადინ დარჩიაშვილი ორჩასაბერიანი სალამურის ავტორია.

გალერეაში იყო ასევე მსგავსი გამოფენების ხშირი მონაწილე, ახალციხელი 70 წლის მარიამ ჟუჟულაძე, რომლის ნაქარგების გარეშე, ხალხური შემოქმედების ნიმუშთა თითქმის არცერთი გამოფენა არ ეწყობა. ნაქარგებთან ერთად მას თვალსაჩინოებისთვის გამოფენილი ჰქონდა საქარგავი დაზგა, რომელსაც პატარა დამთვალიერებლები განსაკუთრებული მონდომებით ამოწმებდნენ. გამოფენა ხალხური სიმღერებით გააცოცხლა ანსამბლმა "ივერიელი" (ადრე მათ "არაგველების" სახელით იცნობდნენ თბილისელები). განსაკუთრებული იყო საწარმოო სწავლების ოსტატის, ჯემალ თურმანიძის მასიური ტახტი სავარძლებით; წარმოდგენილი იყო ტრადიციული, სხვადასხვა კუთხისთვის დამახასიათებელი საგნები: მესხური ხალიჩა, თუშური ნაბადი, აჭარაში გავრცელებული ხეში ნაკვეთი სამეურნეო იარაღები. სულ ორმოცამდე ქალაქიდან წარმოდგენილი იყო ორასზე მეტი ავტორის ნამუშევარი. გამოფენაზე მობრძანებული საპატიო სასულიერო პირების განსაკუთრებული ყურადღება კი, ჯუმბერ შოთაძის საგვარეულო "წმიდა სამების" კარედის ხატმა და იგივე ავტორის საეკლესიო-სასულიერო ნაკეთობებმა მიიქცია. გამოფენა ეროვნულ გალერეაში 28 ივნისამდე გაგრძელდება.

# პლასიდო დომინგო ვერდის, ვაგნერისა და ფეხბურთის შესახებ

"ვარსკვლავეთის ომების" შემქმნელი "ნიბელუნგების ბეჭედს" შეეჭიდა



პლასიდო დომინგო

REUTERS

მადი სერებრიაკოვა

უცნაური სიყვარული დასჩემდათ საოპერო მომღერლებს ფეხბურთისა და, განსაკუთრებით, ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატების მიმართ. არ ვიცი, ეს რეიტინგის აწევის ხელსაყრელი საშუალებაა თუ გულწრფელი გატაცება, მაგრამ ფაქტია - სწორედ გაგანია საფეხბურთო ციებცხელებაში იმართება ხოლმე ცნობილი "სამი ტენორის" კონცერტები. ჩემპიონატის დაწყებამდე პრესაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ პავაროტი - დომინგო - კარერასის სამეული იაპონიაშიც გამართავს კონცერტს. ჯერ-ჯერობით მათი თაყვანისმცემლების მოლოდინს საშველი არ დასდგომია, თუმცა, მსოფლიოს ყველაზე ცნობილ საოპერო ვარსკვლავებს საზრუნავი სხვაც ბევრი აქვთ. ავიღოთ, თუნდაც, პლასიდო დომინგო, რომელმაც გასულ წელს დაბადების 60 წლისთავი აღნიშნა. საიუბილეო თარიღს მან კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა მოაყოლა. გამოვიდა მისი ალბომი, რომელშიც ვერდისეული ტენორის არიების სრული კოლექცია შევიდა.

პლასიდო დომინგომ, რომელმაც სიმღერა 19 წლის ასაკში სარსუელათი დაიწყო, კარიერის დასაწყისში ფიცი დადო - 30 წლის ასაკში ლა სკალასა და მეტროპოლიტენ ოპერაში ვიმღერებო. თუმცა მსოფლიო საოპერო სცენების დაპყრობის საქმეში მან საკუთარ თავსაც გადააჭარბა - მეტროპოლიტენში 27 წლისამ იმღერა, ლა სკალაში - 28-სამ, ბერლინში, ჰამბურგსა და ვენაში კი - სულაც 26-სამ.

დომინგომ ყველა არსებული რეკორდი მოხსნა საოპერო როლების რაოდენობის თვალსაზრისით. 119 საოპერო როლიდან, რომელიც უამრავ კომპოზიტორს მოიცავს, ყველაზე დიდი პოპულარობით დომინგოს შემოქმედებაში ვერდის საოპერო პარტიები სარგებლობს. ვერდის მიმართ განსაკუთრებული სიყვარული მომღერალმა ზემოთაღნიშნული კოლექციის გამოშვებით კიდევ ერთხელ დაამტკიცა. კომპოზიტორის 28 ოპერის ტენორის პარტიები 33 წლის მანძილზე იწერებოდა სტუდიებსა თუ კონცერტებზე და იგი 10 დისკზეა განლაგებული. ამ ერთ კოლექციაში დომინგოსთან ერთად ისეთი ვარსკვლავები ბრწყინავენ, როგორც ჰერბერტ ფონ კარაიანი, ლეონარდ ბერნსტაინი, კლაუდიო აბადო, რიკარდო მუტი, ზუბინ მეტა, კარლოს კლაიბერი არიან. ამ წელს განხორციელებული უკანასკნელი ჩანაწერები კი ვალერი გერგიევთან ერთადაა შესრულებული.

ცნობილია, რომ მომღერალი განსაკუთრებით ხშირად ოტელოს პარტიით ჩნდება სცენაზე. ვერდის 650 დომინგოსეული სასცენო წარმოდგენიდან 200 სწორედ ოტელოს ერგო. ალბომში შესული ოტელოს ჩანაწერის შეფასებისას, ჟურნალი "გრამოფონი" მომღერლის ცოტა ბარიტონისაკენ გადახრილი ხმის (დომინგოს კარიერაც ხომ სწორედ ბარიტონობით დაიწყო) "ოქროს ჟღერადობას" უსვამს ხაზს და ოტელოსათვის ყველაზე შესაფერისად აცხადებს. კოლექციაში შესული შედარებით არაპოპულარული პარტიებიდან კი ინტერვიუში განსაკუთრებული სითბოთი დომინგომ ფენტონის არია მოიხსენია "ფალსტაფიდან".

ვერდის შემდეგ დომინგომ წელს კიდევ ერთი ალბომი - ლათინური მუსიკის კრებულის ჩაწერა მოასწრო. ბოლო ფანტასტიური გეგმა კი ვაგნერის "ნიბელუნგების ბეჭდის" ციკლია. ლოს ანჟელესის ოპერაში მისი დადგმა "ვარსკვლავეთის ომების" შემქმნელს, ჯორჯ ლუკასს მიანდეს. თუმცა ამ პროექტის განხორციელებას 30 მილიონი დოლარი სჭირდება. ფანტასტიური სასცენო ეფექტების გამართლებას დომინგო ვაგნერის ხასიათზე აპელირებით ცდილობს: "ვაგნერი თავისი დროის ავანგარდისტი იყო და მას რომ ჰქონოდა ჩვენნაირი საშუალებები, - უსათუოდ გამოიყენებდაო".

მიუხედავად ასეთი ენერგიულობისა, ასაკმა მაინც თავისი დაღი დაასვა პლასიდო დომინგოს, პრესაში უკვე არა ერთხელ გამოჟონა ინფორმაციამ მისი შერყეული ჯანმრთელობის შესახებ. ამ გაზაფხულის სეზონზე ლა სკალას "სამსონი და დალილა" კინაღამ დომინგოს გარეშე გაიმართა - იგი გენერალურ რეპეტიციაზე შეუძლოდ შეიქნა. ის იყო, სამსონის პარტია დომინგოს შემცვლელ ქართველ ტენორს ბადრი მაისურაძეს გადააბარეს რომ ვარსკვლავმა დაძლია სისუსტე და პირველი სპექტაკლი მაინც იმღერა.

ამასთან დაკავშირებით დომინგოს უკვე ხშირად ეკითხებიან "საპენსიო გეგმების" შესახებ. პასუხიც საკმაოდ მოკრძალებულია - პავაროტისგან განსხვავებით, რომელმაც კიდევ ოთხი წლით გადაწყვიტა სცენაზე დარჩენა, დომინგო კონკრეტულ თარიღებს არ ასახელებს. თუმცა, როგორც ვაშინგტონისა და ლოს ანჯელესის თეატრების სამხატვრო ხელმძღვანელი და დირიჟორი (მან უკვე 20-ამდე სპექტაკლს უდირიჟორა), ცხოვრების ბოლომდე "მუსიკაში დარჩენას" გეგმავს.

სამი ტენორის კონცერტს რაც შეეხება, იაპონური გამოსვლა სამივე მომღერალს ჰქონდა გეგმაში. თორმეტი წლის წინ, როდესაც კარაკალაში ცნობილი სამეულის პირველი კონცერტი გაიმართა, ავად ხოსე კარერასი იყო. მაშინდელ კონცერტს ფართო კომერციული ინტერესების გარდა, აშკარა კულტურტრეგერული ფუნქცია ჰქონდა: მათ ოპერას მაყურებელი დაუბრუნეს, სამეულის ხათრით კლასიკური მუსიკის მოსმენა ბევრად უფრო ფართო მასებმა დაიწყეს. სწორედ ამის შემდეგ მოეწყო კონცერტები პოპ-ვარსკვლავებთან ერთად - ცხადია მუსიკალური მიღწევებით მათ არ გავუკვირვებივართ, სამაგიეროდ მასში მონაწილე მუსიკოსებმა საქველმოქმედო საქმეებით გამოიჩინეს თავი. პავაროტი და კარერასი დღემდე წელიწადში უამრავ კონცერტს მართავენ და წლევანდელი ჩემპიონატისნაირი ხელსაყრელი შემთხვევის ხელიდან გაშვება მათი მხრიდან საკვირველიცაა. დომინგოს რაც შეეხება, იგი აშკარად სპექტაკლებს ანიჭებს უპირატესობას და 2-3 კონცერტისთვის თუ იცლის წლის განმავლობაში. მიუხედავად ამისა, წლევანდელ ჩემპიონატზე მათი გამოსვლის ჩაშლის ალბათობას დომინგოს მოუცლელობას ძნელად თუ დავაბრალებთ. სამი ტენორის უკანასკნელი ერთობლივი კონცერტი სწორედ იაპონიაში უნდა გამართულიყო - ამის შესახებ ინტერვიუებში საუბრობდნენ პავაროტიცა და დომინგოც. თუმცა, ჯერ-ჯერობით კონკრეტული არაფერი ჩანს.

ორი სიტყვით

## პიტერსონის ახალი ოდისეა

16 ივლისს კომპანია Verve Records-ი პიანისტ ოსკარ პიტერსონის ახალ ალბომს A Jazz Odyssey-ს გამოუშვებს. ეს ჩანაწერი გამოვა პეტერსონის იგივე სახელწოდებით დაბეჭდილ ავტობიოგრაფიასთან ერთად. ალბომში შესულია 18 კომპოზიცია და პეტერსონს ორი – სოლოს და აკომპანიმენტის სახით წარმოაჩენს. უფრო ზუსტად, პირველი ცხრა ჩანაწერი პიტერსონის ცნობილი მელოდიებია, ისეთები, როგორიცაა Get Happy და My Romance. მეორე ნაწილში კი პიტერსონი ჯაზის მრავალ ცნობილ ლეგენდას უწევს აკომპანიმენტს, მათ შორის, ბილი ჰოლიდეის და ლესტერ იანგსაც. ალბომში მიწვეული სტუმრების როლს ასრულებენ: ელა ფიცჯერალდი, სტენ გეცი, რეი ბრაუნი, ქოულმან ჰაუკინსი და სხვები.

## თორმეტწლიანი დუმილის შემდეგ

ინდი-როკის ლეგენდები, The Charlatans მიწისქვეშეთიდან ამოძვრნენ. მათი აპრლისთვის შეპირებული სტუდიური ალბომი Live It Like You Love It, ერთ თვეში გამოვა. ჯგუფის რიგით მერვე სტუდიური ჩანაწერი, დაახლოებით, თორმეტი წლის წინათ უნდა გამოსულიყო, მაგრამ ერთ-ერთი "შარლატანის" გარდაცვალების გამო, ჯგუფმა დროებით შეწყვიტა მოღვაწეობა. მუსიკოსების თქმით, ახლა ყველაფერი რიგზეა და მორიგ ჩანაწერებსაც დაუგვიანებლად მოისმენენ თაყვანისმცემლები.

## იგი პოპი მოსკოვში

პანკ-როკის ნათლიმამას, - იგი პოპს შვიდ ივლისს მოსკოვში კონცერტი აქვს. მუსიკოსი ფესტივალ "ფრთებში" მიიღებს მონაწილეობას. ორგანიზატორებს იმედი აქვთ, რომ ამერიკელი ვარსკვლავის მონაწილეობა ფესტივალს საერთაშორისო სტატუსს შესძენს. ფესტივალი მესამედ იმართება და მასში მონაწილეობენ რუსული როკის აღიარებული ვარსკვლავები: Машина времени, Гарик Сукачев, Неприкасаемые, Аквариум, Сплин, Танцы минус, Ночные снайперы და ა.შ.

## პრემიერამდე - მძაფრსიუჟეტიანი ტრილერი

ჰარი პოტერის ფანებს რამდენიმე ხნის წინ ახალი ფილმის ხუთწუთიანი ტრილერი აჩვენეს. თავად ფილმის "ჰარი პოტერი და საიდუმლო ოთახი" პრემიერა 2002 წლის ნოემბეშია დაგეგმილი.

ახალი "ჰარი პოტერის" სიუჟეტი დაახლოებით ასეთია: იდუმალი ჯადოქარი საიდუმლო ოთახში იმალება და დროდადრო ჯადოქრობის სკოლას ესხმის თავს. ჰარი პოტერი და მისი მეგობრები კი გადაწყვეტენ, საიდუმლო გახსნან. ნამდვილი თავგადასავალი სწორედ აქედან იწყება.

ფანების დაინტერესებისა და დაინტრიგების მიზნით, ბრიტანეთში გაშვებული ტრილერისთვის ყველაზე დრამატული კადრები აარჩიეს. "ჰარი პოტერის" თაყვანისმცემლები ნოემბრის მოსვლას სულმოუთქმელად ელიან.

## მოსკოვს ლეგრანი და ბერტოლუჩი ეწვევიან

სახელგანთქმულ რეჟისორ ანდრეი ტარკოვსკის, სიკვდილის შემდეგ ერთ-ერთ ყველაზე საპატიო ჯილდოს, "ოქროს არწივს" გადასცემენ –მსოფლიო კინემატოგრაფში გაწეული ღვაწლისთვის. ეს გადაწყვეტილება საზოგადოებას რუსეთის კინოხელოვნების და მეცნიერების ნაციონალური აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა გენადი პოლოკმა ამცნო. აკადემიის პრეზენტაცია, რომელიც 26 ივნისს მოსკოვის საერთაშორისო კინოფესტივალის ფარგლებში გაიმართება, "ოქროს არწივის" პრემიის ლაურეატებს დაასახელებენ. დაჯილდოვების საზეიმო ცერემონიალი ყველაზე დიდ – "მოსფილმის" სტუდიაში ჩატარდება და 24-ე კინოფესტივალის ერთ-ერთი ყველაზე შთამბეჭდავი ღონისძიება იქნება. დღის მთავარი გმირები, ბუნებრივია, პრემიის ლაურეატები გახდებიან. ესენია: მულტიპლიკაციის პატრიარქი ფიოდორ ხიტრუკი, თეატრისა და კინოს მსახიობი გიორ ჟენოვი, ცნობილი ფრანგი კომპოზიტორი მიშელ ლეგრანი და სახელგანთქმული რეჟისორი ბერნანდო ბერტოლუჩი. ისინი პრემიის მისაღებად მოსკოვში აუცილებლად ჩავლენ.



# ბობ დილანმა კინოვარსკვლავები დარაზმა


ბობ დილანი REUTERS


პენელოპა კრუსი REUTERS

15-წლიანი შესვენების შემდეგ ბობ დილანი კინოს უბრუნდება. ის მონაწილეობას მიიღებს BBC-ის მიერ დაფინანსებულ ფილმში, "შენიღბული და ანონიმური", რომელსაც ენრიკე მორალესის ნოველის მიხედვით იღებენ. ეს დამოუკიდებელი ფილმი მცირე ბიუჯეტიანია – გადამღებ ჯგუფს გასახარჯი სულ 10 მილიონი დოლარი აქვს. შესაბამისად, მცირეა მსახიობებისთვის განკუთვნილი ჰონორარიც. თუმცა, ბობ დილანის ეშხით გადაღებებს დასავლური კინოს მრავალი ვარსკვლავი დათანხმდა: ჯეფ ბრიჯისი, ჯესიკა ლანჟი, კრისტიან სლეიტერი, ჯონ გუდმენი, ველ კილმერი და მიკი რურკი. ახლახან, ისევ დილანის მიზეზით, თანხმობა განაცხადა პენელოპა კრუსმაც. BBC-ის ფილმების განყოფილების ხელმძღვანელის, დევიდ ტომპსონის თქმით, ფილმში მონაწილეობა კიდევ სხვა ვარსკვლავებსაც უნდოდათ, ოღონდ მათთვის როლები აღარ ეყოთ. გადაღებები გასაიდუმლოებულ ვითარებაში ერთი კვირის წინ დაიწყო.

ბობ დილანი ხანდაზმული როკ-მომღერლის, ჯეკ ფეიტის როლს ასრულებს. ფილმს ფონად გასდევს (სულ დაახლოებით 30 წუთი) ბობ დილანის კლასიკად ქცეული ჰიტები და, სავარაუდოდ, ერთი ახალი სიმღერაც. მოქმედება ვითარდება აპოკალიფსის დროს, ქვეყანაში, რომლის სახელსაც არავინ აკონკრეტებს, მაგრამ რომელიც ადვილად შეიძლება იყოს შტატები. იქ წესრიგი და მორალი აღარავის ახსოვს. დილანს ციხიდან უშვებენ, რათა ბოლო კონცერტი ჩაატაროს სტადიონზე და ქვეყანა იხსნას. მას გარს კორუმპირებული პოლიტიკოსები და გავლენიანი ბიზნესმენები ახვევია. მის ერთ-ერთ ჰიტს The Times They Are A Changin' პატარა ბიჭი ასრულებს. პენელოპა კრუსი მეძავის და ჯეფ ბრიჯისის, ჟურნალისტის საყვარლის როლს თამაშობს. ჯესიკა ლანჟი კი კონცერტების ცინიკოსი ორგანიზატორია, გუდმენი – ჯეკ ფეიტის აგენტი.

## „ფლეიბოის„ არქივიდან:

# „კარგი ქალია, მაგრამ...„

ბევრს ჟურნალ "ფლეიბოიში" სტატიები კი არა, ფოტოები, კომიქსები და ნახატები მოსწონს. ამის დასტურია კვირას გამართული აუქციონი, რომელზეც ჟურნალის არქივიდან 500-მდე ილუსტრაცია გაიყიდა, მათ შორის, ენდი ვორჰოლის, ალბერტო ვარგასის და ედვარდ გორის ნამუშევრებიც. წარმოდგენილი იყო "ფლეიბოის" დამფუძნებლის, ჰიუ ჰეფნერის ნახატებიც. ჟურნალის იმ ფანებისთვის კი, რომელთაც უფრო სენსაციური მასალები იზიდავთ, აუქციონზე ჰეფნერის კომენტარებით დამშვენებული რამდენიმე სამუშაო ფოტოც გამოიტანეს. მათზე რედაქტორის შენიშვნები იყო მიწერილი, ხშირად-საკმაოდ სარკასტულიც. მაგალითად: "კარგი ქალია, მხოლოდ სახე არ უვარგა", ან ასეთი: "ახლო პლანით ტანზე"...

მთლიანად აუქციონზე 1 118 865 დოლარის ღირებულების ნივთები გაიყიდა. ყველაზე მაღალი ფასი – 40 ათასი დოლარი გადაიხადეს ნეიმანის წყლის საღებავების წყვილ ნამუშევარში, "მოცეკვავე ლიდო" და "კაცი თავისუფალ დროს".

"ფლეიბოიმ" გაყიდა ჰელმუტ ნიუტონის 11 შავ-თეთრი ფოტოგრაფიაც 1976 წლის ილუსტრაციებიდან "ორასი მოტელი, ანდა როგორ გავატარე ზაფხული". სავარაუდო ფასის – 5-7 ათასის ნაცვლად, ნიუტონის ამ ფოტოებში 18 ათასი დოლარი გადაიხადეს.

ფანების ნაკლებობას არ განიცდის არც სინდი კროუფორდი. 1988 წლის "ფლეიბოის" არქივიდან მისი ფოტოები 11 ათას დოლარად გაიყიდა. თუმცა, კლიენტურა გამოუჩნდა მარტინ ლუთერ კინგის, ჯონ ლენონის და კეით რიჩარდსის ვრცელ ინტერვიუებსაც.






## TV პროგრამა 25 ივნისი

### რუსთავი - 2

07.00 მუსიკა
07.30 ფიფქია
08.00 კურიერი
08.55 სერიალი "სიყვარულის სახელით"
09.50 "კომუნიკატორი"
10.40 ბრენდაიზერი
11.10 სერიალი "ოცნების კოშკები"
12.00, 15.00 კურიერი
12.15 მულტსერიალი
13.30 მხ. ფილმი
15.20 მხ.ფილმი
17.05 ლუისი და კლარკი
18.00, 21.00, 02.00 კურიერი
18.20 ბრენდაიზერი
18.45 სერიალი "ელენი და ბიჭები"
19.15 პერეკროსტოკი
19.50 სერიალი "ოცნების კოშკები"
22.00 კომუნიკატორი
22.50 კურიერი
00.05 მხ.ფ. "ჩვეულებრივი ეჭვმიტანილი" მთ.როლებში სტივენ ბოლდუინი, კევინ სპეისი

### პირველი არხი

07.30 "ალიონი"
09.45 მულტსერიალი "სიმბა ფეხბურთელი"
10.10 სერიალი "ძილის წინ"
10.30 დოკ. ფილმი "მსოფლიოს ველური ბუნება"
11.25 თბილისი და თბილისელები
12.00, 15.00, 20.00, 22.50 მოამბე
12.15 ფრანგული პროგრამა
13.00 "ნაშუადღევს"
14.05 სერიალი "გოგონები ქარში"
14.35 სიტყვა კაზმული
15.15 "რამპა"
15.20 ლერერის შოუ
16.20 ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის ნახევარფინალური მატჩი
18.30 "ვესტნიკი"
18.50 სერიალი "გოგონები ქარში"
21.00 ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის ნახევარფინალური მატჩი (ვიდეოჩანაწერი)
23.35 ტელესერიალი "ძილის წინ"
23.55 დოკ.სერიალი "მეოცე საუკუნე"
00.15 მხ.ფ. "დარტანიანი და სამი მუშკეტერი" (2 სერია)

### მეორე არხი

19.00 ფეხბურთი.
21.15 სერიალი "მხოლოდ შენთვის"
22.00 "მოამბე" მეორე არხზე
22.10 მხ. ფილმი "შემოდგომის ლეგენდები"

### ევრიკა

10.00, 12.00, 15.00, 21.00, 00.00 "ვესტი"
10.15 მულტფილმი "ნინძა - პიცა სიურპრიზით"
11.45 მუსიკალური კოლაჟი
12.25, 21.30 "სალონი"
14.00, 23.00 სერიალი "მოქალაქე უფროსო"
15.20 კომპიუტერის შემსწავლელთა კურსები
18.30 რუსული ენის ტელეგაკვეთილი
19.00 ინგლისური ენის ტელეგაკვეთილი
19.30 მუსიკალური ტაიმაუტი
00.15 მხ.ფ. "დამიბრუნდი"

### იბერია

მიმდინარეობს არხის რეორგანიზაცია
08.00, 20.00 ანონსი, მულტფილმი
08.15, 20.15 აღსავალი
08.20, 09.50, 12.10, 20.20, 22.05, 23.45 მუსიკა
08.25 მხ.ფ. "სუინი ტოდი"
10.00 მხ.ფ. "სფერო"
20.25 მხ.ფ. "ბილი ელიოტი"
22.15 ძველი კინო_მხ.ფ. "კუზიანი ნოტრდამიდან"

### პირველი სტერეო

07.15 "მორწმუნის ძლევამოსილი ხმა"
08.00 "ტოროლა"
11.00 მუსიკალური ათეულის განმეორება
11.45 "ჩაძირობანა" განმეორებით
13.15 მხ. ფილმი
15.10 მუსიკა
17.30 "სწ.მედია" მხ.ფ. "ჭკუიდან გადამდგარი"
19.00 მუსიკა
20.00 კლიპები შეყვარებულთათვის პირდაპირ ეთერში
22.00 ევრო-რუსული ათეული
23.00 სველი ხაზი
00.00 "ბრავო" მხ.ფ. "ჩიტის გალია". მთ. როლებში რობინ უილიამსი, ჯინ ხეკმანი
01.30 "ღამურა" მხ.ფ. "ლიდერი". მთ. როლებში ლამბერტ უილსონი, ტენდი ნიუტონი
03.30 ნონ-სტოპი

### კავკასია

12.00 მხ.ფ. "მხოლოდ თქვენი თვალებისათვის"
14.10 მხ.ფ. "გლადიატორი"
17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს"
17.15 მხ.ფ. "ფანტომასი აბობოქრდა"
19.20 სპექტრი
21.00 დოკ. ფილმი
21.50 მხ.ფ. "რვაფეხა"

### მეცხრე არხი

09.00, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღის ამბები"
09.20 მულტფილმი "ალექსი" მე-14 სერია
09.45 საბავშვო სერიალი "ჰორასი და თინა" მე-14 სერია
10.15, 11.15, 13.55, 14.45, 15.55, 18.45, 00.20 მუსიკა
10.30 მხ.სერიალი "ვი. აი. პი. ველერი აირონსის დაცვის სამსახური"
11.25 მხ.ფ. "რიჩარდ"
14.00 გადაცემა რაგბი
15.00 დისქავერი
16.00 მხ. ფილმი "შერბურის ქოლგები"
17.45 მულტფილმი "ალექსი" მე-15 სერია
18.15 საბავშვო სერიალი "ჰორასი და თინა" მე-15 სერია
18.50 მხ.ფ. "მამის დღე" მთ. როლებში რობინ უილიამსი, ბილი კრისტალი
21.10 მსოფლიო ჩემპიონატის დღიური
21.30 გადაცემა "მთავარი თემა"
22.15 მხ.ფ. "ახალგაზრდა მსროლელები 2" მთ. როლებში ემილიო ესტებესი, კიფერ საზერლენდი
00.40 მხ.ფ. "სახის გარეშე". მთ. როლებში ჯონ ტრავოლტა, ნიკოლას კეიჯი

### აჭარის ტელევიზია

09.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
09.30 "მსოფლიო თასი-2002"
09.40 ისტორიული ფილმი "დონ კიხოტი ბრუნდება"
11.25 დოკუმენტური ფილმი
12.00, 16.00, 19.00, 22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება
12.15 ქართული ფილმი "ჩრდილი გზაზე"
13.45 თრილერი "მკვლელები"
16.15 მულტსერიალი "ქალთევზა-2"
17.30 სათავგადასავლო ფილმი "თეთრი მგლები" 2 სერია
19.20, 22.30, 00.30 საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი"
19.30 დრამა "ვიღაცამ გუგულის ბუდეს გადაუფრინა"
22.50, 00.50 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე
23.00, 01.00 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე
23.05 "მსოფლიო თასი-2002"
23.15 "რა არ ხდება"
23.25 დოკუმენტური ფილმი
01.05 დეტექტივი "გამოსავალი არ არის"
03.30 მხატვრული ფილმი "პატარა ვერა"

### VII არხი

09.00 ანონსი
09.05 მოკლედ.... საინფორმაციო გამოშვება
09.15 მუსიკალური ტაიმაუტი
09.30 მოკლედ... პრესის მიმოხილვა
09.40 "აჩიკუდა"
10.05 "ბედნიერი ერი"
10.10 "სახლიდან გაუსვლელად"
10.20 მოკლედ... სპორტი
10.30 "ავტოტრეკინგი"
11.20 მულტსერიალი
11.40 მუსიკალური ტაიმაუტი
12.10 დოკ.ფ. "ბრძოლა წესების გარეშე"
12.30 მოკლედ... ტექნიკის სიახლეები
12.40 დისნეი და მისი მეგობრები
13.00 "სახლიდან გაუსვლელად"
13.20 სპორტი
13.25 მოკლედ... პრესის მიმოხილვა
18.10 პრესა
18.25 სპორტული ინფორმაცია
18.35 "სახლიდან გაუსვლელად"
18.50 მუსიკალური ტაიმაუტი
18.55 მოკლედ... ტექნიკის სიახლეები
19.00 "აჩიკუდა"
19.30 მოკლედ... საინფორმაციო გამოშვება
19.40 მსოფლიო ჩემპიონატის მიმოხილვა
20.30 "ფაქტი, აზრი, კომენტარი"
20.40 მუსიკალური ობიექტივი
21.00 მოკლედ... ასტროლოგიური პროგნოზი
21.10 "ღამის კაპრიზი"
21.55 მოკლედ... სპორტი
22.05 მოკლედ... პრესის მიმოხილვა
22.15 "კინოკლუბი " - მხ.ფილმი "ავიაკატასტროფა".
23.35 პრესის მიმოხილვა
23.50 დოკ.ფ. "ბრძოლა წესების გარეშე"
00.15 მუსიკალური ტაიმაუტი
00.30 მოკლედ.... საინფორმაციო გამოშვება
00.40 "სახლიდან გაუსვლელად"
00.55 მუსიკალური ბიორითმი
01.20 მხ.ფ. ჟანრებში: - "ომენი"
03.00 პრესის მიმოხილვა

### ОРТ

07.00 "Доброе утро".
10.00, 13.35, 16.00, 19.00 Новости.
10.15, 19.20 сериал "СЕМЕЙНЫЕ УЗЫ"
11.15 х.ф. "ОПЕКУН"
13.20 Дисней-клуб: "Любимчик"
13.40 Ералаш
14.00 х.ф. "ОБЪЯВЛЕННОЕ УБИЙСТВО" Часть 1-я
15.00 "Народ против"
16.20 Чемпионат мира по футболу. 1-2 финал
18.30 Смехопанорама Евгения Петросяна
20.15 х.ф. "ЗОНА ТУРБУЛЕНТНОСТИ"
22.00 Время.
22.35 "Кто хочет стать милионером?"
23.25 Чемпионат мира по футболу. Полуфинал
01.00 Ночное "Время"
01.30 Дневник Московского кинофестиваля
01.40 х.ф. "16-й ОТДЕЛ"
02.35 Сериал "ФИРМЕННЫЙ РЕЦЕПТ".

### РТР

06.50, 07.50, 08.50, 09.50, 19.20, 21.35, 00.20 Вести-Москва
07.00, 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.30, 21.00 Вести.
07.10 "Православный календарь".
07.15, 08.30 Семейные новости
07.25, 09.10 Дежурная часть
07.30, 19.10 Афиша
07.40, 23.45 Дорожный патруль
08.10 Экспертиза РТР
08.20 Национальный доход
08.25 Вести-спорт
08.40 "Пролог" часть 1-я и 2-я.
09.15 Колоссальное хозяйство
10.10 Диалоги о животных.
11.00 Сериал "ВЕЧНЫЙ ЗОВ"
12.20 Киноистории Глеба Скороходова.
12.30 х.ф. "СВЕРСТНЦЫ"
14.05 Мульфильмы.
14.30 Сериал "СИБИЛЛ".
15.20 Сериал "дикий ангел"
16.20 "ТАЙНА ЛИЧНОСТИ БОРА"
17.15 Экспертиза РТР
18.25 Сериал "ДРУЗЬЯ-4"
18.20 Док. Фильм "Союз бывших"
19.50 Сериал "комиссар рекс"
20.50 Спокойной ночи, малыши!
21.55 "АГЕНТСТВО НЛС"
22.50 х.ф." ПУАРО АГАТЫ КРИСТИ, ПРИКЛЮЧЕНИЕ С ДЕШЕВОЙ КВАРТИРОЙ ".
00.00 Вести - Подробности
00.30 Дневник чемпионата мира по футболу.
00.05- 05.42 Бал выпускников - 2002

### НТВ

07.05 Утро на НТВ
09.50 "ПОЛИЦЕЙСКИЕ ВМЕСТЕ С БАНДИТАМИ"
11.00, 13.00, 15.00, 17.00, 20.00, 23.00, 01.00 Сегодня.
11.20 Погода на завтра
11.25 Внимание розыск!
12.20 Растительная жизнь
12.50 Вкусные истории
13.20, 16.40, 19.40 Криминал
13.20 х.ф. "ШЕРЛОК ХОЛМС И ДОКТОР ВАТСОН". Фильм 2-й
15.05 Ток-шоу "Принцип "Домино"
17.30, 21.40 Сериал "СЛЕД ОБОРОТНЯ"
18.40 Сериал "ГРЯЗНАЯ РАБОТА"
20.30 х.ф."УЛИЦИ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ".
23.35 Герой дня.
23.55 Сериал "СКОРАЯ ПОМОЩЬ-3"
01.20 х.ф."УЛИЦИ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ".
02.10 "О, Счастливчик!". Игра.

TV პროგრამები მოგვაწოდა სააგენტო "ინფოზავრმა"